



საქართველოს უნივერსიტეტი



კონცეპტის „სიცოცხლე“ ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური
კვლევა თანამედროვე ინგლისურ ენაში

ავტორი:

სოფიკო ჭყვიძე

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია

საქართველოს უნივერსიტეტის

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია ჩხვიძე

თბილისი

2023

მიმოხილვა

ნაშრომი ეძღვნება კონცეპტის „სიცოცხლე“ სპეციფიკის შესწავლის პრობლემას თანამედროვე ინგლისურ ენაში კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის სააზროვნო სივრცეთა კვეთაზე.

კონცეპტში „სიცოცხლე“ აქტუალიზდება ადამიანის საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილება და ზოგადად, ადამიანად ყოფნის გამოცდილება. სიცოცხლე წარმოადგენს მრავალგანზომილებიან ფენომენს, რომლის საიდუმლოს ახსნასაც საუკუნეებია ცდილობს ადამიანი. ერთი მხრივ, ცხოვრება დედამიწაზე მცხოვრები ყველა სულიერის ბიოლოგიური არსებობის ფორმაა, მეორე მხრივ კი, იგი გაცილებით მეტია, ვიდრე ფიზიოლოგია - სიცოცხლე უმაღლესი რიგის ღირებულებაა.

კონცეპტი „სიცოცხლე“ განეკუთვნება ბირთვულ კონცეპტთა რიგს. ეს ბუნებრივია, ვინაიდან, ეგზისტენციალური თვალსაზრისით, მაქსიმალურად ნიშნადი ფენომენია ნებისმიერი ადამიანისათვის. სიცოცხლის უნივერსალურობა განისაზღვრება ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის პრინციპების ერთობითა და აღქმის ასახვის მსგავსებით. ეს ფაქტი კი განაპირობებს უნივერსალური კატეგორიებისა თუ სემანტიკური კონსტანტების ფორმირებას.

კონცეპტის „სიცოცხლე“ სტატუსის ბირთვულობა აიხსნება შემდეგი ფაქტით: სამყაროში ორიენტირებისას ადამიანი ეყრდნობა საკუთარი არსებობის („მე ვარ“) ფაქტს, ხოლო ადამიანისათვის „ყოფნა“, უპირველესად, „ცოცხლად ყოფნას“ გულისხმობს.

კონცეპტის „სიცოცხლე“ შინაარსი მოიცავს ადამიანის არსებობის ყველა ძირითად ასპექტს. „სიცოცხლის“ მეტაფორული კავშირები განისაზღვრება ასოციაციური კავშირებით, რაც მეტყველებს საკვლევი კონცეპტის ენობრივ ღირებულებაზე.

კონცეპტის ასოციაციური ველის უწყვეტობა დროში ცვალებადია - ახალი რეალობა აყალიბებს და გარდაქმნის ასოციაციური ველის კონტინიუმს. ჩვენ განვმარტავთ ტრანსფორმაციას, რომელიც ხდება კონცეპტის ასოციაციური ველის კონტინიუმში, როგორც რეალობის უწყვეტ (მუდმივ) რეპროდუქციას (ინტერპრეტაციასა და რეინტერპრეტაციას).

ასოციაციები არ ინახება ადამიანის ცნობიერებასა და მეხსიერებაში ერთმანეთისგან იზოლირებულად. ზოგჯერ სხვადასხვა ერთეულებს შორის არსებული კავშირები პარადოქსული და წინააღმდეგობრივი ჩანს. თუმცა სწორედ კავშირების პარადოქსულობასა და წინააღმდეგობრიობაში ვლინდება ენის მატარებელთა მიერ რეალობის ინტერპრეტაციასა და რეინტერპრეტაციის სპეციფიკა.

სამყაროს შესახებ ცოდნა შედგება ინდივიდის საკუთარი ცოდნისგან, რომელიც ყალიბდება გარესამყაროს პირდაპირი, სენსორული აღქმის პროცესში და თაობების მიერ სამყაროს მეცნიერული და ყოველდღიური აღქმის შედეგების გადაცემის გზით.

სამყაროს ხატი ადამიანში ყალიბდება მისი ცხოვრების განმავლობაში, სამყაროსთან მისი ყველა კონტაქტის შედეგად და მისი მრავალფეროვანი შესაძლებლობების საფუძველზე.

ადამიანი შეიგრძნობს, აღიქვამს, აცნობიერებს და ასახავს სამყაროს. ამ პროცესში ადამიანი წარმოიდგენს „შესაძლო სამყაროებს“. ახდენს რა სამყაროს ინტერპრეტაციას, ადამიანი „აცილებს“ სამყაროს მოდელს ყველაფერს, რაც, მისი თვალსაზრისით, ზედმეტი და არასაჭიროა. ადამიანი ბზინვარებას უბრუნებს იმას, რაც „გახუნებულია“ და ასწორებს იმას, რაც „მცდარია“. ადამიანი სრულყოფს სამყაროს მოდელს იქამდე, ვიდრე იგი არ მიიღებს იდეალურ ფორმას. სამყაროს მოდელის სრულყოფის პროცესში ადამიანი სრულყოფს საკუთარ თავსაც.

სამყაროს იდეალიზირებული ხატი არ მოიცავს ობიექტის ყველა კომპონენტსა და პარამეტრს. შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ ის, რაც ჭირდება ადამიანსა და კაცობრიობას. სწორედ შეფასება აქცევს ადამიანს იმ ვექტორად, რომელზეც ორიენტირებულია სამყარო. სამყაროს იდეალიზირებულ მოდელში ინტეგრირებულია არა მხოლოდ ის, რაც უკვე არსებობს, არამედ ისიც, რისკენაც ისწრაფვის ადამიანი.

სამყაროს ხატში მატერიალიზდება ენის კულტურულ-ფილოსოფიური იპოსტასი. სამყაროს ხატი წარმოადგენს როგორც ეროვნული ხასიათის, ისე ეროვნული მსოფლმხედველობის მანიფესტაციას.

სარჩევი	
მიმოხილვა	2
შესავალი	4
თავი I. თვალსაზრისები	10
1.1. სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების არსი	10
1.2. მარადიული სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ	35
თავი II. სააზროვნო სივრცეები და კვლევის მეთოდები	49
2.1. ლინგვოკულტუროლოგია და კოგნიტური ლინგვისტიკა	49
2.2. მენტალური ფენომენები	53
2.3. კონცეპტუალური კვლევის მეთოდოლოგია	64
2.4. ლინგვოკულტურული კონცეპტოლოგია	69
თავი III. კონცეპტი კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიაში	76
3.1. კონცეპტის კოგნიტური და ლინგვოკულტურული ორგანიზაცია	76
3.2. კონცეპტი „Life“ თანამედროვე ინგლისურენოვან კულტურაში	84
3.3. კონცეპტის „სიცოცხლე“ კვლევა ლექსიკოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით	96
3.4. ახალი რეალობა და კონცეპტის რეალური ფსიქოლოგიური შინაარსი	101
თავი IV. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რეპერტუარი და მეტაფორული მოდელები	107
4.1. კონცეპტის „Life“ ფრაზეოლოგიზაციის შედეგები თანამედროვე ინგლისურ ენაში	107
4.2. კონცეპტის „Life“ მეტაფორული გააზრების შედეგები თანამედროვე ინგლისურ ენაში	116
დასკვნა	135
გამოყენებული ლიტერატურა	138

შესავალი

იკვლევენ რა ლინგვისტურ პრობლემებს, მეცნიერები იკვლევენ ადამიანის ბუნებას, მის ემოციურ და მენტალურ სფეროებს, ეთიკურ და ესთეტიკურ საწყისებს, ღირებულებათა სისტემას, სამყაროს აღქმისა და შემეცნების სპეციფიკას. კაცობრიობის სულიერი გამოცდილება აისახება ენაში.

ენა და სამყარო მუდმივად იცვლება. ახალი რეალობები მნიშვნელოვნად ცვლიან სამყაროს, აყალიბებენ ჩვენი მეტყველების სტილსა და განსაზღვრავენ ჩვენს მიერ სამყაროს აღქმის თავისებურებას. ახალი რეალობის ასახვისას ჩვენი აღქმის შედეგები სიტყვებში ობიექტივირდება. ახალი რეალობები გავლენას ახდენენ ლექსიკაზე და ამდიდრებენ მას ახალი ასოციაციებით.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს ენაში შემეცნების შედეგების თავისებურებათა კვლევა. ამ ტიპის კვლევა უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის კოგნიტური საქმიანობის კვლევას და უნდა ასახავდეს ლექსიკოლოგიური, ისტორიულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების სპეციფიკას.

ნაშრომში გამოყენებული მიდგომის ინტეგრაციულობა გულისხმობს კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის სააზროვნო სივრცეთა ფარგლებში გენერირებულ მიდგომათა სინთეზირებას. სწორედ ამ ტიპის სინთეზში იკვეთება როგორც წმინდა ლინგვისტური, ისე ინტერდისციპლინური კვლევის მონაცემებიც. კვლევის მონაცემთა ობიექტურობისა და სისრულის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთაგან მიღებული ცოდნის სინთეზირების აუცილებლობა განსაზღვრავს კვლევის აქტუალობას.

კვლევის მიზანია კონცეპტის „სიცოცხლე“ სპეციფიკის კვლევა თანამედროვე ინგლისურ ენაში კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის სააზროვნო სივრცეთა კვეთაზე.

ნაშრომში დასახული მიზნის განხორციელებას ემსახურება კვლევის შემდეგი ეტაპების განხორციელება და ინტელექტუალური ამოცანების გადაჭრა:

1. კონცეპტის “Life” აქტუალიზაციის ლინგვისტურ მექანიზმთა გამოვლენა ინგლისურენოვან ტექსტებში;

2. კონცეპტის “Life” უნივერსალურ და უნიკალურ (კულტურით დეტერმინირებულ) მარკერთა განსაზღვრა;
3. სიცოცხლის შესახებ არსებულ წარმოდგენათა იდენტიფიცირება ინგლისურენოვან ცნობიერებაში;
4. სიცოცხლის მნიშვნელობისათვის ძირითადი რელევანტური მეტაფორული მოდელების გამოვლენა;
5. სიცოცხლის მნიშვნელობისათვის რელევანტურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რეპერტუარის განსაზღვრა;
6. სიცოცხლის მნიშვნელობის ანალიზი ლექსიკოგრაფიულ წყაროებში;
7. კონცეპტის “Life” ენობრივ ობიექტივატორთა იდენტიფიცირება და მათი კოგნიტური ინტერპრეტაცია თანამედროვე ინგლისურ ენაში.

კვლევისათვის ფუძემდებლური აღმოჩნდა შემდეგი დებულებები:

1. ნებისმიერი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და ორგანიზების (კონცეპტუალიზაციის) კონკრეტულ ფორმას;
2. ენაში არსებული მნიშვნელობები ერთიანდებიან კონკრეტულ მთლიანობრივ სისტემაში და ქმნიან კოლექტიურ ფილოსოფიას;
3. ენისათვის დამახასიათებელი სინამდვილის კონცეპტუალიზაციის კონკრეტული ფორმა ნაწილობრივ უნივერსალურია, ნაწილობრივ კი - ეროვნული ნიშნით დეტერმინირებული;
4. სამყაროს ხატის როგორც ნაივურ (გულუბრყვილო), ისე მეცნიერულ ვერსიებში ადამიანი შემეცნებითი სისტემის მეშვეობით ითვისებს მთელ იმ ინფორმაციას, რომლის წყალობითაც ადამიანი გაიაზრებს სინამდვილეს, იღებს ცოდნას, აყალიბებს თვალსაზრისს და გეგმავს თავის ქმედებებს;
5. სამყაროს დისკრეტულობასა და ენაში სინამდვილის ანარეკლს შორის არ არსებობს სრული იგივეობრიობა, თუმცა მათ შორის არსებობს გარკვეული შესაბამისობაც, რომლის გარეშეც ენა ვერ შეძლებდა საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულებას;
6. მატერიალურ სამყაროში გარკვეული ზღვრების არსებობა განაპირობებს სინამდვილის ენობრივი დანაწევრების ფორმის გარკვეულ უნივერსალიზმს;

7. კონცეპტის ირგვლივ წარმოქმნილი ნომინაციური ველის სტრუქტურულ თავისებურებასა და შინაარსობრივ სპეციფიკას განსაზღვრავს კონცეპტის სტატუსი (დომინანტურობა/პერიფერიულობა) ენის მატარებელი ერის მიერ კონსტრუირებულ სამყაროს ენობრივ ხატში;
8. კონცეპტის კონტინიუმის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ლექსიკონში ფიქსირებული ერთეულების, ტექსტებსა და ინფორმანტების ცნობიერებაში კოდირებული მონაცემების ინტეგრაციის გზით;
9. კონცეპტის კონტინიუმის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კონცეპტის ასოციაციური განზომილებები, რომლებშიც იკვეთება ენის მატარებელი ერის ცნობიერებაში კონცეპტის ღირებულებითი მარკირებულობის სპეციფიკა.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: თანამედროვე ინგლისურ ენაში ლინგვოკოგნიტოლოგიისა და ლინგვოკულტუროლოგიის სააზროვნო სივრცეთა კვეთაზე კონცეპტის „სიცოცხლე“ კვლევის ადეკვატურობისა და სისრულის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა მთელი კომპლექსის ანალიზის შედეგად.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს ინტეგრატიულობა: კონცეპტუალური ანალიზის (ლინგვისტური ინტროსპექციის მეთოდის), სალექსიკონო განმარტებათა ანალიზის (კომპონენტური ანალიზის მეთოდის), დესკრიფციისა და კლასიფიკაციის მეთოდების, კულტურულ-ფონური ინტერპრეტაციის, ინფორმანტთა გამოკითხვის მეთოდის (თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მეთოდის) და კონტექსტოლოგიური მეთოდების სინთეზირებით იქმნება სივრცე, რომელშიც იკვეთება ენის კულტურულ-ფილოსოფიური იპოსტასი.

ნაშრომის თეორიული ღირებულება და მეცნიერული სიახლე იკვეთება:

1. მეთოდოლოგიური პლურალიზმის ერთ თეორიულ „ფოკუსში“ მოქცევის, კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის სააზროვნო სივრცეთა სინთეზირების პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად;
2. კონცეპტის „სიცოცხლე“ მრავალგანზომილებიანობის ენობრივ-კულტურული მანიფესტაციის თავისებურებათა ანალიზის შედეგად;

3. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის “Life” დონეზე რეალობის უწყვეტი (მუდმივი) რეპროდუქციის (ინტერპრეტაციისა და რეინტერპრეტაციის) სპეციფიკის წვდომის შედეგად.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება კვლევის შედეგების ვალიდურობით ლექსიკოლოგიისა და სემანტიკის, ლინგვოკონცეპტოლოგიის, ლინგვოკულტუროლოგიისა და ფსიქოლინგვისტიკის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია კონცეპტის “Life” ენობრივი ობიექტივატორები თანამედროვე ინგლისურ ენაში. ერთეულები მოპოვებულია განმარტებითი ლექსიკონების, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე; განსაზღვრულია კვლევის მიზანი, დასახული მიზნის მიღწევისათვის საჭირო კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

პირველ თავში - „თვალსაზრისები“ - განხილულია სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების არსი; ტაბუში მანიფესტირებული ფსიქოლოგიური, რელიგიური და სოციალური შეზღუდვების სპეციფიკა.

მეორე თავი - „სააზროვნო სივრცეები და კვლევის მეთოდები“ - ეძღვნება ისეთ საკითხთა ანალიზს, როგორცაა: კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის სააზროვნო სივრცეთა მახასიათებლები; მენტალურ ფენომენტთა ინტეგრალური და დიფერენციალური ნიშნები; მეთოდოლოგიის თავისებურებები.

მესამე თავში - „კონცეპტი კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიაში“ - გაანალიზებულია კონცეპტის კოგნიტური და ლინგვოკულტურული ორგანიზაციის თავისებურებები; კონცეპტის “Life” ობიექტივაციის სპეციფიკა თანამედროვე ინგლისურენოვან კულტურაში; კონცეპტის რეალური ფსიქოლოგიური შინაარსი ახალ რეალობაში.

მეოთხე თავში - „ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რეპერტუარი და მეტაფორული მოდელები“ - წარმოდგენილია კონცეპტის „Life“ ფრაზეოლოგიზაციისა და მეტაფორული გააზრების შედეგები თანამედროვე ინგლისურ ენაში.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

თავი I. თვალსაზრისები

1.1. სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების არსი

სიცოცხლის არსის კვლევა გულისხმობს პასუხების ძიებას შემდეგ მნიშვნელოვან შეკითხვებზე: „როგორ გრძელდება ადამიანის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ?“ „რას გულისხმობს რეალური არსებობა?“ „არსებობს თუ არა სულიერი სფერო ფიზიკურს მიღმა?“ „შეუძლია თუ არა გონებას სხეულისგან დამოუკიდებლად არსებობა?“ „აკონტროლებს თუ არა ადამიანი საკუთარ ქმედებებს სრულად?“ „რა უზრუნველყოფს ადამიანის ბედნიერებას?“

სიცოცხლის არსის შესახებ არსებული დისკუსიის ანალიზი ცხადყოფს, რომ არცერთი თეორია არ არის სრულყოფილი და ყველა იდეას მოჰყვება კრიტიკა. არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ადამიანი სიკვდილის შიშით ცხოვრობს. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არსებობაზე ფიქრი კი იმედს უსახავს და შიშს უქრობს ადამიანს. აღნიშნული თვალსაზრისის კრიტიკოსების აზრით, თავად თვალსაზრისის გამზიარებლებიც კი ეჭვქვეშ აყენებენ მის ჭეშმარიტებას. თუმცა, დებატები აქ არ სრულდება. მოსაზრების მხარდამჭერები უპირისპირდებიან კრიტიკოსების არგუმენტს, საპასუხოდ კი ეს უკანასკნელნი კონტრარგუმენტს აყალიბებენ. საბოლოოდ, სიმართლის ძიებისას რომელიმე მხარე უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდება. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დისკუსია ჩიხში მოექცევა, ცხოვრების არსის შესახებ კვლავ იარსებებს ბევრი თვალსაზრისი. ცალკეულ შემთხვევებში ფილოსოფიურ თეორიებში აუცილებლობას წარმოადგენს არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ - ჭეშმარიტებაზე დისკუსია.

ფილოსოფიური აზროვნების საგანძურს წარმოადგენს ძველ ფისოლოფოსთა ნააზრევი, დიდ მოაზროვნეთა ისტორიულ მემკვიდრეობა. ძველ ფილოსოფოსთა ნააზრევი გადაეცემა თაობიდან თაობას და მდიდრდება ახალი თვალსაზრისებით. პლატონისა თუ არისტოტელეს ნააზრევში იკვეთება განსაკუთრებული მსოფლმხედველობა, რომელიც წარმოადგენს ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალს.

არსებობს ფილოსოფიური საკითხების განხილვის სხვადასხვა გზა: მეცნიერული გზა, რომელიც ეყრდნობა ხელშესახებ გამოცდილებას; ინტროსპექტიული გზა, რომელიც ეყრდნობა პირად რეფლექსიას ადამიანის აზროვნების პროცესის შესახებ; ლოგიკური გზა, რომელიც ეყრდნობა წმინდა ლოგიკას.

ფილოსოფია ადამიანისაგან ბევრ ფიქრს მოითხოვს. ჯილდოს კი მნიშვნელოვანი საკითხების ახლებური ხედვის ჩამოყალიბება წარმოადგენს.

სიკვდილი და სიცოცხლე განუყოფელი, კაცობრიობის სულიერ კულტურაში არსებული მარადიული ცნებებია. სიცოცხლისა და სიკვდილის არსზე ფიქრობენ სხვადასხვა სააზროვნო სივრცის წარმომადგენლები.

ადამიანი ცდილობს გაიგოს საკუთარი არსებობის საიდუმლო და მოიძიოს პასუხები შემდეგ მარადიულ კითხვებზე: „რა არის სიცოცხლე?“ „რა არის სიკვდილი?“ „რა ხდება სიკვდილის შემდეგ?“ „შეუძლია თუ არა ადამიანს სიკვდილის თავიდან აცილება და უკვდავების მიღწევა?“ „რა არის მმართველი ძალა ჩვენს სამყაროში: სიცოცხლე თუ სიკვდილი?“ „რა ჭარბობს ჩვენს სამყაროში - სიცოცხლე თუ სიკვდილი?“

სიკვდილი და პოტენციური უკვდავება ის თავსატეხია, რომელიც იზიდავს ფილოსოფოსებს. ადამიანი ფიქრობს სიკვდილზე და ეს ფიქრები განასხვავებს მას ცხოველისგან, მოკვდავისგან, რომელსაც არ ძალუძს სიკვდილზე ფიქრი.

სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთზეა დამოკიდებული, განუყრელია. როცა ფიქრობთ იმაზე, თუ რა არის სიცოცხლე სიკვდილის გარეშე, იმაზეც შეიძლება დაფიქრდეთ, თუ რა იქნება სიკვდილი სიცოცხლის გარეშე. ყველაფერს თავისი ანტონიმური წყვილი აქვს: დღეს - ღამე, თეთრს - შავი. მაშასადამე, სიკვდილის არსებობა გვაფიქრებს სიცოცხლის არსზე. თუკი კარგად დავფიქრდებით, სიკვდილი და სიცოცხლე ჩვენი გამოცდებია: სიცოცხლის არსი სიკვდილის გარეშე წარმოუდგენელია.

ადამიანი ცდილობს მოიძიოს პასუხი შემდეგ შეკითხვაზე: „რა არის სიცოცხლის არსი, რისთვის ვიცხოვრე და ვცხოვრობ, როგორ უნდა ვიცხოვრო, რად ღირს ცხოვრება.“ ამ ყველაფერზე ფიქრის შემდეგ კი შეიძლება დაიბადოს შემდეგი კითხვები: „რა არის ცხოვრების მიზანი, ძევს თუ არა მნიშვნელობა არსსა და მიზნების შინაარსში?“ (North Carolina Press, 1991)

ძნელად მოიძებნება ზრდასრული ადამიანი, რომელსაც ადრე თუ გვიან არ მოუწევს იფიქროს მისი არსებობის მნიშვნელობაზე, მოახლოებულ სიკვდილზე და უკვდავობაზე. მხოლოდ ადრეული ბავშვობა ან სიბერე ათავისუფლებს ადამიანს ამ თავსატეხის ამოხსნისგან. ადამიანები ცდილობენ გაიაზრონ ადამიანის არსებობის საიდუმლო.

სიკვდილი და პოტენციური უკვდავება ყველაზე ძლიერი სატყუარაა გონებაში ფილოსოფიური ლოგიკის ჩასართავად. მთელი ჩვენი ცხოვრება მაინც მარადიულობასთან არის დაკავშირებული. ადამიანი განწირულია სიკვდილზე ფიქრისთვის და ამით განსხვავდება ცხოველისგან, რომელიც მოკვდავია, მაგრამ არ ძალუძს ამ თემაზე ფიქრი. თუმცა, ცხოველები გრძნობენ სიკვდილის მოახლოებას, მათი ქცევა ხშირად წააგავს მარტოობისა და სიმშვიდის მტანჯველ ძიებას.

შესაძლოა, სიკვდილი ბიოლოგიური სისტემის კომპლექსურობისთვის გადახდილ საფასურს წარმოადგენდეს. ერთუჯრედიანი ორგანიზმი პრაქტიკულად უკვდავია. როდესაც ორგანიზმი მრავალუჯრედიანი ხდება, განვითარების გარკვეულ ეტაპზე ირთვება თვითგანადგურების მექანიზმი. საუკუნეების მანძილზე მოაზროვნეები ცდილობენ გააცნობიერონ ჭეშმარიტი უკვდავების არსი. თუმცა, უკვდავების იდეალი არ არის ერთუჯრედიანი ორგანიზმის სახით არსებობა ან უდრტვინველი ცხოვრება. ამ გადმოსახედიდან ადამიანმა უნდა იცხოვროს მუდამ, პრობლემების გარეშე. „გააჩერე წამი“ - ეს არის ასეთი უკვდავების დევიზი, რომლის იმპულსი, ორტეგა ი გასეტის აზრით, არის „ბიოლოგიური სიცოცხლისუნარიანობა“, „სიცოცხლის ძალა“, ის რაც „ზღვას აღელვებს, მხეცს ანაყოფიერებს, ხეს ყვავილებს, სინათლეს ჩუქნის და ვარსკვლავებს აქრობს“. ადამიანი ვერ ეგუება იმ ფაქტს, რომ მას მოუწევს სიცოცხლით სავსე და შეუდარებელი ყოფის დატოვება. მაგრამ, თუკი ადამიანი კარგად დაფიქრდება, მიხვდება, რომ სიკვდილი ყველას ათანაბრებს, აქრობს უთანასწორობას, რომელიც მიწიერ ცხოვრებას ახასიათებს. ამ დროს ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ „მართავს“ სამყაროს - იქნება ეს ღმერთი, სული, კოსმიური გონება, ობიექტური რეალობა თუ ბუნების კანონები. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა აღიაროს ეს წესრიგი და აღმოაჩინოს მის სიღრმეში "ავტონომია". (ორტეგა ი გასეტი, უთარილო / Ortega y Gasset, n.d.)

სიკვდილის პრობლემისადმი ინტერესი შემდეგი მიზეზებითაა განპირობებული: გლობალურმა ცივილიზაციურმა კრიზისმა კაცობრიობა შესაძლოა თვითგანადგურებამდე მიიყვანოს; მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შეიცვალა ადამიანის დამოკიდებულება სიცოცხლისა და სიკვდილისადმი.

სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების მარადიული საკითხების ახსნის ორი ფუნდამენტურად განსხვავებული გზა არსებობს. პირველი მიდგომა შეიძლება შეფასდეს

როგორც ობიექტივისტური. იგი ასოცირდება ისეთი ფილოსოფოსების სახელებთან, როგორცაა: სპინოზა, ჰოლბახი, ჰეგელი, ლაფარგი. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება მსოფლიოს უწყვეტი წესრიგის თავდაპირველ იდეას, რომელშიც ყველა მოვლენა წინასწარ არის განსაზღვრული, მსოფლიოს ისტორიის ყველა ეტაპი წინასწარაა „დახატული“ (შელდონ / Sheldon, 1995)

უძველესი დროიდან ადამიანი საკუთარ თავს უსვამდა კითხვას საკუთარი არსებობის არსის შესახებ. ბევრი ფილოსოფოსი და მოაზროვნე ცდილობდა ეპასუხა შემდეგი შეკითხვისათვის: „რისთვის ცხოვრობს ადამიანი, რისთვის მოვიდა ამქვეყნად, რატომ მოკვდა და რა ემართება მას სიკვდილის შემდეგ“.

ბერძენი მოაზროვნეების იდეამ ადამიანისა და მისი გონების შესახებ დიდი როლი ითამაშა თავად ბერძნული კულტურის ქვაკუთხედის - თვითშემეცნებისკენ მოწოდების სულის ჩადგმაში. დელფოში აპოლონის ტაძრის შესასვლელში სვეტზე ამოკვეთილი გამონათქვამი „შეიცანი თავი შენი“ ისტორიის გარდამტეხ მომენტებში წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ იდეას.

სოკრატესათვის ადამიანური ცხოვრების არსი ფილოსოფიაში, მუდმივ თვითშემეცნებაში, გამოცდის გზით საკუთარი თავის მარადიულ ძიებაშია. ეს ძიება მიმართულია იმის პოვნაზე, თუ რა არის კარგი და ბოროტი, ლამაზი და მახინჯი, სიმართლე და შეცდომა. პლატონის აზრით, ბედნიერება (ნეტარება) ხელშესახებია მხოლოდ სიცოცხლის შემდეგ არსებულ სამყაროში, როდესაც უკვდავი სული - იდეალის არსი ადამიანში - განთავისუფლდება მოკვდავი სხეულის ბორკილებისგან. (პლატონი, უთარილო / Plato, n.d.).

ადამიანის ბუნება, პლატონის მიხედვით, მისი სულით, უფრო სწორად კი, სულით და სხეულით განისაზღვრება, მაგრამ სულის უპირატესობა სხეულზე ნათელია, რადგან იგი სიკვდილზე უფრო უკვდავია. პლატონის სწავლებით, ადამიანის სული შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი გამოხატავს გონივრულ შესაძლებლობებს, მეორე არის ნება, მესამე კი - ინსტინქტურობა-აფექტურობა. (უთარილო) ადამიანის ცხოვრების არსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ მათგანს აირჩევს. კითხვაზე, თუ რაზე უნდა იფიქრონ ადამიანებმა, ანტისტენესმა უპასუხა: „ბედნიერად სიკვდილზე“. „ყველამ, ვისაც სურს იყოს უკვდავი, - თქვა მან - უნდა იცხოვროს ღვთისმოსავი და მართალი ცხოვრებით“. „სახელმწიფოები იღუპებიან, როცა ვეღარ განასხვავებენ ცუდს კარგისგან“.

მართალია, სიკვდილის გარდაუვალობა აღიარებულია, ადამიანები მაინც აგრძელებენ მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების ძიებას. ადამიანი ამქვეყნად იმისათვის მოდის, რომ იცოცხლოს და არა იმისათვის, რომ მოკვდეს. ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი ღირებულებაა. ეს არის ყველაფერი, რაც გაგვაჩნია. ამიტომაც ესოდენ მნიშვნელოვანი მისი შენარჩუნება და მაქსიმალურად გახანგრძლივება, მაგრამ ადამიანი მაინც სიკვდილის კანონებს ემორჩილება. (ანტისთენესი, უთარილო / Antisthenes, n.d.) სიკვდილი სიცოცხლის აუცილებელი ელემენტია, მაგრამ რატომ უნდა დაემორჩილოს მას ადამიანი? იან ჟუს მიხედვით, ადამიანს მაქსიმუმ ასი წელი შეუძლია იცოცხლოს, რასაც მხოლოდ ათასში ერთი ადამიანი ახერხებს, ისიც იშვიათად. იგი კატეგორიულად უარყოფს პიროვნული უკვდავების შესაძლებლობას. (იან ჟუ, უთარილო / Yan Zhu, n.d.)

თუ ადამიანმა გამოიარა მწუხარება და სიხარული, იცხოვრა წესრიგსა და ქაოსში, მაშინ ასი წელი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ დაიღალოს: ხომ შესაძლებელია ხანგრძლივმა ცხოვრებამაც დაღალოს?“ (Crown Publishers, Inc, 1997). რომ არ არსებობდეს დასასრული, ცხოვრება რომ უსასრულოდ მტანჯველი იყოს, სიცოცხლის არსიც არ იარსებებდა. სიკვდილი - საბოლოო საშინელება და საბოლოო ბოროტება - არის ერთადერთი გამოსავალი თავი დააღწიო ცუდ დროებას. უკვდავი და მარადიული სიცოცხლე მხოლოდ სიკვდილით არის მიღწევადი. ცხოვრება ფასდება, რადგან არსებობს სიკვდილი, მისი დასასრული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი უფრო ამაღლებული ცხოვრებისთვის არსებობდა. სიცოცხლის დროსა და მარადიულ ცხოვრებას შორის არსებობს გამყოფი ხაზი - სიკვდილი, რომელიც ხელს უწყობს ამ ტრანზიციას.

სიკვდილი არა მხოლოდ ამქვეყნად ცხოვრების აბსურდულობაა, მისი წარმავლობა, არამედ სიღრმიდან გამოსვლის ნიშანიც, რაც სიცოცხლის უმაღლესი მნიშვნელობის არსებობაზე მიუთითებს. სიკვდილისას მკვდრები არ იტანჯებიან. ჩვენ შეგვიძლია სიკვდილიც კი ვადიდოთ, როცა ის ბოლოს მოუღებს უკიდურეს ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ წნებს. თუმცა, სიკვდილზე, როგორც „ჯილდოზე“, საუბარი არასწორია, რადგან ნამდვილი ჯილდო, ისევე როგორც ნამდვილი სასჯელი, მოითხოვს გამოცდილების შედეგად მიღებულ გაკვეთილს. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს დრო, როცა სიკვდილი უფრო ეფექტური იქნება მისი ძირითადი მიზნებისთვის, ვიდრე - სიცოცხლე. ანუ მისი სიკვდილი უფრო ფასეული იქნება, ვიდრე სიცოცხლე. სიკვდილის სოციალურ მნიშვნელობასაც აქვს თავისი დადებითი მხარე. სიკვდილი აერთიანებს ჩვენს ღრმა ემოციებს და ხაზს უსვამს ჩვენი საბოლოო ბედის თანასწორობას. სიკვდილის

უნივერსალურობა გვახსენებს ადამიანის ერთიანობას. სიკვდილს დადებითი მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ სიკვდილი ამავედროულად ყველაზე საშინელი და ერთადერთი ბოროტებაა. ყოველი ბოროტება შეიძლება სიკვდილამდე დავიყვანოთ. სიკვდილის გარდა სხვა ბოროტება არ არსებობს. ადამიანები ყოველთვის ეძებენ ხსნას გარდაუვალი სიკვდილისგან არა მარტო სხეულისა თუ სულის უკვდავების ძიებით, არამედ სიკვდილისადმი ერთგვარი „გულგრილობით“. ამას ეფუძნება ეპიკურუსის „ლამაზი ცხოვრების“ პრინციპი, რომელიც შემდგენიერად ჟღერს: „შევეგუოთ აზრს, რომ სიკვდილს ჩვენთან არავითარი საქმე არ აქვს. ყველაფერი კარგი და ცუდი გრძნობაა, სიკვდილი კი გრძნობის დაკარგვაა. მაშასადამე, სიკვდილს ჩვენთან არავითარი კავშირი არ აქვს, იგი მოკვდავობას ლაღ ცხოვრებად აქცევს ... (ჩალმერსი, 1996 / Chalmers, 1996)

თუ მისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ხალხმა ვერ გააცნობიერა მათი მიზანი, რამდენი ხანიც არ უნდა იცოცხლონ, მათი ცხოვრება მაინც არ იქნება სათანადო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არის შემთხვევები, როცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიკვდილი კარგია! მონტენი აღიარებს, რომ ადამიანს უკვდავებას ჰპირდება მხოლოდ ღმერთი და რელიგია, არც ბუნება და არც გონება არ საუბრობს ამაზე. (მონტენი , უთარილო / Montaigne, n.d.)

ობიექტური მეცნიერული პოზიციების თანახმად, სიკვდილი სიცოცხლის მარეგულირებლად და ორგანიზატორად შეიძლება გვეჩვენოს. გარემოში მყოფი ყველა ორგანიზმი მრავლდება. „სიცოცხლის ძალა“ ძალიან სწრაფად აქცევს ხმელეთის ბიოსფეროს ორგანიზმების გროვად. საბედნიეროდ, თაობები იცვლებიან. მხოლოდ ასეთი სქემით არის შესაძლებელი ორგანიზმების ევოლუცია. სიკვდილი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, მან სასარგებლო და აუცილებელი როლი ითამაშა ბიოლოგიური ევოლუციის ხანგრძლივ ისტორიაში. მართლაც, სიკვდილის დამსახურებით მოხდა ბუნებრივი გადარჩევა, რამაც გამოიწვია ორგანიზმების განვითარება. ამ ყველაფრის გარეშე ადამიანი არც იარსებებდა. სამწუხაროდ, ამ ყველაფრის გააზრება არ გვეხმარება იმაში, რომ სიცოცხლის შეწყვეტას მშვიდად ველოდოთ.

სიკვდილის პრობლემა ფროიდისათვის მნიშვნელოვან თემად იქცა. (ფროიდი, უთარილო / Freud, n.d.) სიკვდილის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული დროის პრობლემასთან. უკვდავების პრობლემა მეორეხარისხოვანია და ის, როგორც წესი, არასწორად არის წარმოდგენილი. სიკვდილი არის ცხოვრების ყველაზე ღრმა და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ამაღლებს ჩვეულებრივ მოკვდავს. მხოლოდ

სიკვდილი აყენებს ცხოვრების მნიშვნელობის საკითხს. ამჟვეყნად სიცოცხლე იმიტომ ღირს, რომ არსებობს სიკვდილი. (ლევინსონი და ვესტფალი, 1993 / Levinson & Westphal, 1993)

ქრისტიანობის თეანთროპული არსი გამოიხატება იმაში, რომ პიროვნების, როგორც მთლიანი არსების უკვდავება მხოლოდ აღდგომის გზითაა შესაძლებელი. ამ გზაზე ქრისტემ მიგვითითა ჯვარცმითა და აღდგომით. ეს მართლაც საოცრებაა, რადგან ადამიანი მომდინარეობს ბუნებრივი, კოსმიური ძალებისა და ელემენტებისგან, რომელიც ღმერთის პირისპირ წარსდგება, რომელიც ასევე ადამიანია.

ამრიგად, ადამიანის სიცოცხლის მიზანი არის მარადიული სიცოცხლისთვის გაწეული მარცხი. ამის გაცნობიერების გარეშე დედამიწაზე არსებობა გარდაიქმნება ოცნებად, ცარიელ და უმიზნო ოცნებად, რომელიც ბუშტივით გაქრება. არსებითად, ეს არის მხოლოდ მარადიული სიცოცხლისთვის მზადება, რომელიც ყველას ელის. სიკვდილი ტრაგედია კი არა, სხვა სამყაროში გადასვლაა, რომელშიც უკვე ბინადრობს მრავალი კეთილი თუ ბოროტი სული. ერთ-ერთი მართლმადიდებელი იერარქის თქმით: "მომაკვდავი ადამიანის ჩამქრალი ნათელი სხვა სამყაროს გარიჟრაჟს ანათებს". (იერარქი, უთარילו / Hierarchēs, n.d.)

სამოთხისა და ჯოჯოხეთის აღწერილობები ყურანში სავსეა მკაფიო დეტალებით, სადაც კეთილი და ბოროტი იმას იღებს, რისი ღირსიც არის. სამოთხე მშვენიერი მარადიული ბაღითაა წარმოდგენილი, სადაც მოედინება რძისა და ღვინის მდინარეები. მწვანე ბაღიშებით მიმოფანტულ ხალიჩაზე მოთავსებული არიან „მარადიულად ახალგაზრდა ბიჭები“. ჯოჯოხეთი ცოდვილების ადგილია, სადაც ცეცხლი და მდულარე წყალი, ყვირილი და ღრიალია.

ბუდისტებისთვის სიკვდილისა და უკვდავებისადმი დამოკიდებულება ძალიან განსხვავდება ქრისტიანებისა და მუსლიმების დამოკიდებულებებისგან. თავად ბუდამ უარი თქვა შემდეგ კითხვებზე პასუხის გასაცემად: „უკვდავი, რომელმაც იცოდა სიმართლე, მოკვდავია?“

„შიეძლება მცოდნე იყოს მოკვდავი და უკვდავი ერთდროულად?“ ფაქტობრივად, მან აღიარა მხოლოდ ერთი სახის „გამორჩეული უკვდავება“ - ნირვანა, როგორც ტრანსცენდენტული ზეკაცის განსახიერება, ყველაფრის საწყისი. ვინაიდან ადამიანი

წარმოდგენილია როგორც დჰარმას ჯამი, რომელიც ტრანსფორმაციის მუდმივ ნაკადშია, ის ერთვება აბსურდულობასა და დაბადებათა ჯაჭვების უაზრობაში. დჰამპადა ამბობს: „დაბადება და ისევ დაბადება, სამწუხაროდ“. (დჰამპადა, უთარილო / Dhammapada, n.d.) გამოსავალი არის ნირვანას მიღწევა, გაუთავებელი აღორძინების ჯაჭვის გაწყვეტა, ადამიანის გულში დალოცვილი „კუნძულების“ მოძებნა, სადაც არაფერს არ შეუძლია მისი გაჩერება. ნირვანას ცნობილი სიმბოლო - სიცოცხლის გამომხატველი მოგიზგიზე ალი - კარგად გამოხატავს სიკვდილისა და უკვდავების ბუდისტური გაგების არსს. როგორც ბუდამ თქვა: „ადამიანის ცხოვრების ერთი დღე, რომელმაც დაინახა უკვდავების გზა, ჯობს სიცოცხლის ას წელს“ (ჰეიდეგერი, 1962 / Heidegger, 1962).

მშვიდი დამოკიდებულება სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავებისადმი, ბოროტებისგან განთავისუფლების სურვილი გვხვდება სხვა აღმოსავლურ რელიგიებშიც. ნიშანდობლივია თვითმკვლევლობის თემა: იგი, არათუ უაზრო მცდელობაა დაბადებისა და სიკვდილის ციკლის შეჩერებისა, არამედ იგი უარესი ინკარნაციის დასაწყისია. ეს ეწინააღმდეგება ბუდიზმის ცნებას, სადაც „პიროვნების ბუნება უწყვეტი სიკვდილია“. XX საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტის, ვ. ვიტმანის აზრით, ცხოვრების იდეა „მშვიდად მომლიმარ სიკვდილშია“. უკვდავების მოპოვება შესაძლებელია მაშინ, როდესაც ადამიანი სიცოცხლეს ადავსებს ტანჯვით (ბინძური ქმედებებით - ეგოიზმით, ბრაზით, სიამაყით, სიცრუით) და საკუთარი „მე“-ს ძალით. (ვიტმანი, უთარილო / Wittmann, n.d.)

კაცობრიობის სულიერი ცხოვრების, სიკვდილისა და უკვდავების ისტორიაში არსებობდა მრავალი კონცეფცია სიცოცხლის შესახებ, რომელიც ეფუძნებოდა სამყაროსა და ადამიანისადმი არარელიგიურ და ათეისტურ მიდგომებს. არარელიგიური ადამიანები და ათეისტები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ დედამიწას მხოლოდ არსებობისთვის მოევლინენ, სიკვდილი კი დაუძლეველი ტრაგედიაა, რომელიც სიცოცხლეს აზრს აკარგვინებს.

ისლამის თანახმად, ადამიანის შექმნა ყოვლისშემძლე ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული. ღმერთი კი მოწყალეა. კაცის კითხვაზე: „მოგკვდი, თუ სიცოცხლით უნდა ვიტანჯო?“ ალაჰი პასუხობს: “ნუთუ არ გახსოვთ, რომ ეს ყველაფერი გავიარეთ და მანამდე ადამიანი არაფერი იყო?” ქრისტიანობისგან განსხვავებით, ისლამში მიწიერი ცხოვრება უფრო ფასეულია. თუმცა, ბოლოს ყველაფერი განადგურდება და მკვდრები აღდგებიან და დადგებიან ალაჰის წინაშე საბოლოო განკითხვისთვის. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის

რწმენა აუცილებელია, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანი შეაფასებს თავის ქმედებებს და საქმეებს არა პირადი ინტერესის, არამედ მარადიულად არსებობის პერსპექტივისთვის. განკითხვის დღეს მთელი სამყაროს განადგურება გულისხმობს ახალი სრულყოფილი სამყაროს შექმნას. თითოეულ ადამიანს მოუწევს თავისი ქმედებების, ფიქრებისა და საიდუმლოს გამჟღავნება. ამრიგად, წესი, ფიზიკურ კანონებზე მეტად, მორალსა და გონიერებას სცნობს. მორალურად სუფთა ადამიანი არ დამცირდება, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაშია. ისლამი კატეგორიულად კრძალავს თვითმკვლელობას.

ინტერესს იწვევს სიცოცხლის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიების შემთხვევები: სიცოცხლე - ტანჯვა (ბუდა, შოპენჰაუერი და სხვ. / Buddha, Schopenhauer, et al.); სიცოცხლე - ძილი (ვედასი, ლა ბრუიერი, პლატონი, პასკალი / Vedas, La Bruyère, Plato, Pascal); სიცოცხლე - ბოროტების უფსკრული (ძველი ეგვიპტური ტექსტი, "ადამიანის საუბარი სულთან"). „და მე შემძულდა სიცოცხლე, რადგან მეზიზღებოდა ის რაც ხდება ღია ცის ქვეშ - ამოება და სულის ტანჯვა“ (ეკლესიასტე / Ecclesiastes); "ადამიანის სიცოცხლე შესაბრალოა" (სენეკა / Seneca); „სიცოცხლე - ბრძოლა და მოგზაურობა უცხო მიწაზე“ (მარკუს ავრელიუსი / Marcus Aurelius); „ფერფლი, მოჩვენება, ჩრდილი და კვამლი" (იოანე დამასკელი / John of Damascus); „სიცოცხლე არის ერთფეროვანი, მოსაწყენი სანახაობა“ (პეტრარქი / Petrarca); „სიცოცხლე - სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის, თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავეს აურზაურით“ (შექსპირი / Shakespeare); „ადამიანის სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი ილუზია“ (პასკალი / Pascal); „მთელი ცხოვრება - მხოლოდ ცრუ იმედების ფასი" (დიდრო / Diderot); "ჩემი ცხოვრება - მარადიული ღამე ... რა არის სიცოცხლე, თუ არა სიგიჟე?" (კირკეგორი / Kierkegaard); „ადამიანის მთელი სიცოცხლე ღრმად არის ჩაფლული ჭეშმარიტებაში“ (ნიცშე / Nietzsche).

მეტად საინტერესოა მოაზროვნეთა გამონათქვამები სიცოცხლეზე: ხოსე ორტეგა გასეტმა განსაზღვრა ადამიანი არა როგორც სხეული და სული, არამედ კონკრეტული ადამიანური დრამა. (ხოსე ორტეგა გასეტი, უთარილო / José Ortega y Gasset, n.d.) მართლაც, ამ თვალსაზრისით, ყოველი ადამიანის ცხოვრება დრამატული და ტრაგიკულია: თითქოს წარუმატებელი, არამყარია - დასასრული კი გარდაუვალი. ეკლესიასტე ამას ასე აყალიბებს: „რადგან ცოცხლებში შერაცხილს კიდევ აქვს იმედი; რადგან ცოცხალი ძალდი მკვდარი ლომის უმჯობესია“. საუკუნეების შემდეგ, საბერძნეთში ეპიკურე ცდილობდა ამგვარად გაეცა კითხვებისთვის პასუხი: „შევეგუოთ იმ აზრს, რომ სიკვდილი ჩვენთან არ არის დაკავშირებული (ეპიკურე / Epicurus). ჩვენი არსებობისას სიკვდილი ჩვენს გვერდით

არ არის და როდესაც სიკვდილი არსებობს, მაშინ ჩვენ არ ვარსებობთ." ადამიანი ვერ ეგუება იმ ფაქტს, რომ მას მოუწევს სიცოცხლით სავსე და შეუდარებელი ყოფის დატოვება. როგორც სამყაროს ამ შესანიშნავი სურათის მარადიული მაყურებელი არ ფიქრობთ, რომ შეიძლება რამე უფრო მაცდური იყოს? მაგრამ, ამაზე ფიქრით იწყებ იმის გაგებას, რომ სიკვდილი, ალბათ, ერთადერთი რამაა, რაც ათანასწორებს ყველას: მდიდარს და ღარიბს, ბინძურს და სუფთას, მას ვისაც უყვარს და უყვართ. ადამიანის სიბრძნე ხშირად გამოიხატება მშვიდი დამოკიდებულებით სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართ. როგორც მაჰათმა განდიმ თქვა: „ჩვენ არ ვიცით რომელი ჯობია იცხოვრო თუ მოკვდე. მაშასადამე, არ ღირს სიცოცხლის ზედმეტად გაღმერთება ან სიცოცხლისადმი ზედმეტი შიში. ორივეს თანაბრად მოვეპყროთ. ეს არის სრულყოფილება“. (მაჰათმა განდი, უთარილო / Mahatma Gandhi, n.d.) განდიზე დიდი ხნით ადრე "ბჰაგავად გიტაში" ითქვა: "მართლაც, სიკვდილი განკუთვნილია მათთვის, ვინც დაიბადა, ხოლო დაბადება გარდაუვალია გარდაცვლილისთვის." (ბჰაგავად გიტა, უთარილო / Bhagavad Gita, n.d.)

სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების პრობლემების განხილვა გულისხმობს ადამიანის ცხოვრების არსის ახსნასა და მის გამიჯვნას ყველა ცოცხალი არსების ცხოვრებისაგან. საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსები და წინასწარმეტყველები ცდილობენ იპოვონ ზღვარი. ვაცნობიერებთ, რომ მოკვდებით და ვაგრძელებთ მარადიულობის ძიებას. დასასრულს მოახლოებული ცხოვრება ნიადაგს უმზადებს მეორეს. ადამიანი კი თავისი ცხოვრების განმავლობაში განწირულია ცხოვრებისა და მის უაზრობაზე ფიქრისთვის. ამ მტანჯველ ფიქრებს კი იგი ღვინოსა თუ ნარკოტიკულ საშუალებებში ახშობს.

ისმის კითხვები: „რა ვუყოთ ახალშობილის გარდაცვალების ფაქტს, რომელსაც ჯერ სამყაროსი არაფერი გაუგია ან გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანის გარდაცვალებას, რომელსაც არაფრის გაგება არ შეუძლია?“ „ადამიანი სიცოცხლეს ჩასახვისთანავე იწყებს თუ დაბადების დროს?“

მარადიულობა არ გამოარჩევს ერთმანეთისგან იმ პატარებს, რომლებიც შიმშილისგან აფრიკაში კვდიბიან და არც გამორჩეულ ლიდერებს, რომელთაც მიწას პომპეზურად აბარებენ. ინგლისელმა პოეტმა დ. დონმა თქვა, რომ ყოველი ადამიანის სიკვდილი ამცირებს კაცობრიობას და ამიტომ „არასოდეს იკითხო, ვისთვის რეკავს ზარი, ის შენთვის რეკავს“. ცხადია, ადამიანის სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების სპეციფიკა

პირდაპირ არ არის დაკავშირებული გონებასთან, ადამიანის წარმატებებსა და მიღწევებთან, თანამედროვეებისა და შთამომავლების მიერ მის შეფასებასთან. (დონი, უთარილო / Donne, n.d.) ადრეულ ასაკში ბევრი გენიოსის სიკვდილი, რა თქმა უნდა, ტრაგიკულია, მაგრამ არ არსებობს საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ მათი მომავალი ცხოვრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამყაროს კიდევ უფრო მეტ ბრწყინვალეებას შესძენდა. აქ მოქმედებს რაღაც არც თუ ისე მკაფიო, მაგრამ ემპირიულად აშკარა კანონზომიერება, რომელიც გამოვლენილია ქრისტიანობაში: „ღმერთს საუკეთესო მიჰყავს“. ამრიგად, სიცოცხლეს და სიკვდილს რაციონალური ცოდნით ვერ განსაზღვრავ, ის არ ჯდება სამყაროსა და ადამიანის ხისტ დეტერმინისტულ მოდელში. ამ ცნებების შესახებ კამათი განპირობებულია თითოეული ადამიანის პირადი ინტერესით და მისი უნარით ინტუიციურად გაიაზროს ადამიანური არსებობის საფუძველები. ამ მხრივ, თითოეული ჰგავს მოცურავეს, რომელიც ტალღებში შევარდა. მხოლოდ საკუთარი თავის იმედად ხარ დარჩენილი, მიუხედავად ადამიანური სოლიდარობისა, ღმერთის რწმენისა, ინტელექტისა და ა.შ. ყველაზე კარგად აქ ვლინდება ადამიანის უნიკალურობა. გენეტიკოსების შეფასებით, ამ კონკრეტული ადამიანის დაბადების ალბათობა ერთია ას ტრილიონ შემთხვევაში. რა გასაოცარია ფიქრი იმაზე, თუ როგორ წარმოიდგენს ადამიანი სიცოცხლის არსს, როდესაც იგი სიკვდილსა და სიცოცხლეზე ფიქრობს.

უკვდავების მოპოვების იდეა ადრე თუ გვიან ექცევა ადამიანის ყურადღების ცენტრში, მით უმეტეს, თუ მან სიმწიფის ასაკს მიაღწია. არსებობს რამდენიმე სახის უკვდავება, რაც დაკავშირებულია მის საქმესთან, შვილებთან, შვილიშვილებთან, პირად ნივთებთან, ინტელექტუალურ საკუთრებასთან.

უკვდავება, პირველ რიგში, უმრავლესობისთვის შთამომავლობაშია. ამ თვალსაზრისის მომხრეთა შორის არიან ქორწინებისა და ოჯახის მოძულე პირები. ადამიანს ყველაზე მეტად სურს შვილების და შვილიშვილების ნახვა. ევროპის დინასტიებს მრავალი თაობის განმავლობაში გადაეცემოდა გარკვეული ნიშნები. ამაში იგულისხმებოდა არა მარტო ფიზიკურობა, არამედ მორალი და პრინციპები.

სხეულის უკვდავების შენარჩუნების მეორე გზა მუმიფიკაციაა. ეგვიპტელი ფარაონების გარდა, თანამედროვე მუმიფიკაციის მაგალითები (ლენინი, მათ მდუნ და სხვ.) ცხადყოფს, რომ ზოგიერთ ცივილიზაციაში ამგვარი ქცევა მიღებულია. სხეული გაყინულია იმ იმედით, რომ მომავალში მას გააცოცხლებენ და განკურნავენ. ადამიანის

ასეთი გაფეტიშება ძირითადად ტოტალიტარული საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც ძველი ძალა სახელმწიფოს სტაბილურობის ბაზისი ხდება.

უკვდავების მესამე სახეობა სამყაროში მიცვალებულის სხეულისა და სულის დაშლა/გავრცელება, კოსმიური „სხეულის“ მატერიის მარადიულ ციკლში ჩართვაა. ეს მოსაზრება ტიპურია აღმოსავლური ცივილიზაციისთვის, განსაკუთრებით იაპონურისთვის. ასეთი შეხედულება ახლოსაა სიცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთობის ისლამურ მოდელთან და მრავალფეროვან მატერიალისტურ, უფრო სწორად კი, ნატურალისტურ კონცეფციასთან. აქ საუბარია პიროვნული თვისებების დაკარგვაზე და სხეულის ნაწილაკების შენარჩუნებაზე, რომლებიც შეიძლება შევიდნენ სხვა ორგანიზმთა შემადგენლობაში. ეს არის ძალიან აბსტრაქტული შეხედულება უკვდავებაზე, რომელიც მიუღებელია ადამიანთა უმრავლესობისათვის.

უკვდავების მეოთხე სახეობა ასოცირდება ადამიანის შემოქმედებით ცხოვრებასთან. სამეცნიერო აღმოჩენა, ლიტერატურისა და ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოებების შექმნა, კაცობრიობის ახალი რწმენის გზაზე მითითება, ფილოსოფიური ტექსტის შექმნა, ნიშანდობლივი სამხედრო გამარჯვება და სიბრძნის დემონსტრირება - ეს ყველაფერი ტოვებს პიროვნების სახელს. გმირები და წინასწარმეტყველები, მოწამეები და წმინდანები, არქიტექტორები და გამომგონებლები, სასტიკი მმართველები და კრიმინალები სამუდამოდ რჩებიან კაცობრიობის მეხსიერებაში. ეს ყველაფერი პიროვნების იდენტობის შესახებ გაურკვევლობას ბადებს. როგორც ჩანს, რაც უფრო მეტი სიცოცხლეა დამოკიდებული ისტორიულ პერსონაჟზე, მით უფრო დიდია მისი შანსი მოხვდეს ისტორიაში. ასობით მილიონი ადამიანის ცხოვრებაზე გავლენის მოხდენის უნარი, „ქარიზმა“ არის ძალა, რომელიც, პატივისცემასთან ერთად, შიშსაც იწვევს ხალხში. ასეთი ადამიანები ლეგენდები ხდებიან და მათი ხსოვნა თაობიდან თაობას გადაეცემა.

უკვდავების მეხუთე სახეობა დაკავშირებულია სხვადასხვა მდგომარეობის მიღწევასთან, რომელსაც მეცნიერება უწოდებს „ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებს“. ძირითადად, ეს ეხება აღმოსავლურ რელიგიებსა და ცივილიზაციებში გავრცელებულ მედიტაციასა და ფსიქო სისტემას. ამ დროს ხდება გარღვევა სივრცესა და დროში, წარსულსა და მომავალში. შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილისა და უკვდავების მნიშვნელობა, ისევე როგორც მისი მიღწევის გზები, სოცოცხლის მნიშვნელობის პრობლემის მეორე მხარეა.

ცხადია, ეს საკითხები განსხვავებულად განიხილება. სხვაობა კი განპირობებულია ცივილიზაციის „სულიერი მდომარეობის“ თავისებურებით.

ადამიანი თავგამოდებით ცდილობს იპოვოს სიცოცხლის არსი, რომელიც არ იქნებოდა განადგურებული გარდაუვალი სიკვდილით. მორწმუნესთვის ყველაფერი ნათელია, მაგრამ ურწმუნოსთვის ამ პრობლემის სამი შესაძლო გადაწყვეტის ალტერნატივა არსებობს.

პირველი გზა - მეცნიერების და უბრალოდ სადი აზრის მიღება, რომ სამყარო არ შეიძლება იყოს მხოლოდ ელემენტარული ნაწილაკების განადგურება. კომპლექსურ სისტემებს გააჩნიათ ინფორმაცია და ორგანიზაციული ხასიათი. შესაბამისად, ჩვენი „მე“-ს ნაწილაკები სიკვდილის შემდეგ შედიან სიცოცხლის მარადიულ ციკლში და ამ თვალსაზრისით უკვდავები ხდებიან. თუმცა მათ არ ექნებათ გონება, სული, რომელიც აკავშირებს ჩვენს „მე“-ს. უფრო მეტიც, ამ სახის უკვდავებას ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იძენს. პარადოქსულადაც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ცოცხლები ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველ წამს ვკვდებით. ყოველდღიურად ქრება სისხლის წითელი უჯრედები, ჩვენი ლორწოვანი გარსის ეპითელიური უჯრედები, გვცვივა თმა და ა.შ. მაშასადამე, სიცოცხლე და სიკვდილი წარმოადგენენ ერთი და იმავე მონეტის ორი მხარეს. სიკვდილის პირისპირ ადამიანები, ისევე როგორც ნებისმიერი ცოცხალი არსება, ერთმანეთის ტოლები არიან - ქრობა დედამიწაზე დასადგურებული უთანასწორობაა. არარელიგიური მიდგომის მიხედვით, დაშვებულია ჩემი „მე“-ს მარადიული სიცოცხლის არარსებობა და ბუნებასთან შერწყმის გარდაუვალობა. ამ შემთხვევაში არსებობს პრობლემა, რომ ადამიანები დაეყრდნობიან თავიანთ მორალურ გადაწყვეტილებებს.

მეორე გზა გულისხმობს უკვდავების მოპოვებას ადამიანურ საქმიანობაში, მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის შედეგებში, რომლებიც კაცობრიობის საგანძურია. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავრწმუნდეთ, რომ კაცობრიობა უკვდავია და კოსმოსს უერთდება. ამ სახის უკვდავების იდეალებსა და მამოძრავებელ ძალებს შორის დისკუსიებში ხშირად ფიგურირებდა თემა იმის შესახებ, რომ კაცობრიობა უნდა გათავისუფლდეს კლასობრივი და სოციალური ჩაგვრისგან, უნდა გაჩაღდეს ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნებისთვის, მშვიდობისა და სამართლიანობისთვის და ა.შ. ამგვარი მებრძოლები თავიანთი მიღწევებით მარადისობას ერწმინან.

უკვდავების მესამე გზას, როგორც წესი, ადამიანები ირჩევენ. მოქმედების საზღვრები არ სცილდება მათ სახლებსა და უშუალო გარემოს. შეიძლება არსებობდეს კითხვა „სიღრმისეულობის“ შესახებ, რომელიც გამოხატულია გოეთეს მეფისტოფელის სიტყვებით: „თეორია, ჩემო მეგობარო, მშრალია, მაგრამ სიცოცხლე მწვანე ხეა“. ადამიანის ცხოვრება ჩვეულებისამებრ მიედინება, მიზეზის ძიებისა და მარადიული ნეტარების ძიების გარეშე. არსებობს ტერმინი „სასიცოცხლო“, როგორც კრიტერიუმი სიცოცხლისუნარიანობის ყველა შესაძლო ნიშნის აღსაწერად, რომელიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

შეიძლება აღინიშნოს უკვდავების მოპოვების სხვა ცნებები, რომლებიც მიზნად ისახავს ბუნების კანონების შეცვლას (პანთეიზმი აინშტაინის სულისკვეთებით), „სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე“ (მუდი, ფორდი და სხვ. / Moody, Ford, et al.), ისევე როგორც მრავალი მისტიკური ნაკადი, რომელიც დაფუძნებულია სხვა სამყაროს რეალურ არსებობაზე და მიცვალებულებთან კომუნიკაციის შესაძლებლობაზე. უფრო მეტიც, არსებობს შეხედულებები ადამიანის ფანტომურ ძალაზე, რომელსაც შეუძლია სხვა განზომილებებში იმოძრაოს ფიზიკურ სიკვდილამდე. ამას მივყავართ მარადიულობის პრობლემის სხვაგვარ გაგებად, რომელიც დაკავშირებულია თვითგამორკვევის აუცილებლობასთან ინფორმაციისა და ენერჯის მატარებელ მარადიულ სამყაროში. თანამედროვე ტანატოლოგია მეცნიერების ერთ-ერთი „ცხელი წერტილია“.

თითოეული ადამიანის ცხოვრების არსის ძიება ინდივიდუალურია. შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილისა და უკვდავების მნიშვნელობა, ისევე როგორც მისი მიღწევის გზები, ცხოვრების არსის პრობლემის მეორე მხარეა. რა თქმა უნდა, ეს საკითხები განსხვავებულად აღიქმება სხვადასხვა ცივილიზაციებში. თუ ადამიანს აქვს ერთგვარი სიკვდილის ინსტინქტი (როგორც ამას ფროიდი ამტკიცებს), თითოეულს აქვს ბუნებრივი, თანდაყოლილი უფლება არა მხოლოდ იცხოვროს, არამედ დაიბადოს და მოკვდეს ადამიანის სხეულში.

ჰუმანიზმი და ადამიანებს შორის ჰუმანური ურთიერთობა არის კაცობრიობის გადარჩენის საფუძველი და გარანტი. ჰუმანიზმის დამსახურებაა ის, რომ სოციალურმა ან ბუნებრივმა კატასტროფებმა ვერ შეძლეს კაცობრიობის განადგურება და დაცემა.

ზოგადად, სიცოცხლე დადლილი სულის უფლებაა, რომ იცოცხლოს. არსებობს კაცობრიობის მარადიული ბუნების შესახებ ძირითადი შეხედულებები. ადამიანი არ

ემშვიდობება დედამიწაზე სიცოცხლეს. თითოეული ადამიანი თავს გრძნობს დედამიწის იდეოლოგიური სისტემის ელემენტად რაღაც ეტაპზე.

საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ სიცოცხლის არსის ძიება ღრმა ადამიანური მოთხოვნილებაა (ფრანკლი, 1971 / Frankl, 1971). განცდა, რომ ადამიანის ცხოვრება აზრიანია, დაკავშირებულია ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის იმდენ მაჩვენებლებელთან, რომ მას „კეთილდღეობის მთავარი მაჩვენებელი“ უწოდეს (სტეგერი, 2017, სტეგერი, 2013; / Steger, 2017; Steger, 2013). ამრიგად, ნათელია, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ცხოვრების არსი. ამ თემით დაინტერესებული ფილოსოფოსები ხშირად პირდაპირ სვამენ კითხვას ცხოვრების არსის შესახებ და უგულებელყოფენ კითხვას იმის შესახებ, თუ საიდან ჩნდება ცხოვრების არსზე შეკითხვა (მეტზი, 2013, თავი 1 / Metz, 2013, ch. 1). ეს გასაკვირიცაა, რადგან ფილოსოფოსები, როგორც წესი, ამაყობენ კონცეპტუალური სიცხადითა და სიზუსტით. კონცეპტუალური კითხვით დაწყება არსებული თეორიების შეფასებაში დაგვიხმარება. ყოველივე ამის შემდეგ, ძნელია თეორიის შეფასება იმის გაგების გარეშე, თუ რას წარმოადგენს თავად ეს თეორია. კრიტიკის მიზეზი ხანდახან თემის ბუნდოვნებაა.

როგორც ჩანს, ჩვენ ვსაუბრობთ ცხოვრების არსზე სხვადასხვა და ხშირად ბუნდოვანი გზით. ზოგიერთი ფიქრობს, რომ სულაც არ არსებობს ცხოვრების არსის „გასახსნელი“ კონცეფცია (ოაკლი, 2010 / Oakley, 2010). ბევრი თანამედროვე ფილოსოფოსი, რომელიც დაინტერესებულია ცხოვრების არსით, რომელთაგან ზოგიერთი ცდილობს გამოყოს და განმარტოს მხოლოდ ერთი ასპექტი (ვულფი, 2010 / Wolf, 2010), ზოგიერთი კი გვთავაზობს რევიზიონისტულ თეორიებს, რომლებიც არ არის გამიზნული აზროვნების ან საუბრის ჩვეულებრივი გზების აღსაქმელად (კელჰუნი, 2015; ვისაკი, 2017. / Calhoun, 2015; Višak, 2017).

ფილოსოფოსები ამტიკიცებენ, რომ ცხოვრების არსი უნიკალურია. ანტი კაუპინენი წერს, რომ „სიცოცხლეს არ აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც სიტყვებს ან ნიშნებს. ამ მიმართულებით ცხოვრების არსის ძიება შეცდომაში შეგვიყვანდა“ (მარტელა, 2017 / Martela, 2017). რასაკვირველია, სიტყვებისა და სიცოცხლის არსი ერთნაირად მრავალმნიშვნელოვანი არ არის. იგივე შეიძლება ითქვას სიტყვებსა და ნიშნებზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ცნებებს ერთმანეთთან „არაფერი აქვთ საერთო“ (კაუპინენი, 2016 / Kauppinen, 2016). კაუპინენი იზიარებს თვალსაზრისს, რომელიც დაფუძნებულია

ერთიანობაზე: ის, რაც რაღაცას ნიშნავს, შეიძლება მისი სწორი ინტერპრეტაციით გავიგოთ. სიცოცხლეს, ისევე როგორც სიტყვას ან ბუნებრივ ნიშანს, აქვს მნიშვნელობა, რადგან ის აღიარებს სწორ ინტერპრეტაციას. ცხოვრებას აქვს არს(ებ)ი, რადგან ის ინტერპრეტირებადია. ცხოვრების არსზე ფიქრს მივყავართ ცხოვრების განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე.

ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის მიხედვით, ტერმინი „მნიშვნელობა“ პირველად ინგლისურ ენაში მე-14 საუკუნეში გამოჩნდა. სიტყვამ დაიპყრო ლინგვისტური აზროვნება, სიზმრები და ნიშნები. მნიშვნელობა ხშირად გამოიხატებოდა როგორც რაღაც გაუგებარი და ზოგიერთ შემთხვევაში იდუმალიც კი. მაგალითად, მხოლოდ განსაკუთრებული ძალების მქონე ადამიანებს შეეძლოთ ღვთაებრივი ნიშნების მნიშვნელობის გაშიფვრა. მაგრამ ყველა შემთხვევაში მნიშვნელობები იყო გზავნილები ან ინფორმაცია, რომელიც მიღებული იყო მნიშვნელობის მატარებლებისგან. რაღაც აზრიანად ითვლება, როდესაც მას აქვს სათქმელი. „გზავნილის მიღების“ (კუნსი, 1960 / Kuhns, 1960) პროცესს - ანუ მნიშვნელობის მოპოვებას - ინტერპრეტაცია ეწოდება. როგორ მუშაობს ეს პროცესი? - ჩარლზ ტეილორი წერს, რომ ინტერპრეტაცია „ეს არის კვლევის ობიექტის გარკვევის, გაგების მცდელობა... ის მიზნად ისახავს გამოავლინოს ძირითადი თანმიმდევრულობა ან აზრი“ (ტეილორი, 1971 / Taylor, 1971). ინტერპრეტაცია არის „აზრის გამომუშავების“ პროცესი და რაღაცის გაგება გულისხმობს მის თანმიმდევრულად „მორგებას“ ცოდნის ქსელში.

ფსიქოლოგების თანახმად, ინტერპრეტაცია გულისხმობს „რაღაც ახლის ან დამაბნეველის დაკავშირებას არსებული ცოდნის სტრუქტურებთან... ინტერპრეტაციული გონება იღებს სამიზნე სტიმულს და ფიქრობს, თუ როგორ უკავშირდება ის მას, რისიც უკვე სწავს (ბაუმისტერი და ლანდაუ, 2018 / Baumeister & Landau, 2018). ამ „ცოდნის სტრუქტურებს“ ზოგჯერ პირდაპირი „მნიშვნელობის ჩარჩოებს“ უწოდებენ (ჯორჯ და პერკი, 2016 / George & Park, 2016). ისინი გაგებულია, როგორც საჭიროების ქსელები (იმპლიციტურად ან აშკარად მიღებული) იმის შესახებ, თუ როგორია სამყარო და როგორ მუშაობს იგი. ინტერპრეტაციის ფსიქოლოგიური სურათი ასეთია: „როდესაც ინდივიდები აწყდებიან რაღაცას, რომელიც ამჟამად არ არის დაკავშირებული არსებულ ჩარჩოსთან, მაშინ, ის აზრს მოკლებულია და როდესაც კავშირი დაჭერილია, მისი მნიშვნელობა აშკარაა“ (პრული და ჰეინი, 2006 / Proulx & Heine, 2006.). ამგვარად, „რაღაცის მნიშვნელობის დადგენისას ჩვენ გონებაში არსებულ წარმოადგენათა ქსელს მივმართავთ“ (მარტელა და

სტიგერი, 2016 / Martela & Steger, 2016). მნიშვნელოვანია განვმარტოთ, რომ წარმოდგენათა აღნიშნული „ქსელები“ ან „ჩარჩოები“ მიზნად ისახავს ფაქტების წარმოჩენას. ისინი უნდა იყოს სარწმუნო და მხოლოდ სწორ ინტერპრეტაციამდე უნდა მიგვიყვანონ. შეიძლება ადამიანის წარმოდგენა არასწორი იყოს, თუმცა მისი ინტერპრეტაცია - „სწორი“.

რა ხდის ინტერპრეტაციას სწორს? - უნდა გავითვალისწინოთ ინტერპრეტაციის მიზანი. ინტერპრეტაციის მიზანს კითხვებზე პასუხის გაცემა წარმოადგენს. ეს არ მოითხოვს ადამიანისგან კონკრეტული შეკითხვის დასმას, მაგრამ ეს მოითხოვს მისგან მცდელობას, გასცეს კითხვას პასუხი ობიექტის უფრო დიდ კონტექსტში „განთავსებით“. ადამიანები ცდილობენ უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

1. „როგორ არის დაკავშირებული A და B ცვლადები?“;
2. „რა ხსნის ამ შედეგებს საუკეთესოდ?“;
3. "რა პროგნოზების გაკეთების საშუალებას გვაძლევს ეს მონაცემები?"

პირველი კითხვა ეხება მონაცემთა ერთობლიობის სტრუქტურას. მასზე პასუხის გაცემა გულისხმობს ცალკეული მონაცემთა წერტილების განლაგებას საერთო კონტექსტში, ასევე, შაბლონებისა და ურთიერთდამოკიდებულების იდენტიფიცირებას. მეორე კითხვა ეხება დაკვირვების წყაროს ან მიზეზებს, ხოლო მესამე კი - მათ გავლენას ან ეფექტს.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემისთვის საჭიროა ფენომენის ცოდნის უფრო დიდი არეალით განსაზღვრა. ამ სახის ინტერპრეტაციულ კითხვებზე პასუხებს შეიძლება ვუწოდოთ ბუნებრივი მნიშვნელობა (გრაცი, 1957 / Grice, 1957). ბევრი რამ, რისი ინტერპრეტაციაც გვინტერესებს, წარმოადგენს განზრახ ქმედების პროდუქტს.

მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია განვმარტოთ არტეფაქტი, რათა ვუპასუხოთ კითხვას - „რისთვის არის ეს?“ ან ადამიანის ქცევა, რათა ვუპასუხოთ კითხვას - „რის გაკეთებას ცდილობს?“ ასეთ კითხვებზე პასუხები გულისხმობს ინტერპრეტირებული ობიექტების განთავსებას აგენტების განზრახვების ან მიზნების კონტექსტში. ამრიგად, ასეთ ინტერპრეტაციულ კითხვებზე პასუხებს შეგვიძლია ვუწოდოთ სამიზნე მნიშვნელობები.

თუ რაიმე მიზეზით ინტერპრეტაციულ კითხვებს პასუხები არ აქვს, მაშინ მას მნიშვნელობაც არ ექნება. ანალოგიურად, თუ არ გვაქვს წვდომა პასუხებზე, მაშინ ვერასდროს გავიგებთ რაიმეს, უფრო ზუსტად კი, რაიმეს მნიშვნელობას.

ინტერპრეტაციის თეორია არის ანგარიში იმისა, თუ რას ვაკეთებთ, როდესაც ვფიქრობთ.

ინტერპრეტაციის თეორიის მიხედვით, იმის გასაგებად, თუ რას გულისხმობენ ადამიანები, როდესაც ისინი საუბრობენ მნიშვნელობაზე, საჭიროა დაკონკრეტება:

1. რის ინტერპრეტაციას ახდენენ;
2. რა კითხვა(ები) არის საინტერესო;
2. ფაქტების რომელ ქსელშია განთავსებული ინტერპრეტაციის ობიექტი.

ამ სქემის გამოყენება ცხოვრების არსზე საუბრისას, შესაძლოა, დამაბნეველი იყოს, თუმცა, არა - შეუძლებელი. "სიცოცხლე" შეიძლება ეხებოდეს ბევრ რამეს. ასე რომ, არსებობს მრავალი პოტენციური ინტერპრეტაციის ობიექტი. კითხვები ან კონტექსტები შესაძლოა იყოს მეტ-ნაკლებად არარელევანტური იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის ინტერპრეტატორი და რა არის მისი ინტერესი.

ზოგჯერ "ცხოვრება" ეხება ადამიანის საქმიანობას. მაგალითად, როდესაც გაბრაზებული მოზარდი ეუბნება მშობლებს, რომ მოშორდნენ მისი ცხოვრებიდან, ის გულისხმობს იმას, რომ მას ნაკლებად უნდა მშობლების ჩარევა თავის საქმეებში.

ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილებია გეგმები, გადაწყვეტილებები, წარუმატებლობა, გამარჯვება და ა.შ. როდესაც ადამიანები საუბრობენ ადამიანის ცხოვრების არსზე, ვინმე შეიძლება დაინტერესდეს იმით, არის თუ არა მათი საქმიანობა აზრიანი. გაჩნდება კითხვა - „ღირს თუ არა რაიმე კონკრეტული „პროექტი“ რამედ?“ ეს თვალსაჩინო კონტექსტია, სადაც საკუთარი ცხოვრების ნაწილის ინტერპრეტირება ხდება მთელის ფარგლებში.

ამრიგად, ზოგს შეიძლება აინტერესებდეს, თუ როგორ შეესაბამება „პროექტი“ ადამიანის ღირებულებებსა და მისწრაფებებს, ცხოვრების ისტორიას, არის თუ არა საკუთარი თავის ერთგული და ა.შ. გამოცდილების ინტერპრეტირებისას ადამიანები, როგორც წესი, იყენებენ „ცხოვრების სქემებს“, ინტერპრეტაციის ჩარჩოს (ჯენოფ-ბულმენი და ბერგი, 1998; პერკი, 2010; ტომფსონი და ჯანიგიანი, 1988 / Janoff-Bulman & Berg, 1998; Park, 2010; Thompson & Janigian, 1988). მაგრამ პასუხის გასაცემად, შესაძლოა, კონტექსტის მასშტაბების გაზრდაც. მაგალითად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამიანის შრომა მხოლოდ მაშინ იქნება ღირებული, თუ მას სხვებისთვისაც მოაქვს სარგებელი. ამ შემთხვევაში ადამიანი შეიძლება შეეცადოს დაადგინოს, იქნება თუ არა მისი შრომა საზოგადოებისთვის ან უფრო დიდი ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი. გააჩნია ამბიციებსაც, რაც დიდია იგი, მით უფრო დიდია კონტექსტის მასშტაბიც.

ცხოვრების არსზე საუბრისას მთელი სიცოცხლე შეიძლება ინტერპრეტაციულ ობიექტებად ჩავთვალოთ. როცა რომელიმე გენიოსის ცხოვრების მნიშვნელობაზე ვფიქრობთ, არ განვიხილავთ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ან მოვლენებს, განვიხილავთ მის მთელ ცხოვრებას. მთელ ცხოვრებაზე ფიქრისას, შესაძლოა გაგვიჩნდეს კითხვები: „აქვს თუ არა ამ ცხოვრებას კარგი შედეგები? (სმუტსი, 2013 / Smuts, 2013), "კარგად ჩაიარა?" (კანი და ვიტრანო, 2014 / Cahn & Vitrano, 2014) და „შეიტანა თუ არა მან მნიშვნელოვანი წვლილი საზოგადოებაში?“ (მარტელა, 2017 / Martela, 2017). ბუნებრივი კონტექსტი, რომელშიც მთელი ცხოვრების ინტერპრეტაცია ხდება, მოიცავს ოჯახს და მის ისტორიას (ვილმენი, 2005 / Velleman, 2005), საზოგადოებას, ქვეყანას ან შესაძლოა კაცობრიობის ისტორიასაც. მნიშვნელოვანი ცხოვრება (მაგ. აინშტაინისა) ამგვარ კითხვებზე ზუსტ პასუხებს იძლევა ფართო კონტექსტშიც კი.

და ბოლოს, „სიცოცხლე“ შეიძლება ეხებოდეს რაღაც უფრო დიდს - არა კონკრეტულ ცხოვრებას, არამედ თავად სიცოცხლეს. იგი შეიძლება ეხებოდეს კაცობრიობის, ან ნებისმიერი სახის ცოცხალი არსების არსებობას. გამოდის, რომ ეს არის ინტერპრეტაციის ობიექტი, როდესაც ადამიანები საუბრობენ ცხოვრების არსზე. ასეთი ადამიანები არ არიან ორიენტირებულნი რომელიმე კონკრეტულ ცხოვრებაზე, ან თუნდაც ცხოვრების რომელიმე ნაწილზე, არამედ რაღაც უფრო დიდზე. თუ ეს ასეა, მაშინ კონტექსტი, რომელშიც ადამიანი განმარტავს სიცოცხლეს, საკმაოდ დიდია უნდა იყოს: მთელი სამყარო ან კოსმოსი. ალბათ ამიტომაც, კითხვას „რა არის ცხოვრების არსი?“ ხშირად უწოდებენ „კოსმიურს“ (მარტელა, 2017; ვონგი, 2008 / Martela, 2017; Wong, 2008). თავად ცხოვრების ინტერპრეტაცია შეიძლება მოიცავდეს კითხვას: „რატომ არსებობს სიცოცხლე?“ ან „რა მიზნით შეიქმნა კაცობრიობა?“ ამ კითხვებზე პასუხისთვის არის საჭირო რელიგიური მსოფლმხედველობა, რადგან სრულიად გაუგებარია, აქვს თუ არა ამ კითხვებს პასუხები ღვთიურის არარსებობის შემთხვევაში.

გთავაზობთ რამდენიმე შეკითხვას ფილოსოფიური ლიტერატურიდან, რომელსაც ადამიანები სვამენ ცხოვრების არსზე მსჯელობისას. მათი უმრავლესობა ეთიკური კითხვებია ცხოვრების ღირებულების და იდეალების შესახებ. თუმცა, ბუნებრივი და მიზანმიმართული მნიშვნელობებიც შეიძლება იყოს საინტერესო. მაგალითად, ობოლს, შესაძლოა, აინტერესებდეს საკუთარი წარმომავლობა. მისი ბიოლოგიური მშობლების შესახებ ინფორმაციის მიღება, შესაძლოა, მას დაეხმაროს ცხოვრების არსის სხვანაირად დანახვაში. ადამიანები ასევე ეძებენ და ზოგი ფიქრობს კიდევ, რომ იპოვენ „სიცოცხლის

მიზანი“ (ანუ პასუხი კითხვაზე „რატომ ვარ აქ?“), რომელიც მათი ცხოვრების არსს წარმოადგენს. ცხოვრების შესახებ კითხვები უფრო მეტად შეიძლება შეეხებოდეს წარმოშობას („საიდან მოვედით?“) ან მიზნებს („რისთვის ვართ აქ?“).

არსებობს თვალსაზრისი, რომ სიკვდილი ძირს უთხრის მნიშვნელობას, ანუ, ჩვენი სიცოცხლე მაინც სრულდება როდესაც, მაშასადამე, იგი უაზროა. ამიტომაც აღიქმება, უმეტესწილად, სიკვდილი ყველაზე დიდ ბოროტებად: არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის წყვეტს ჩვენს არსებობას, არამედ იმიტომ, რომ ყველა ჩვენ ქმედებას უაზრობად აქცევს. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომაც საჭირო ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევაჩეროთ ჩვენი სხეულის გარდაუვალი ჭკნობა და განუსაზღვრელი ვადით გავაგრძელოთ ჩვენი სიცოცხლე. თუმცა, ასევე არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ სიკვდილი ან მოკვდავობა არის ცხოვრების არსის წინაპირობა, ამიტომაც მარადიული სიცოცხლე აუცილებლად აზრს მოკლებული იქნება.

სხვა თვალსაზრისის თანახმად, სიკვდილი არ შეიძლება იყოს ცხოვრების მნიშვნელოვანი წინაპირობაც და დაბრკოლებაც. იმის გასარკვევად, თუ რომელია ამ ორიდან სიმართლე, საჭიროა რამდენიმე კითხვას გავცეთ პასუხი. რას ვგულისხმობთ მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ მნიშვნელობაზე. რანაირად აფერხებს ჩვენ არსს ის ფაქტი, რომ უნდა მოგვკვდეთ? ასევე საინტერესოა, ხდის თუ არა მარადიულობა ცხოვრებას უაზროს. შეგვიძლია თუ არა ნივთების ღირებულების დანახვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიცით, რომ ისინი გაქრებიან? რატომ უნდა იყოს აუცილებელი, რომ სიცოცხლეს ჰქონდეს არა მხოლოდ დასაწყისი, არამედ დასასრულიც? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მთელ სამყაროს აზრი რომ ჰქონდეს, ისიც უნდა დასრულდეს ერთ დღეს?

არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, შემქმნელი ნივთს ქმნის განზრახ კონკრეტული დანიშნულებისთვის. თუ სიცოცხლე არავის შეუქმნია, მაშინ მას არ აქვს მიზანი და, შესაბამისად, აზრი. ცალკეული პიროვნების არსებობას შეიძლება ჰქონდეს თავისი ახსნა ამ ადამიანის მშობლების მიზნების გათვალისწინებით (ალბათ იმიტომ ვარ აქ, რომ ჩემს მშობლებს მემკვიდრე სურდათ, რაც ხსნის იმას, თუ რატომ მოვევლინე ამ ქვეყანას). ზოგადად ცხოვრების არსებობა იქნებოდა იმის მიზანი, ვინც საერთოდ სიცოცხლე შექმნა, ანუ ღმერთის. რა თქმა უნდა, ჩვენც გვაქვს მიზნები, მაგრამ ჩვენი საკუთარი მიზნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თუნდაც საკუთარ სიცოცხლეს მივაკუთვნოთ მიზანი, რადგან ის ჩვენ არ შეგვიქმნია. აქედან ბუნებრივად

გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სიცოცხლე მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს აზრიანი, თუ ღმერთი არსებობს. შესაბამისად, ათეისტს არ შეუძლია რაციონალურად დაიჯეროს, რომ სიცოცხლეს აქვს აზრი.

თუ გვინდა გავიგოთ ცხოვრების არსი, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რა იყო ღმერთის მიზანი, როდესაც მან სიცოცხლე შექმნა. ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ ღმერთის ბუნება. ღმერთი კეთილია და არაფერი სჭირდება, ამიტომ ის სიცოცხლეს არც ბოროტი მიზნებისთვის და არც საკუთარი სარგებლისთვის არ შექმნიდა. მას არ შეეძლო შეექმნა სიცოცხლე ჩვენს სასარგებლოდ, რადგან ჩვენ ჯერ არ ვარსებობდით. ასე რომ, ღმერთმა შექმნა სიცოცხლე „ღვთის გულისთვის“, რაც იმას ნიშნავს, რომ მან შექმნა იგი იმისთვის, რომ განდიდებულიყო (არა იმიტომ, რომ ღმერთს ქება სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ იგი სათანადოდ შექების ღირსია). ამგვარად, ჰილის დასკვნა ემთხვევა ვესტმინსტერის მოკლე კატეხიზმს, რომელიც პასუხობს კითხვას „რაში მდგომარეობს ადამიანის დასასრული?“ დასკვნა კი შემდეგნაირად ჟღერს: „ადამიანის მთავარი მიზანი ღმერთის განდიდება და მისით მარადიულად ტკობაა“. ჰილი ფიქრობს, რომ ეს ეხება მთელ ცხოვრებას, რომელშიც ადამიანი ადიდება ღმერთს მისი სილამაზისა და მრავალფეროვნების გამო. (ჰილი, უთარილო / Hill, n.d.)

ასე რომ, ცხოვრების არსი ღმერთის დიდებაა. თითოეულმა ჩვენგანმა შეიძლება შეასრულოს განსხვავებული როლი ამ ყოვლისმომცველი მიზნის განხორციელებაში, მაგრამ ამ მიზნის გარეშე არავის სიცოცხლე არ იქნება აზრიანი. მიუხედავად იმისა, რომ არ არის აუცილებელი არსებობდეს რაიმე მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, რომ არსებობდეს იგი, რადგან „ადამიანს სურს დარწმუნებული იყოს, რომ მცირე მიზნებიც კი მნიშვნელოვანია“. ამით ხაზი ესმება მათ ღირებულებას. ბოთლების ყველაზე დიდი კოლექციის შეგროვება, შესაძლოა, უაზრობა იყოს, რადგან არ წარმოადგენს „ღირსეულ მიზანს“, მაგრამ, მსოფლიოს ხსნა ტანჯვისგან, ბედნიერი ყოფნა ან ღმერთის განდიდება არ იქნება უაზრო. ეს მიზნები აზრიანია, რადგან არ ისმის კითხვა, თუ რატომ გვინდა ჩვენ მათი მიღწევა. ჰილი ამბობს, რომ მიზნები მორალურად სწორი უნდა იყოს, სხვაგვარად ვარაუდი არაინტუიციური იქნება. ჰილის მიხედვით, გარკვეული მიზნები კარგია, ხოლო სხვების ახსნა კი რთულია. მაგალითად, სხვების დახმარება უდავოდ კარგია. თუმცა, უმაღლესი, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი „უნდა იყოს“ ღმერთის განდიდება, ვინაიდან ღმერთი არის უზენაესი არსება. ყველა ღირებულ მიზნებს შორის მხოლოდ ეს არის „უსასრულოდ ღირებული“. (ჰილი, უთარილო / Hill, n.d.)

თავის 1978 წლის ნაშრომში „სიკვდილი და ცხოვრების არსი“ კაი ნილსენი ამტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მაშინაც კი, თუ: ა. სიკვდილი ნამდვილად არის ჩვენი დასასრული (არ არსებობს არც მეორე სიცოცხლის და არც აღდგომის შესაძლებლობა) და ბ. არ არსებობს ღმერთი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არც სიკვდილი და არც ღმერთის არარსებობა არანაირად ეხება ჩვენს არჩევანს, ვიცხოვროთ აზრიანად. (კაი ნილსენი, 1978 / Kai Nielsen 1978)

ნილსენის არჩევანი მარადიული ცხოვრებაა. ერთია სინანულის შეგრძნება და მეორე - სიკვდილის შიში. სინანული არის გონივრული რეაქცია ჩვენს მოკვდავობაზე, ხოლო შიში და სასოწარკვეთა კი - არა. ჩვენი სიკვდილის გარდაუვალობა არაფერ შუაშია იმასთან, რასაც ვაკეთებთ. ასე რომ, იმის ნაცვლად, რომ უაზროდ ვიტყვით ჩვენს მოკვდავობაზე და უაზროდ მივცეთ უფლება ჩვენს გარდაუვალ სიკვდილს დაჩრდილოს და ფაქტობრივად გაანადგუროს ჩვენი ცხოვრება, სჯობს მას მტკიცედ შევხედოთ. როდესაც მოვა, მაქსიმალურად უნდა ვისიამოვნოთ იმით, რაც გვაქვს. „სიკვდილი მხოლოდ მაშინ არის საშინელება, თუკი თავად ცხოვრება ფუჭი გახლდათ“ (1978: 154).

ნილსენი აპროტესტებს (განსაკუთრებით ქრისტიანებს შორის) გავრცელებულ შეხედულებას, იმის შესახებ, რომ თუ ღმერთი არ არსებობს, რათა „ჩვენ ცხოვრებას გარკვეული ხასიათი“ შესძინოს, მაშინ „ცხოვრება უაზრო და მორალური მნიშვნელობის გარეშე იქნება“ (1978: 155). მორალი, ამტკიცებს, რომ ის რეალურია მაშინაც კი, თუ არ არსებობს ღმერთი ან მარადიული სიცოცხლე. ზოგიერთი რამ არასწორია, უბრალო და მარტივია, ჩვენ ვიცით, რომ ისინი არასწორია და ისინი ერთნაირად არასწორი იქნება უღმერთო სამყაროში. „ადამიანის წამება საშინელებაა; ადამიანთა ექსპლუატაცია და დეგრადაცია ბოროტების გზით ხდება; ადამიანებისა და ცხოველების მიმართ სისასტიკე, მორალურად რომ ვთქვათ, მიუღებელია; უგულო დაპირებები და სიმართლისადმი უყურადღებობაც არასწორია“. მაშასადამე, ჩვენ არ გვჭირდება ღმერთი ან უკვდავება რათა „ჩვენი ცხოვრება, როგორც ზნეობრივმა არსებებმა, ისე გავიგოთ“ (1978: 157). არც ღმერთი და არც უკვდავება გვჭირდება, რომ ცხოვრებაში მიზანი გვქონდეს. ღმერთის გარეშე შეიძლება არ არსებობდეს სიცოცხლის მიზანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე მიზანი ან მიზნები გვქონდეს ცხოვრებაში. შესაძლოა, არ არსებობს „სამყაროს გეგმა ან რამე პროვიდენციალური წესრიგი, რომლითაც უნდა ვიცხოვროთ“, მაგრამ ერთი რამ მაინც ჭეშმარიტი რჩება: „სიცოცხლე ღირს იმად, რომ რაღაცას მივაღწიოთ, გავაკეთოთ ან გვქონდეს. გვქონდეს ის, რაც ჩვენ სიხარულს გვგვრის,

აღფრთოვანებას ან კმაყოფილებას იწვევს ჩვენში ან სხვებში“. ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია სამუდამოდ გვკონდეს ეს მომენტები, არანაირად არ ამცირებს მათ ღირებულებას.

ღმერთი გვპირდება სულის ხსნას და ცოდვების გამოსყიდვის შესაძლებლობას, რასაც ეს სამყარო არ გვთავაზობს. ღმერთის რწმენა იმის იმედს გვისახავს, რომ არსებობს სხვა, უკეთესი სამყარო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ღმერთის გარეშე ასეთი იმედი არ იარსებებდა. თუმცა, ნილსენი გვთხოვს, რაციონალური გადაწყვეტილებები მივიღოთ, რაც კაცობრიობას წაადგება და შედეგად გვექნება „ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოება ექსპლუატაციისა და დეგრადაციის გარეშე, რომელშიც ყველა ადამიანი ბედნიერი იქნება“ (1978: 158).

ნილსენი, როგორც ჩანს, აერთიანებს მნიშვნელობის სუბიექტისტურ პოზიციას მორალის ობიექტივისტურ პოზიციასთან. ცხოვრება არ არის უაზრო, ამტკიცებს ის, რადგან არის ბევრი რამ, რაც გვიყვარს და ვაფასებთ, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს „საგანთა პროვიდენციური დალაგება, რომლის მიხედვითაც ჩვენ უნდა დავგეგმოთ ჩვენი ცხოვრება“. ვფიქრობ, რომ ცხოვრება ღირებულია იმიტომ, რომ არის რაღაცეები, რასაც ვაფასებთ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის, რასაც ვაფასებთ, ობიექტურად ღირებულია. არამედ იმიტომ, რომ თუ ისინი ობიექტურად ღირებული იქნებოდა, მაშინ აშკარად იარსებებდა რაღაც „საგანთა პროვიდენციური წესრიგი, რომლის მიხედვითაც, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ჩვენი ცხოვრებით“, რასაც ნილსენი პირდაპირ უარყოფს. მაშასადამე, ნილსენი ამბობს, რომ არავითარი საბუთი არ არის იმისა, რომ ის, რასაც ჩვენ ვაფასებთ, არ არის ობიექტურად ღირებული. თუმცა, მეორე მხრივ, როგორც ჩანს, ის მხარს უჭერს ზნეობის ობიექტივისტურობას, როდესაც ამტკიცებს, რომ გარკვეული ქმედებები არასწორია, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობს მათ შესახებ ღმერთი (ან ვინმე სხვა). ნილსენის აზრით, ჩვენ უბრალოდ არ გვჯერა, რომ ქმედებები არასწორია: ჩვენ ვიცით, რომ ისინი არასწორია, და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გვჯეროდეს იმისა, რაც არ არის ჭეშმარიტი, ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რა არ არის სიმართლე.

უცნაურია, იმის მტკიცება, რომ მნიშვნელობა არის სუბიექტური, ხოლო მორალურობა - ობიექტური, მით უმეტეს, რომ ნილსენი ვერ ახერხებს მკაფიოდ განასხვავოს მორალი და მნიშვნელობა. როგორც ჩანს, ის თვლის, რომ უაზრო ცხოვრება არის ცხოვრება, რომელშიც ზოგიერთი რამ ნამდვილად არ არის მორალურად არასწორი, ამიტომ ის ამტკიცებს, რომ უღმერთო სამყაროშიც კი ეს ყველაფერი მორალურად არასწორი იქნება. მაგრამ არ

შეგვიძლია, რომ ვაღიაროთ ზოგიერთი რამის მართლაც მორალური არასწორობა და მაინც ვიგრძნოთ, რომ ცხოვრება, ყველაფრის გათვალისწინებით, საკმაოდ უაზროა? არ შეგვიძლია, რომ საკუთარ თავთან შეწინააღმდეგების გარეშე მივიჩნიოთ, რომ ზოგიერთი რამ მართლაც არასწორია და მაინც ვიფიქროთ, რომ, საბოლოო ჯამში, აზრი არ აქვს არ გავაკეთოთ ის, რაც ნამდვილად არასწორია? შეგვიძლია, არ დავთმოთ ზნეობა, მაგრამ მაინც გვანტერესებდეს, აქვს თუ არა რაიმე აზრი ზნეობრივად ცხოვრებას?

და რაც შეეხება ღმერთის არარსებობასა და სიკვდილს შორის კავშირს, ნელსონისთვის ეს იმდენად აშკარაა, რომ იგი არც იწუხებს თავს ახსნა-განმარტებით. ნილსენი იწყებს საუბარს სიკვდილის ბოროტებით და უარყოფს, რომ სიკვდილი საკმარისად ცუდი არგუმენტია სასოწარკვეთის გასამართლებლად. მისი აზრით, სიკვდილი საკმაოდ მცირე უხერხულობაა, შესაძლოა ცოტა უსიამოვნოც, მაგრამ პატარა შედეგის მომცემი. ჩვენ შეგვიძლია უბრალოდ ვაღიაროთ მისი არსებობა და შემდეგ გავაგრძელოთ ჩვენი ცხოვრება. საკმაოდ საინტერესო აზრია, თუმცა, გაუგებარია, რა კავშირი აქვს ღმერთს ამასთან. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სამყარო, რომელიც თავისუფალია ღმერთისა და სიკვდილისგან (ან მინიმუმ სიკვდილის აუცილებლობისგან) და ასევე სამყარო, სადაც ღმერთი (ან რაიმე ღვთიური არსება) არსებობს და ჩვენ მაინც უნდა მოვკვდეთ. არ არსებობს ლოგიკური კავშირი ღმერთსა და უკვდავებას, ან სიკვდილსა და უღმერთობას შორის და გონივრული იქნება ამ ორი საკითხის ცალ-ცალკე განხილვა. ის, რომ ჩვენ არ გვჭირდება ღმერთი აზრიანი ცხოვრებისთვის, განსხვავდება იმისგან, რომ შეგვიძლია ვიცხოვროთ აზრიანი ცხოვრებით და მაინც მოვკვდეთ (ჩვენ არ გვჭირდება ღმერთი, რომ მორალი იყოს რეალური, განსხვავდება იმ მოსაზრებისგან, რომ ჩვენ არ გვჭირდება ღმერთი აზრიანი ცხოვრებისთვის).

დასკვნის სახით:

არსებობს ფილოსოფიური საკითხების განხილვის სხვადასხვა გზა: მეცნიერული, რომელიც ემყარება ხელშესახებ გამოცდილებას; ინტროსპექტიული, რომელიც ეყრდნობა რეფლექსიას ადამიანის აზროვნების პროცესზე; შესახებ; ლოგიკური, რომელიც ეფუძნება წმინდა ლოგიკას.

სპეციალური ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების არსის წვდომაზე ორიენტირებული არცერთი თეორია არ არის სრულყოფილი. ყველა იდეასა და თვალსაზრისს მოჰყვება კრიტიკა. იქმნება

შთაბეჭდილება, რომ ცალკეულ შემთხვევებში ფილოსოფიურ თეორიებში აუცილებლობას წარმოადგენს არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ - ჭეშმარიტებაზე დისკუსია.

ნაშრომში სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების მიმართების არსი განხილულია მსოფლიოს სამი რელიგიის - ქრისტიანობის, ისლამისა და ბუდიზის - მაგალითზე.

სიცოცხლის, სიკვდილისა და უკვდავების პრობლემების განხილვა გულისხმობს ადამიანის ცხოვრების არსის წვდომასა და ადამიანის გამიჯვნას ყველა ცოცხალი არსების არსებობისაგან.

სპეციალური ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ სიცოცხლეს, სიკვდილსა და უკვდავებას რაციონალური ცოდნით ვერ განსაზღვრავ - ის არ ჯდება სამყაროსა და ადამიანის ხისტ დეტერმინისტულ მოდელში. ამ ცნებების შესახებ კამათი განპირობებულია თითოეული ადამიანის პირადი ინტერესითა და მისი უნარით ინტუიციურად გაიაზროს ადამიანური არსებობის საფუძვლები.

მიუხედავად ადამიანური სოლიდარობისა, ღმერთის რწმენისა, ინტელექტისა და ა.შ. ყველაზე კარგად აქ ვლინდება ადამიანის უნიკალურობა.

სიკვდილისა და უკვდავების მნიშვნელობა, ისევე როგორც მისი მიღწევის გზები, სოცოცხლის მნიშვნელობის პრობლემის მეორე მხარეა. აღნიშნულ საკითხთა ხედვის თავისებურება დეტერმინირებულია ცივილიზაციის „სულიერი მდომარეობით“.

კაცობრიობის სულიერი ცხოვრების, სიკვდილისა და უკვდავების ისტორიაში არსებობს სიცოცხლის არსის წვდომაზე ორიენტირებული კონცეფცია. აღნიშნულ კონცეფციებს შორის არსებული სხვაობა განპირობებულია სამყაროსა და ადამიანისადმი მიდგომების რელიგიურობა-არარელიგიურობით.

1.2. მარადიული სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

სიკვდილი ერთ-ერთი იმ ფენომენთაგანია, რომელზეც საუბრისას სიტყვების „კარგად“ შერჩევაა საჭირო. სიკვდილი ასოცირდება მარადიულ ტაბუსთან, რომელშიც იკვეთება ფსიქოლოგიური, რელიგიური და სოციალური შეზღუდვები.

სიკვდილის სენტიმენტალიზაცია ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ევფემიზმების დასამკვიდრებლად. კაცობრიობა სიკვდილთან შეგუებას დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა. ფაქტობრივად, ადამიანები თავს არიდებენ სიკვდილზე „პირდაპირ“ საუბარს - ცრურწმენის, შიშისა თუ პატივისცემის გამო, სიკვდილზე საუბრისას ადამიანები „არბილებენ“ გამონათქვამს. ადამიანები მიმართავენ ევფემიზმს, რომლის წყალობითაც გამონათქვამს „აშორებენ“ ყველაზე აშკარა, შეურაცხმყოფელ ან უხამს ელფერს.

ევფემიზმი აიოლებს საუბარს ტაბუზე, სხვა სიტყვებით, საუბარს იმაზე, რისი ენით აღწერა რთულია, საუბარს იმაზე, რისი არსებობაც უგულვებელყოფილია ჩვენს ცნობიერებაში. ადამიანი თავს არიდებს საკუთარ მოკვდავობაზე საუბარს. ეს მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად დიდი დისკომფორტია ადამიანისთვის სიკვდილზე საუბარი (სექსტონი, 1997 / Sexton, 1997).

და მაინც, არსებობს სიტუაციები, რომლებშიც შეუძლებელია ამ თემისათვის თავის არიდება. ასეთია ნეკროლოგის შემთხვევა, რომელიც გულისხმობს სიკვდილზე წერას. თუ გავითვალისწინებთ მოკვდაობის აშკარა აუცილებლობას, სიტუაციის სერიოზულობასა და ფორმალურობას, რომელიც გვხვდება ამგვარ ტექსტებში, გასაკვირი არ არის, რომ ნეკროლოგის სვეტები ევფემისტური სიტყვებითა და გამონათქვამებითაა გაჯერებული.

ვინაიდან მეტაფორიზაცია წარმოადგენს ევფემიზმის საფუძველს (კასას გომესი, 1986; ვორენი 1992 / Casas Gómez 1986; Warren 1992) და სიკვდილზე საუბრის უხერხულობის დაძლევის ხერხს (გოატლი, 1997; სექსტონი, 1997 / Goatly 1997, Sexton 1997), ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სიკვდილის მეტაფორების კონცეპტუალურ კატეგორიზაციაზე, როგორც ევფემისტურ რესურსზე, ლაკოფისა და ჯონსონის მიერ ინიცირებული ცნობილი მეტაფორის კონცეპტუალური თეორიის ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ლიტერატურა ფიგურალური ენის შემეცნებითი ღირებულების შესახებ, მათ შორის შედარებით უახლესი კვლევები, რომლებიც ეძღვნება

ადამიანის მოკვდავობის მეტაფორულ კონცეპტუალიზაციას (მარინ არესე, 1996; სექსტონი, 1997; ბულტნიკი, 1998 / Marín Arrese 1996, Sexton 1997, Bultnick 1998), არც თუ ისე დიდი ძალისხმევით გაწეული კონცეპტუალური მეტაფორის, როგორც წმინდა ევფემისტური მექანიზმის, არსის კვლევაზე.

ამ მიდგომასთან ასოცირდება ჩამიზო დომინგესის, სანჩეს ბენედიტოსის (2000: 101–133) და კრესპო ფერნანდესის შრომები (2006), რომლებშიც განხილულია სექსზე საუბრის ტაბუ.

წარმოდგენილ ნაშრომში აღნიშნული მიდგომის გამოყენება გულისხმობს მეტაფორული ევფემიზმის შემეცნებითი როლის, კონკრეტულად კი, სიკვდილის ტაბუს „შემსუბუქების“ მექანიზმის სპეციფიკის განსაზღვრას.

სიკვდილი, როგორც ალანი და ბურიჯი (1991: 153) აღნიშნავენ, არის „შიშზე დაფუძნებული ტაბუ“, რომელშიც სხვადასხვანაირი შიშია თავმოყრილი, კერძოდ, საყვარელი ადამიანების დაკარგვის შიში, სხეულის გახრწნის, ბოროტი სულების შიში, ასევე, სიკვდილის შემდეგ არსებული სამყაროს შიში. სიკვდილის პირისპირ დადგომის შიში განსაკუთრებით საყურადღებოა პრიმიტიულ საზოგადოებებში, სადაც ითვლება, რომ სიტყვა, რომელიც დაკავშირებულია სიკვდილის ტაბუსთან, იგივე ძალას ფლობს, როგორსაც თავად ტაბუ. ფაქტობრივად, ზოგიერთი ავსტრალიური ტომისთვის სიკვდილის ტაბუ ისეთ სერიოზულ სიტყვიერ შეზღუდვებს აწესებს, რომ კატეგორიულად იკრძალება გარდაცვლილის სახელის წარმოთქმა. ისინი ერიდებიან გარდაცვლილის სახელთან რითმული მსგავსების მქონე სიტყვათა გამოყენებასაც კი (სანჩეს მატეო, 1996: 47 / Sánchez Mateo 1996: 47). ასეთ შემთხვევებში, ითვლება, რომ სიტყვა, რომელიც ასოცირდება სიკვდილთან, ფლობს ისეთივე მაგიურ ძალას, როგორსაც ტაბუს. ულმანი, კოსერიუ, გრაიმსი და იესპერსენი (კასას გომესი, 1986: 21 / Casas Gómez 1986: 21) აფიქსირებენ მაგიურ კავშირს ტერმინსა და კონცეპტს შორის („სიკვდილის სახელი სიკვდილია“). როგორც ჩანს, ენობრივ ტაბუსთან დაკავშირებით, ენობრივ ნიშანსა და მის რეფერენტს შორის საზღვრები ბუნდოვანია.

ევფემისტური ალტერნატივა ყოველთვის არ არბილებს ტაბუს - ევფემისტური ალტერნატივა არ არბილებს ტაბუს იმ კომუნიკაციურ სიტუაციაში, როდესაც სიკვდილის ალუზია, განურჩევლად არაპირდაპირობისა თუ გაურკვევლობისა, სრულიად მიუღებელია.

ეს იმიტომ ხდება, რომ ევფემისტური შემცვლელი „უხსენებელ“ ცნებას მინიშნებით ახსენებს. ასეთ შემთხვაში ტაბუს შესამსუბუქებელი ერთადერთი ეფექტური გზა დუმილია, რომელიც წარმოადგენს ტაბუს ინტერდიქციული სიძლიერის აშკარა მტკიცებულებას. ამრიგად, დუმილი ზოგჯერ თანაარსებობს პარალინგვისტურ ელემენტებთან. დუმილის წყალობით შესაძლებელია სიკვდილთან დაკავშირებული ტაბუირებული სიტყვებისათვის თავის არიდება (გროსი, 1985: 204 / Gross 1985: 204).

მეცხრამეტე საუკუნისათვის დამახასიათებელი სიკვდილის ტაბუს სათანადოდ აღქმა შეუძლებელია იმ გადამწყვეტი როლის გათვალისწინების გარეშე, რომელსაც რელიგია ასრულებდა სამგლოვიარო რიტუალებში. ვიქტორიანულ ხანაში ზოგადად ითვლებოდა, რომ რელიგია სთავაზობს ადამიანს არა მხოლოდ ცხოვრების, არამედ სიკვდილის მიზეზსაც. სინამდვილეში, ვიქტორიანელები შეპყრობილნი იყვნენ სიკვდილის თემით და თვლიდნენ, რომ რელიგიური პრაქტიკა და დაკრძალვის რიტუალები დიდად უწყობდა ხელს ცხოვრებიდან სიკვდილზე გასავლელ გზას. ამ გაგებით, ნუგეში ეფუძნებოდა მკვდრეთით აღდგომის ქრისტიანულ იმედს, რწმენას, რომელიც ნიშნავდა სრულიად ახალ არსებობას სამოთხეში და იმ გზის დალოცვას, რომელსაც ვიქტორიანელები ქრისტიანული რწმენის აღსრულებად მიიჩნევდნენ (ვილერი, 1994: 6 / Wheeler 1994: 6). მაშასადამე, რელიგიური რწმენა იძლეოდა გარკვეულ შვებას - მარადიული სიცოცხლის დაპირებას ფიზიკური სიკვდილის შემდეგ. ეს დაპირება შობდა იმედს, რომელიც მყარ არგუმენტად განიხილებოდა და განსაზღვრავდა ნეკროლოგებში გამოყენებული მეტაფორული ევფემიზმის დიდ ნაწილს.

ტერმინი ნეკროლოგი თავისთავად ევფემიზმია. ის მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *obitus* - „გამგზავრება“, სიკვდილის ევფემისტური ტერმინიდან. სიტყვის ამჟამინდელი მნიშვნელობა ("ჩანაწერი ან განცხადება გარდაცვალების შესახებ, განსაკუთრებით გაზეთში; ჩვეულებრივ მოიცავს გარდაცვლილის მოკლე ბიოგრაფიულ ჩანახატს") პირველად გამოჩნდა მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. უნდა აღინიშნოს, რომ ნეკროლოგები სცილდება უბრალოდ გარდაცვალების გამოცხადებას. უფრო მეტიც, ისინი წარმოადგენენ კაცობრიობის წარუმატებლობის მტკიცებულებას მოკვდავობის წინაშე. სამგლოვიარო ცნობები არაერთგვაროვნია და სწორედ მათ მრავალფეროვნებაში მდგომარეობს მათი სიმდიდრის „საიდუმლო“. როგორც ჰერნანდო (2001) ამტკიცებდა, ნეკროლოგები წარმოადგენს ჰიბრიდულ ჟანრს, რომელშიც

თანაარსებობს როგორც საჯაროობა, ისე ინფორმაცია, რომელშიც ემოციები და ობიექტურობა ერთმანეთს ერწყმის. ამგვარად, არსებობს ორი ტიპის ნეკროლოგი:

1. ინფორმაციული და ობიექტური, რომლებიც ჩვეულებრივ შემოიფარგლება გარდაცვალების, გარდაცვლილის ან დაკრძალვის ადგილისა და დროის შესახებ ფაქტების გამოვლენით. ამ ტიპის ნეკროლოგის მახასიათებლებია: ინფორმაციულობა, ობიექტურობა, ლოკუციურობა, ენის მიუკერძოებლობა.
2. უფრო პირადი და ინტიმური, რომლებიც გამოიყენება სოციალური ან რელიგიური მიზნისთვის და რომელშიც ავტორის გრძნობები და ემოციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამ ტიპის ნეკროლოგს ახასიათებს: სუბიექტურობა, პერლოკაციურობა (სამაგალითო ქცევა, სოციალური მდგომარეობა, რელიგიურობა), ემოციური, ფიგურალური და ექსპრესიული ენობრივი ელემენტები.

თეორიული ვარაუდები, რომლებსაც ეყრდნობა წინამდებარე ნაშრომი, გამომდინარეობს კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის კოგნიტური მოდელიდან. ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ მეტაფორები სცილდება ერთეულებს შორის მსგავსებაზე მითითებას ან მოცემული ობიექტის „შელამაზებას“ - ისინი გამოიყენება რეალობის შესაქმნელად. აბსტრაქტული ელემენტების რეპრეზენტაციის მიზნით, ენის მატარებლები აკავშირებენ მათ თავიანთ სოციალურ და ფიზიკურ გამოცდილებასთან ფიგურალური (მეტაფორული და მეტონიმური) ენის მეშვეობით. სწორედ ეს ფაქტი უზრუნველყოფს ენის მეშვეობით აბსტრაქტული ცნებების კონცეპტუალიზაციის შესაძლებლობას.

ლაკოფის (1993: 203) მიხედვით, მეტაფორა შეიძლება განისაზღვროს როგორც „სივრცითი კვეთა კონცეპტუალურ სისტემაში“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონცეპტუალური შესაბამისობების ერთობლიობა წყარო დომენიდან (ფიზიკური ან უფრო კონკრეტული რეალობის დომენი) სამიზნე დომენამდე (ჩვენს შემთხვევაში, სიკვდილის ტაბუ). მეტაფორა წარმოადგენს ონტოლოგიურ კორესპონდენციებს წყარო და სამიზნე დომენებს შორის. სამიზნეს დომენი დეტერმინირებულია წყარო დომენის შესახებ არსებული ცოდნით.

კოგნიტურ ტრადიციაში მეტაფორა განისაზღვრება როგორც მექანიზმი, რომელსაც ძალუძს ჩვენი კონცეპტუალური სისტემის სტრუქტურირება. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სამყაროს შესახებ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გააზრებას.

მაშასადამე, მეტაფორა არის ესთეტიკური ღირებულების მქონე ენობრივი ელემენტი ან მეტყველების ფიგურა, აზროვნების მეთოდი და მიზეზი: მეტაფორა არ ეხება მხოლოდ ენას - იგი დაკავშირებულია აზრთან და მიზეზთან (ლაკოფი 1993: 208).

განვიხილოთ კონცეპტუალური მეტაფორა „to die is to sleep“. არსებობს პროექცია წყარო დომენიდან (ძილი) სამიზნე დომენზე (სიკვდილი). სწორედ წყაროსა და სამიზნე დომენებს შორის შესაბამისობაში ასრულებს კოგნიტური კონცეპტუალიზაცია თავის ევფემისტურ ფუნქციას. აქედან გამომდინარე, წყარო დომენი გამოიყენება სამიზნე დომენის გასაგებად, სტრუქტურირებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში კი, შესარბილებლად. ეს გულისხმობს სტანდარტული კოგნიტური მიდგომის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს, ცალმხრივობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ასოციაციური პროცესი უფრო აბსტრაქტული კონცეფციიდან უფრო კონკრეტულ რეალობამდე გადადის. მეტაფორისა და მეტონიმიის სტანდარტული შემეცნებითი თეორიის მიხედვით, სამიზნე დომენზე მხოლოდ წყაროა დაპროექტებული, ხოლო სამიზნე დომენი ამავე დროს არ არის „დატანილი“ წყაროს დომენზე. ამიტომ, ამ თეორიაში არ არსებობს „ერთდროული ორმხრივი მეტაფორული პროგნოზები“.

იმის გამო, რომ კონცეპტუალური და მეტონიმიური მეტაფორები დაფუძნებულია ჩვენს ფიზიკურ და სოციალურ გამოცდილებაზე, არსებობს კინესთეტიკური გამოსახულება-სქემები, რომლებშიც ორგანიზებულია ჩვენი გამოცდილება, ანუ განმეორებადი სტრუქტურები, რომლებიც მოდის ჩვენი აღქმიდან (ჯონსონი და ლაკოფი, 1987 / Johnson & Lakoff 1987). სინამდვილეში, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, „განლაგებულია“ დროსა და სივრცეში, რაც მეტაფორულ საფუძველს აძლევს მის ენობრივ გამოხატულებას. ამრიგად, ჩვენი ყოველდღიური გამოცდილება შეიძლება გავიგოთ როგორც ექსპერიმენტული ბლოკები (სათავსოები, დამაკავშირებლები, ძალები, ბილიკები, ცენტრი-პერიფერია და ა.შ.), რომლებიც შედგება სტრუქტურული ელემენტებისაგან და რომლებიც გვაძლევენ აბსტრაქტული ცნებების კონკრეტულ ტერმინებში გააზრების საშუალებას.

რამდენადაც მეტონიმიის დეტალური აღწერა არ წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის მიზანს, ჩვენ მოკლედ შევხებით ხატოვანი ენის ამ მექანიზმს, რომელიც თანაარსებობს და ურთიერთქმედებს მეტაფორასთან აბსტრაქტული ცნებების კონცეპტუალიზაციისას. ორივე პროცესი იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ

კონცეპტუალური მეტაფორების დიდ ნაწილს მეტონიმიური საფუძველი აქვს (გოატლი 1997; ბულტნიკი 1998; ბარსელონა 2003ა და 2003ბ: 241-246 / Goatly 1997, Bultnick 1998, Barcelona 2003a & 2003b: 241–246).

ზოგიერთი მეტონიმიები შეიძლება ჩაითვალოს „მეტაფორულ მეტონიმიებად“ - ისინი ასახავენ მეტაფორასა და მეტონიმიას შორის ურთიერთქმედებას. თუმცა, მათ შორის მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კონცეპტუალური მეტონიმიები არ მოიცავს ორ დომენს, რომელთაგან ერთი უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე მეორე, როგორც ეს კონცეპტუალური მეტაფორების შემთხვევაშია (კოვეცესი 2000). უფრო სწორად, ისინი მოქმედებენ იმავე დომენში, რომელშიც კონცეპტის ასპექტი აღნიშნავს მის მთელ ან სხვა ასპექტს: „მეტონიმია, მეტაფორისგან განსხვავებით, არის „მხარდაჭერი“ მიმართება (ანუ, ნაწილი წარმოადგენს მთელს ან ეხმარება სხვა ნაწილს) ერთი დომენის ფარგლებში“ (2000).

ემპირიული მონაცემების წყაროდ ნეკროლოგების არჩევა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ნეკროლოგების სვეტები სიკვდილის ტაბუირებული ევფემიზმების საფუძველია. მივიჩნით, რომ საინტერესო იქნებოდა რამდენიმე ავთენტურ მონაცემზე ფოკუსირება (მარტინ არესე 1996; ბულტნიკი 1998; / Marín Arrese 1996; Bultnick 1998). ცვლადების მინიმიზაციის მცდელობისას, ამ კვლევისთვის შერჩეული გაზეთები (The Connaught Journal (1840), Cork Examiner (1847) მიეკუთვნებიან ერთი და იმავე ისტორიულ პერიოდს (ვიქტორიანული ეპოქა) და ათწლეულს (1840-იანი წლები). ორივე გაზეთი განკუთვნილი იყო პროვინციული ირლანდიელი მკითხველებისთვის (გოლვეისა და კორკის მოსახლეობისათვის).

როგორც ჩანს, არსებობს კონსესუსი იმის თაობაზე, რომ ვიქტორიანული პერიოდი განსაკუთრებით მიდრეკილი იყო ევფემიზმების შექმნისკენ (როუსონი 1995; ჰოვარდი 1986 / Rawson 1995; Howard 1986). რაუსონი საუბრობს ვიქტორიანულ ეპოქაში „სიკვდილის სენტემენტალიზაციაზე“ როგორც დამოკიდებულებაზე, რომელიც პირდაპირ არ მიუთითებდა ტაბუზე. ირლანდიის არჩევანი არ იყო შემთხვევითი.

კვლევის მოცემული სეგმენტი ასევე ორიენტირებულია ინგლისის (გროსი 1985 / Gross 1985), ავსტრალიის (ალანი და ბურიჯი 1991 / Allan and Burrige 1991) და შეერთებული შტატების (ჰიუმი 2000 / Hume 2000) ნეკროლოგებში არსებული ევფემიზმების თავისებურებათა იდენტიფიცირებაზე.

ვიდრე განვიხილავდეთ ნეკროლოგებში სიკვდილის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის სპეციფიკას, მოკლედ აღვწერთ ხერხებს, რომლებიც გამოიყენება სიკვდილის ტაბუს „შესარბილებლად“. აღნიშნული ხერხების აღწერის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ევფემიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ მეტაფორით.

რაც შეეხება სემანტიკურ ხერხებს, მეტონიმია გამოიყენება მოკვდავობის შვიდ ევფემისტურ მიმართებაში. განხილულ ნეკროლოგებში იკვეთება მეტონიმური ასოციაციების ორი ჯგუფი:

პირველი ჯგუფი ორიენტირებულია შედეგზე, ეფექტზე, რომელიც სიკვდილს გააჩნია ცოცხლად დარჩენილებზე: სიცარიელე; დაშორება (dissolution, void and separation);

მეორე ჯგუფი კონცენტირებულია ფინალურ მომენტზე: უკანასკნელი ამოსუნთქვა; მიწიერი ტანჯვისათვის წერტილის დასმა (breathe one's last breath and put a period to one's earthly sufferings).

ნეკროლოგებში არსებული ზოგიერთ კონცეპტუალურ მეტაფორას აქვს მეტონიმური საფუძველი. მაგალითად, სიკვდილი ჯილდოა და სიკვდილი არის დანაკარგი. ელემენტები არსებითად მეტაფორული ხასიათისაა (death is a reward; death is a loss).

რაც შეეხება ევფემისტურ ჰიპერბოლას, ეს ხერხი ასრულებს რეფერენტის სასურველი დახასიათების მნიშვნელოვნად შელამაზების, გაუმჯობესების ფუნქციას. ევფემისტური ჰიპერბოლა მიზნად ისახავს არა მხოლოდ მიცვალებულის ქებას, არამედ ქრისტიანულ რწმენაზე დაფუძნებულ სიკვდილის ბიოლოგიური აქტის შექებასა და გაზვიადებას. ამ თვალსაზრისით, ადამიანის გარდაცვალების გარდა, მიიჩნევა, რომ იგი იმყოფება სასუფეველში, ზეცაში ან ეზიარება ღმერთს, რაც, ქრისტიანული თვალსაზრისით, ყველაზე დიდ ბედნიერებად მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მეტაფორას ჰიპერბოლური ელფერი დაჰკრავს: სიკვდილი როგორც სამუდამო, დიდება (unending glory), სიკვდილი როგორც მარადიული ბედნიერება (eternity of happiness).

ნეკროლოგებში სიკვდილი ჩანაცვლებულია გარდაცვალებით (decease), დაღუპვით (demise), მიცვალებით (expire).

მონაცემების ანალიზმა ცხადჰყო, რომ მეტაფორა არის ყველაზე ძლიერი მექანიზმი სიკვდილის ტაბუს ევფემიზმების ფორმირებაში. მეტაფორული ევფემისტური

შემცვლელების რაოდენობა რეალურად უფრო მეტია, რადგან ტაბუს შესამცირებლად გამოყენებულ ჰიპერბოლებსაც (სამეფო, დიდების გვირგვინი, ბედნიერების მარადისობა და დაუსრულებელი დიდების სამყარო) მეტაფორული სტატუსი აქვთ. იგივე შეიძლება ითქვას მშვიდად განსვენებაზე (requiescere in pace). შედეგად, მეტაფორა გამოხატულია 85 ევფემისტურ მაგალითში, ანუ დაფიქსირებული ევფემიზმების მთლიანი რაოდენობის თითქმის სამ მეოთხედში. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მეტაფორა წარმოადგენს სიკვდილის ტაბუს მეტაფორულად მითითების ძლიერ წყაროს. ეს არის ხერხი, რომელიც განიხილება „არა მხოლოდ მეტყველების სპეციფიკური ფიგურად, არამედ თავად ენის საფუძვლად“ (ვილერი 1994 / Wheeler 1994). ნეკროლოგები, როგორც წესი, მიმართავენ მანუგეშებელ მეტაფორებს - უაღრესად პოეტურ და კონოტაციურ ელემენტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ენობრივი ტაბუს თავიდან აცილებას, ნუგეშის გამოხატვას ცოცხლების მიმართ, რომლებმაც საყვარელი ადამიანები დაკარგეს.

იმის გათვალისწინებით, რომ პოეტური და კონოტაციური მეტაფორები ძალიან ხშირია მეცხრამეტე საუკუნის ნეკროლოგებში, გასაკვირი არ არის, რომ მონაცემთა ნახევარზე მეტი მიეკუთვნება აზრის გამომხატველი ნეკროლოგების კატეგორიას. სუბიექტურობის მაღალი ან დაბალი დონე ძირითადად განპირობებულია გარე ფაქტორებით, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიულ და სოციოკულტურულ ფაქტორებთან. ამასთანავე, ვიქტორიანული გადაჭარბებული სენტიმენტალიზმი ნაყოფიერი ნიადაგი გახლდათ სენტიმენტალური ნეკროლოგების პოპულარიზაციისთვის. შესაბამისად, ნეკროლოგების ინფორმაციული ტიპი, რომლებიც მიზნად ისახავს გარდაცვალებისა და გარდაცვლილის შესახებ საჭირო დეტალების მოხსენებას ნეიტრალური ენით და ლაკონურად არ შეესაბამება ვიქტორიანული ეპოქის სოციალურ და რელიგიურ შეხედულებას სიკვდილზე.

ნეკროლოგებში ფიქსირებული მეტაფორების ანალიზი გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას სიკვდილის ტაბუს რეალურად გამოყენებისა და აღქმის სპეციფიკის თაობაზე: სიკვდილი მოგზაურობაა (death is a journey), სიკვდილი მხიარული ცხოვრებაა (death is a joyful life), სიკვდილი დასვენებაა (death is a rest), სიკვდილი ჯილდოა (death is a reward), სიკვდილი დასასრულია (death is the end), სიკვდილი დანაკარგია (death is a loss).

მეტაფორათა უმრავლესობა სიკვდილს პოზიტიურ მოვლენად აღიქვამს: სიკვდილი აღქმულია როგორც ერთგვარი ჯილდო სამოთხეში დედამიწაზე ცხოვრების შემდეგ. ექვსი

კონცეპტუალური მეტაფორიდან ოთხი კონცეპტუალიზებულია სიკვდილის პოზიტიური კონოტაციით: მხიარული ცხოვრება, მოგზაურობა, დასვენება, ჯილდო. მხოლოდ ორ შემთხვევაშია სიკვდილი ნეგატიურად კონოტირებული: დანაკარგი და აღსასრული.

შესაბამისად, კონცეპტუალიზაციათა უმეტესობა სიკვდილს პოზიტიურად აღიქვამს. ამ მხრივ საინტერესოა სიკვდილის სხვა ფენომენთან შედარებისას სიკვდილის დადებითი ან უარყოფითი შეფასების განპირობებულობა თავდაპირველი დომენის სპეციფიკით (ბულტნიკი 1998 / Bultnick 1998).

სიკვდილი მოგზაურობაა - კონცეპტუალური მეტაფორა, რომელიც სიკვდილს მოგზაურობად აღიქვამს, ყველაზე აქტუალურია ნეკროლოგებში რაოდენობრივი თვალსაზრისით (27 ერთეული და მეტაფორების საერთო რაოდენობის 32%). როგორც ბულტნიკი (1998) აღნიშნავს, ადამიანის გარდაცვალება კონცეპტუალიზებულია როგორც გამგზავრება ამ სამყაროდან. ერთი დომენი გამოხატულია მეორეთი. ეს არის ასოციაცია, რომელიც საფუძველს იძლევა ტაბუს სიტყვიერი „შერბილებისთვის“.

ამ ერთეულში ფიქსირდება კონცეპტუალური შესაბამისობების ერთობლიობა - სიკვდილზე სასაუბროდ გამოყენებულია მოგზაურობის შესახებ აკუმულირებული ცოდნა: სიკვდილი ასოცირდება წასვლასთან; მოგზაურობის დანიშნულებაა ღმერთთან შეხვედრა სამოთხეში; მომაკვდავი ადამიანია ის, ვინც იწყებს მოგზაურობას. მიუხედავად იმისა, რომ წყარო დომენის ბუნება რადიკალურად განსხვავდება სამიზნე დომენისგან, სუბიექტის მიერ ევფემიზმის აღქმა ადეკვატურია, ვინაიდან კონცეპტუალური შესაბამისობები აღმქმელი სუბიექტის კოგნიტური სისტემის ნაწილია (ლაკოფი 1993 / Lakoff 1993).

იმ მეტაფორებში, სადაც ჩანს კონცეპტუალური ასოციაცია, სიკვდილი შეესაბამება წასვლის აქტს და, შესაბამისად, გარდაცვლილი აშკარად ის ადამიანია, რომელიც იწყებს მოგზაურობას. ნაშრომში არსებული მეტაფორული შემცვლელების აბსოლუტური უმრავლესობა (depart/departure, depart this life and departure out of this world, leave, pass from the sorrows of Earth - გამგზავრება, მარადიულ მოგზაურობაში გამგზავრება, ამ ქვეყნიდან გამგზავრება, დედამიწაზე არსებული სევდის უკან მოტოვება) ფოკუსირებულია მოგზაურობაზე, როგორც მოქმედებაზე და არა მოგზაურობის დასასრულზე. მოგზაურობის საბოლოო დანიშნულება, ანუ ღმერთთან შეხვედრა სამოთხეში, ემყარება ქრისტიანულ რწმენას მაცხოვართან შეხვედრის შესახებ. ამ მომენტის ასახვისთვის ისეთი

ევფემისტური პარალელებია გამოყენებული, როგორცაა ღმერთთან მიახლოება და მარადიული ცხოვრებისკენ სვლა. საინტერესოა, რომ ისეთი ტერმინი, როგორცაა გარდაცვალება (pass away), რომელიც დამახასიათებელია ვიქტორიანული სენტიმენტალიზმისთვის და თარიღდება მეთოთხმეტე საუკუნით (როუსონი 1995 / Rawson 1995), არ შეგვხვედრია შერჩეულ ნეკროლოგებში.

მეტაფორაში - სიკვდილი მოგზაურობაა - გარდაცვლილია ადამიანი, რომელმაც შეძლო მოგზაურობის დაწყება. მომაკვდავი ადამიანი სხვა სამყაროშია გადასული, თუმცა, მაინც ცოცხალია. სხეულის მოძრაობის, როგორც სიკვდილის ატრიბუტის, სრული შეწყვეტის უარყოფით, ეს მეტაფორები უარყოფენ სიკვდილს. ამგვარი კონცეპტუალიზაცია სათავეს იღებს რელიგიაში, რწმენაში, სადაც სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული მარადიულად იცხოვრებს ღმერთში.

თუმცა ნეკროლოგებში ფიქსირდება მეტაფორებიც, რომლებშიც მომაკვდავი ადამიანი არ არის კონცეპტუალიზებული, როგორც ცოცხალი არსება, რომელმაც შეძლო დამოუკიდებლად წასვლა. უფრო მეტიც, ზოგიერთ ნეკროლოგში მოგზაურობა განიხილება როგორც რაიმე გარე აგენტის მიერ შესრულებული მოქმედების შედეგი, რომელიც ეხმარება გამგზავრებას (ლაკოფი 1993 / Lakoff 1993), მაგალითად, განგების (It has pleased Providence to bestow upon him the rewards of his pious life - განგება უბოძებს მას ჯილდოს თავისი ღვთისმოსავი ცხოვრებისთვის) და ღმერთის (the man just called by the will of the Almighty before his throne of Mercy - ღმერთმა იწება ამ კაცისთვის წყალობა ებოძა). მოგზაურობის სულისჩამდგმელი, შესაძლოა, ისეთი ძალაც იყოს, რომელიც უცნობია - გატაცებულ იქნას სიცოცხლის პირველ ხანებში (be carried off in the prime of life) და მოწყდეს სიცოცხლის ყვავილობას (be cut away in the bloom of life). ამ ფრაზებში სიკვდილი განიხილება სასტიკ მტრად, რომელსაც შეუძლია ჩვენი განადგურება (მარტინ არესე 1996 / Marín Arrese 1996).

თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული ფრაზების კონოტაციებს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი გადმოსცემენ სიკვდილისადმი არა ევფემისტურ, არამედ დისფემისტურ მიდგომას. ეს დასტურია იმისა, რომ ვერ ხერხდება ევფემიზმისა და მისი საპირისპირო ტერმინის დისფემიზმის მკაფიო კატეგორიზაცია. ამა თუ იმ კატეგორიის წევრობა დამოკიდებულია კონტექსტუალურ და პრაგმატულ მოსაზრებებზე. ალანი და ბურიჯი აღნიშნავენ, რომ „ევფემიზმის მსგავსად, დისფემიზმი მოითხოვს აქცენტს არა იმდენად სიტყვაზე,

რამდენადაც იმაზე, თუ როგორაა სიტყვა გამოყენებული“ (ალანი და ბურიჯი 1991 / Allan and Burridge 1991).

მეტაფორა - სიკვდილი არის დანაკარგი - განეკუთვნება იმ 20% -ს, რომელიც დანაკარგის დომენს მოიცავს. ამ კოგნიტურ ასოციაციას აქვს მეტონიმური საფუძველი, რომელიც ფოკუსირებულია სიკვდილის უარყოფით შედეგებზე. ბულტნიკის (1998) მიხედვით, კონცეპტუალური საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ სიცოცხლე აღიქმება, როგორც ღირებული ობიექტი და ამგვარად სიკვდილი განიხილება, როგორც ამ საკუთრების დაკარგვა. აქედან გამომდინარე, იმის საპირისპიროდ რაც ხდება ნეკროლოგებში დაფიქსირებული მეტაფორების უმრავლესობაში, ამ ასოციაციის შედეგად მიღებული მეტაფორული შემცვლელეები არ იძლევა რაიმე სახის ნუგეშს ან შვებას. სინამდვილეში, როგორც ალანი და ბურიჯი (1991) ამტკიცებენ, მეტაფორა - სიკვდილი არის დანაკარგი - ასახავს სიკვდილს როგორც „ავ ბედს“ (malign fate), როგორც მოვლენას, რომელსაც ადამიანები ვერ აკონტროლებენ, რაც მათ უძლურს ტოვებს გარდაუვალი მოვლენის წინაშე. ევფემისტური ალტერნატივები, როგორცაა დანაკარგი და მძიმე დანაკლისი მიეკუთვნებიან ამ კოგნიტურ ერთობლიობას.

მეტაფორაში - სიკვდილი ხალისიანი ცხოვრებაა - ვლინდება ქრისტიანული იდეალი ხალისიანი ცხოვრებისა, სამოთხეში ღმერთთან მშვიდობიანი და მარადიული არსებობისა. ეს კონცეპტუალური მეტაფორა ემყარება რწმენას შემდგომი ცხოვრებისა, რომელშიც გარდაცვლილი სიხარულით მოელის აღდგომას სამოთხეში, რომელსაც ღმერთი და ზეციური ანგელოზები იცავენ. აღნიშნულ მეტაფორაში ატრიბუტები ხალისიანი ცხოვრების დომენიდან სიკვდილის დომენში გადადის.

კვლევაში გამოყენებულ ნეკროლოგებში იმედისა თუ ნუგეშის მეტაფორები შემდეგნაირია: abode of peace, better world, joyful expectation of the resurrection of the just, happiness (მშვიდობის სამყოფელი, უკეთესი სამყარო, მართალთა აღდგომის მოლოდინი, ბედნიერება).

გამომდინარე იქიდან, რომ სიკვდილის ტაბუდადებულ დომენში სიტყვა “ხალისიანი“ ფიგურირებს, სიცოცხლე მაინც უარყოფითად განიხილება. ეს კონცეპტუალიზაცია აისახება შემდეგ მეტაფორებში: lower scene; scene of wretchedness; anxiety and earthly care.

ამრიგად, ყურადღება გადადის სიცოცხლიდან სიკვდილზე. ეს უკანასკნელი კი განიხილება იდეალურ მდგომარეობად გარდაცვლათათვის და ნუგეშად ცოცხალთათვის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს კონცეპტუალური ასოციაცია განსაკუთრებით ხშირია მორწმუნეთა ნეკროლოგებში, სადაც სიკვდილი გააზრებულია როგორც ცხოვრებიდან სიკვდილზე გადასვლა, უბედურებიდან (საბოლოოდ ტანჯვიდან) ბედნიერებამდე (უკეთესი სამყაროს სიხარულამდე) გადანაცვლება.

მეტაფორა - სიკვდილი დასვენებაა - გამოვლენილ მეტაფორული ეფემიზმთა 13%-ს შედეგენს. ამ მეტაფორებში სიკვდილი გააზრებულია როგორც მიწიერი არსებობის შემდეგ დასვენება. სიკვდილი ამ შემთხვევებში სასურველი მდგომარეობაა.

ყველაზე ხშირად გამოიყენება სიტყვა განსვენება, რომელიც ფიქსირდება ისეთ ფრაზებში, როგორებიცაა: eternal rest, rest in Him and rest in peace; rest from the labours of a well spent life; rest on the merits of one's Saviour (მარადიული განსვენება; განსვენება ღმერთთან და განსვენება მშვიდობით; დასვენება კარგად გატარებული ცხოვრების შრომისგან; განსვენება მაცხოვრის ნებით). ასევე იკვეთება ეფემისტური ჩანაცვლების წყარო საფლავისთვის - resting place (განსვენების ადგილი). გაანალიზებულ ნეკროლოგებში ფიგურირებს ფრაზა - Fall asleep in Christ (განსვენება ქრისტეში), სადაც ძილი განსვენებასთან ასოცირდება.

აღნიშნულ მეტაფორებში „განსვენება“, „დაძინება“ და „დასვენება“ გააზრებულია როგორც დროებითი მოვლენა, მაშასდამე, სიკვდილიც კონცეპტუალიზდება, როგორც დროებითი მოვლენა. ეს ანალოგია გულისხმობს, რომ სხეულის ფუნქციონირებისა და მეტყველების შეწყვეტა ავტომატურად არ იგივდება ფიზიკურ სიკვდილთან, რადგან ისინი ასევე რელევანტურია მშვიდი ძილისათვის. კონცეპტუალიზაცია, რომელიც სიკვდილს უკავშირებს დასვენებას ან ძილს, იძლევა ეფექტურ ეფემისტურ მინიშნებას ტაბუზე, ძირითადად იმიტომ, რომ ეს ასოციაცია საბოლოოდ მიანიშნებს სიკვდილის უარყოფაზე: მომაკვდავი ადამიანი არ არის მკვდარი - მას მშვიდად სძინავს. გარდა ამისა, ამ მეტაფორის მიხედვით, სიკვდილი გარკვეულ შვებას ჰგვრის მომაკვდავ ადამიანს.

მეტაფორა - სიკვდილი ჯილდოა - შეადგენს ეფემიზმთა 8%-ს. ამ მეტაფორში სიკვდილი კონცეპტუალიზებულია როგორც მოვლენა, რომელიც, შიშის ან ზიანისგან განსხვავებით, გულისხმობს ერთგვარ თავისუფლებას, რომლის წყალობითაც გარდაცვლილი და მისი

ცოცხალი ახლობლები პოვებენ იმედს და ნუგეშს. მეტაფორა კონცენტრირებულია სიკვდილზე, როგორც შედეგზე.

ცოდნა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ჯილდო, საშუალებას აძლევს ნეკროლოგის ავტორს ევფემისტურად მოიხსენიოს სიკვდილი. ნეკროლოგებში ფიქსირდება შემდეგი ევფემიზმები: სიკვდილი არის რელიგიური ჯილდო და სიკვდილი არის ჯილდო დედამიწაზე სათნო ცხოვრების შემდეგ. პირველ შემთხვევაში ქრისტიანული რწმენა ღმერთთან ზეცაში შეხვედრის შესახებ წარმოადგენს ჯილდოს წყაროს და, შესაბამისად, გამოიყენება სიკვდილის სამიზნე დომენის შესამცირებლად. ამ ანალოგიის შედეგად, სიკვდილი გააზრებულია როგორც ჯილდო, რომელიც მიეცემა ადამიანს სამოთხეში ან დიდების მარადიულ სამყაროში. მეორე შემთხვევაში სიკვდილი ასოცირდება მორალური ცხოვრებისთვის შესაფერის ჯილდოსთან: ტკობა კარგად გატარებული ცხოვრების ნაყოფით; ტკობა იმ სიმშვიდითა და ნეტარებით, რომელიც ელოდებათ სათნოთა და კეთილთ.

მეტაფორაში - სიკვდილი დასასრულია - ორგანიზებულია ჩვენი გამოცდილება. ცხოვრება შეიძლება გავიგოთ როგორც პროცესი. კომპლექსური მოვლენები ზოგადად გააზრებულია წყარო -გზა- მიზანი სქემის მიხედვით. კომპლექსურ მოვლენებს აქვთ საწყისი მდგომარეობა (წყარო), შუალედური ეტაპების თანმიმდევრობა (გზა) და საბოლოო მდგომარეობა (დანიშნულება) (Lakoff 1987 / ლაკოფი 1987).

მაშასადამე, ევფემისტურ ფრაზაში - სიკვდილი დასასრულია - სიკვდილი გააზრებულია როგორც ჩვენი სიცოცხლის საბოლოო ეტაპი. მეტაფორა - სიკვდილი აღსასრულია - შედგენს ევფემიზმთა 8%-ს. ყველაზე აშკარა ტერმინს კონცეპტუალიზაციისთვის წარმოადგენს „აღსასრული“.

გამონათქვამები, რომლებიც შეიცავენ ზედსართავ სახელს „საბოლოო“ (არსებობის საბოლოო მტკივნეული მომენტები და საბოლოო ტანჯვა-წამება) განეკუთვნებიან აღნიშნულ კონცეპტუალურ ქსელს იმ გაგებით, რომ ისინი ხელს უწყობენ ადამიანის სიკვდილის გააზრებას საბოლოოობის თვალსაზრისით (ბულტნიკი 1998 / Bultnick 1998). ამ კუთხით, სიკვდილის ფიზიოლოგიურ შედეგებთან დაკავშირებული მეტონიმური გამონათქვამები, როგორცაა: breathe one's last breath; put a period to one's earthly sufferings (საბოლოო ამოსუნთქვა; მიწიერი ტანჯვის დასრულება), შეიძლება ასახავდეს იმავე

მეტაფორულ საფუძველს და ადასტურებდეს მეტაფორასა და მეტონიმის შორის ურთიერთქმედებას.

აიტო ამტკიცებს, რომ მეტაფორაში - სიკვდილი დასასრულია - სიკვდილი განიხილება როგორც საბოლოო ვალი, რომელიც ადამიანმა უნდა გადაიხადოს მიწიერი სამყაროს დატოვებამდე. ეს არის „საქმიანი“ გარიგების ერთგვარი დასკვნითი ეტაპის ნაწილი. ეს პრინციპი გამოიყენება მეტაფორულ გამოთქმაში - გადაიხადა ბუნების ვალი, სადაც სიკვდილის შესახებ ევფემიზმი გამოიხატება საბოლოო მომენტის ცოდნის (გარდაცვალებამდე ანგარიშსწორება) საფუძველზე, სიკვდილის შესახებ არსებული ცოდნით. (მარტინ არესე, 1996: 46 / Marín Arrese 1996: 46)

მასალის ანალიზმა ცხადჰყო, რომ კოგნიტური ლინგვისტიკის მოდელი იძლევა ეფექტურ ინსტრუმენტებს იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ ხდება სიკვდილის ტაბუს რეპრეზენტაცია.

მასალის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი კანონზომიერება:

1. სიკვდილის ფენომენის სენტიმენტალიზაციის კულტი აისახება იმ მეტაფორათა სიმრავლეში, რომლებიც მიზნად ისახავს ცოცხლად დარჩენილთა დახმარებას ტკივილთან გამკლავებაში;
2. სიკვდილი ყველაზე ხშირად კონცეპტუალიზებულია, როგორც გათავისუფლება მიწიერი ცხოვრებისგან და როგორც იმედი იმისა, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანს ელის მარადიული ცხოვრება.

თავი II. სააზროვნო სივრცეები და კვლევის მეთოდები

2.1. ლინგვოკულტუროლოგია და კოგნიტური ლინგვისტიკა

ბოლო დროს თანამედროვე ლინგვისტიკაში კულტუროლოგიურ კვლევათა მიმართ გაზრდილმა ინტერესმა განაპირობა კულტუროლოგიური მიმართულების ჩამოყალიბება, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენს ენასა და კულტურას შორის არსებული მიმართებების კვლევა.

აღნიშნული მიმართულების თეორია ემყარება იმ მტკიცებას, რომ ნებისმიერი ეროვნული, სოციალური თუ პროფესიული ჯგუფისთვის დამახასიათებელი ძირითადი კულტურული ნიშნები აისახება, პირველ რიგში, ამ ჯგუფის მიერ გამოყენებული ენობრივი საშუალებების სპეციფიკაში.

ენა არ არსებობს კულტურის მიღმა, ისევე როგორც კულტურა არ არსებობს ენის მიღმა. ის, რომ კულტურა „ჩართულია“ ენაში, უდავო ფაქტია, რადგან ენა, როგორც კომუნიკაციის საშუალება, მოიცავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია მისი მატარებლების კულტურულ-ტრადიციულ კომპეტენციასთან, რომელიც სწორედ ენის მეშვეობით გადაეცემა თაობიდან თაობას (ჯექსონი, 2014 / Jackson, 2014).

ენისა და ადამიანის მიმართების საკითხი არ კარგავს აქტუალობას ლინგვისტიკაში. ადამიანები ენას იყენებენ თავიანთი აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად. უნდა აღინიშნოს, რომ ენისადმი კულტუროლოგიური მიდგომისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენის კუმულაციურ ფუნქციას. ენა სხვადასხვა ლინგვისტურ ნორმებში დაფიქსირებული კოლექტიური გამოცდილების საცავია. ენის არსში ძვეს გზა მეტყველებისკენ (კრამში 1998 / Kramsch 1998).

მ. ჰაიდეგერის მტკიცებით, ადამიანის არსი ენაში ძვეს. ენა ზუსტად ასახავს წეს-ჩვეულებების, რწმენისა და აზროვნების ყველა ცვლილებასა და თავისებურებას; ენა პირდაპირ ასახავს სამყაროს ხატის სხვადასხვა მოდელს, რომელიც დამახასიათებელია ადამიანების ცალკეული ჯგუფებისთვის სხვადასხვა დროსა და სივრცეში; ენა პირდაპირ ასახავს ენობრივ მნიშვნელობათა და ფორმათა ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებებს (ჰაიდეგერი, 2008 / Heidegger, 2008).

XX საუკუნის მეორე ნახევარში, ენის არსის გააზრებასთან დაკავშირებით, ხდება გადასვლა კვლევის ანთროპოცენტრისტულ პარადიგმაზე, რომელიც კონცენტრირებულია ენისა და ენობრივი პიროვნების ურთიერთქმედების პრობლემათა შესწავლაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ანთროპოცენტრული პარადიგმა, გარდა ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკისა, წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის საფუძველსაც (გოდარდი და ვეჟბიკა, 2014 / Goddard & Wierzbicka 2014). ლინგვისტიკის ვექტორი, რომელიც მიმართული იყო უნივერსალური ლოგიკური და სპეციფიკური ლინგვისტური (ძირითადად, გრამატიკული) კატეგორიების სტრუქტურას შორის შესაბამისობის დადგენაზე, გადაიხარა ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ინვარიანტულ კატეგორიათა სემანტიკას შორის არსებული სხვაობის იდენტიფიცირებისაკენ (გოდარდი, 2004; ჯონსონი, 1994; ლაკოფი, 1972 / Goddard, 2004; Johnson, 1992; Lakoff, 1972).

ვინაიდან ლინგვოკულტუროლოგია ინტერდისციპლინარული სააზროვნო სივრცეა, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი იყენებს როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტურ მეთოდებს. ენისა და მეტყველების დაპირისპირება ლინგვოკულტუროლოგიის ფარგლებში არ არის აქტუალური. სწორედ ადამიანის გონებაში ხორციელდება ენისა და კულტურის ურთიერთქმედება, ამიტომ ნებისმიერი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა ამავედროულად კოგნიტური კვლევაა (როში 1977; თალმი 1977 / Rosch, 1977; Talmy, 1977).

ლინგვოკულტუროლოგიის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ინარჩუნებს მიზანმიმართულობასა და სპეციფიკას. უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვოკულტუროლოგია წარმოადგენს არა სხვადასხვა მეცნიერების ელემენტთა ხელოვნურ ნაკრებს, არამედ ამ ელემენტების ინტეგრაციას.

ენასა და კულტურას შორის არსებული ურთიერთგანსაზღვრულობის იდეა არ არის ახალი, ამიტომ ლინგვოკულტუროლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების წინაპირობები გვხვდება ისეთ მეცნიერთა ნაშრომებში, როგორებიცაა ჰუმბოლდტი, სეპირი და უორფი (გუმპერცი და ლევინსონი, 1996 / Gumperz & Levinson 1996).

ლინგვოკულტუროლოგია სინთეზური ტიპის კომპლექსური სააზროვნო სივრცეა, რომელიც შეისწავლის კულტურისა და ენის მიმართებასა და ურთიერთქმედებას. ასახავს რა აღნიშნულ პროცესს, ლინგვოკულტუროლოგია სისტემური მეთოდების გამოყენებით

განიხილავს ერთეულების განუყოფელ სტრუქტურას მათი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური (კულტურული) შინაარსის ერთიანობაში. ლინგვოკულტუროლოგია კონცენტრირებულია თანამედროვე პრიორიტეტებზე, კულტურულ ორიენტირებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე.

ლინგვოკულტურულ ტექსტებში „კონცეპტი“ წარმოადგენს ვერბალიზებულ კულტურულ შინაარსს – ლინგვოკონცეპტს. ეს ერთეული კულტურის ენის სემანტიკური ერთეულია, რომლის გამოხატვის პლანი ორმხრივი ენობრივი ნიშანია. ლინგვოკონცეპტის მახასიათებელი მისი ეთნოკულტურული დეტერმინირებულობაა. ამიტომ ზოგიერთი ლინგვისტი ლინგვოკულტუროლოგიას სხვა მეცნიერებათა განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ასე, მაგალითად, ვ. ნ. თელია თვლის, რომ „ლინგვოკულტუროლოგია არის ეთნოლინგვისტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ენისა და კულტურის შესაბამისობას... ლინგვოკულტუროლოგია აღწერს მათ სინქრონულ ურთიერთქმედებაში“ (თელია, 2008 / Teliya, 2008).

ლინგვოკულტურული კონცეპტოლოგია გამოეყო ლინგვოკულტუროლოგიას, კომპონენტების მოდიფიცირების პროცესში ტრიადის „ენა, კულტურა, პიროვნება“ საზღვრებში. აღნიშნულ ტრიადაში პიროვნება უთანაბრდება ცნობიერებას, უფრო ზუსტად კი, კონცეპტთა ერთობლიობას (პატნემი, 1975 / Putnam, 1975).

უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვოკონცეპტოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბება, რომელიც შეისწავლის ინტერკულტურულ კომუნიკაციაში ობიექტივირებულ კონცეპტებს ემთხვევა ზოგად ჰუმანიტარული ცოდნის პარადიგმის ანთროპოცენტრულ რეორიენტაციას (ჰაიდი და კულმენი, 2004 / Hyde & Kullman, 2004).

ლინგვოკულტუროლოგიისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის სფეროები ნაწილობრივ კვეთენ ერთმანეთს: მათ აქვთ შესწავლის საერთო ობიექტი - ბუნებრივი ენების მატარებელთა ეთნიკური მენტალიტეტი (ფილერი, 2011 / Piller, 2011). მიუხედავად აღნიშნული მსგავსებისა, ლინგვოკულტუროლოგიასა და ინტერკულტურულ კომუნიკაციას განსხვავებული მიზნები აქვთ: ლინგვოკულტუროლოგია მიზნად ისახავს ეთნიკური მენტალიტეტის ლინგვო-სპეციფიკური მახასიათებლების იდენტიფიცირებას მისი სემანტიკური კომპონენტების - კონცეპტების - ანალიზის გზით, ხოლო ინტერკულტურული კომუნიკაციის მიზანს წარმოადგენს ლინგვოკულტურული

სპეციფიკისა და მისგან გამოწვეული გაუგებრობის დაძლევა (ჯექსონი, 2012 და ჰაუსი, 2011 / Jackson, 2012 & House, 2011).

ლინგვოკულტუროლოგიასთან ერთად, მკვლევართა უდიდეს ინტერესს წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკის შესწავლა (ჩიენკი, 2007 / Cienki, 2007). ეს არის მეცნიერება, რომლის მთავარი ამოცანაა საკვლევო კონცეპტის - ეროვნული კონცეპტუალური სფეროს გლობალური მენტალური ერთეულის - შინაარსის აღწერა და მოდელირება საკვლევო კონცეპტის მათი ექტივირებელ ენობრივ საშუალებათა მაქსიმალურად სრული შემადგენლობის იდენტიფიცირებისა და აღნიშნულ საშუალებათა სემანტიკის ექსპლიკაციის გზით (ფოკონიე, 1985 და ფილმორი, 1982 / Fauconnier, 1985 & Fillmore, 1982).

როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის დამოუკიდებელი სფერო, კოგნიტური ლინგვისტიკა წარმოიშვა კოგნიტური მეცნიერებიდან (ჯექენდოფი, 1992 / Jackendoff, 1992). ამავდროულად, ძირითადი განსხვავება კოგნიტურ ლინგვისტიკასა და სხვა კოგნიტურ მეცნიერებებს შორის ის არის, რომ კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს ცნობიერებას ენის საფუძველზე, ხოლო სხვა კოგნიტური მეცნიერებები იკვლევენ ცნობიერებას საკუთარ მასალაზე (ჰერმანი, 1988 / Harman, 1988). კოგნიტური ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების, თავისებურება მდგომარეობს მის მეთოდებში. ენობრივი ერთეულების ლექსიკური და გრამატიკული სემანტიკის აღსაწერად გამოყენებული ლინგვისტური მეთოდები ლინგვოკოგნიტური კვლევის მეთოდებად იქცა (ლანგეკერი, 1991 / Langacker, 1991). კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს იმ ერთეულების სემანტიკას, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ენაში კონკრეტულ კონცეპტთა რეპრეზენტაცია. კოგნიტური ლინგვისტიკა შეისწავლის კოგნიტურ პროცესებს, გამოაქვს დასკვნები ადამიანის გონებაში არსებულ კონცეპტთა ტიპებისა და შინაარსის შესახებ (ჯექენდოფი, 1990 / Jackendoff, 1990). ყოველივე ამას კოგნიტური ლინგვისტიკა ახორციელებს ლინგვისტიკის განკარგულებაში არსებული ანალიზის მეთოდების გამოყენების გზით. სწორედ ამ გზით ხდება შესაძლებელი კვლევის შედეგების კოგნიტური ინტერპრეტაცია (ლერერი და კიტაი, 1992 / Lehrer & Kittay, 1992).

ენის, როგორც კოგნიტური ან კოგნიტურ-პროცესუალური ფენომენის განსაზღვრისას, აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ენა გადმოსცემს ინფორმაციას სამყაროს შესახებ, რომ იგი მრავალმხრივ არის დაკავშირებული ამ ინფორმაციის დამუშავებასთან, რომ იგი

პირდაპირ კავშირშია ინფორმაციის კონსტრუირებასთან, ორგანიზაციასთან და გაუმჯობესებასთან, ინფორმაციის რეპრეზენტაციასთან (ჰემტონი, 1997 / Hampton, 1997). ყოველივე ეს საბოლოოდ უზრუნველყოფს კომუნიკაციური პროცესების იმპლემენტაციას, რომლის დროსაც გადაიცემა და გამოიყენება ცოდნის მოცულობითი და რთული პლასტები. ეს ყველაფერი განსაკუთრებულ სიახლეს სძენს ლინგვისტურ კვლევას (სვეტსერი, 1999; ვეჟბიკა, 1985 / Sweetser, 1999; Wierzbicka, 1985).

კოგნიტური ლინგვისტიკის მიმართ მკვლევართა დიდი ინტერესის მიუხედავად, ტერმინს „კონცეპტი“ ჯერაც არ მიუღია მეცნიერებაში ცალსახა განმარტება.

2.2. მენტალური ფენომენები

ლინგვისტიკის სფეროში მიმდინარე კვლევების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს ყურადღების კონცენტრაცია ენაში ადამიანური ფაქტორისადმი, რის გამოც კოგნიტური მიდგომის მთავარ პრინციპად მიჩნეულია თვალსაზრისი, რომ ენაზე კოგნიტური აქტივობისგან იზოლირებულად საუბარი შეუძლებელია (რედენი, 1992 / Radden, 1992).

ერთიანი განმარტების არარსებობის გამო, ტერმინი „კონცეპტი“, რომელიც ფართოდ გავრცელდა თანამედროვე ლინგვისტიკაში, ამჟამად სამეცნიერო დისკუსიის საგანია.

ტერმინის „კონცეპტი“ ინტერპრეტაციული ველის არაერთგვაროვნება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კონცეპტი მრავალგანზომილებიანი და მრავალწახნაგოვანი ფენომენია. კვლევის კონცეპტუალური მიდგომა აერთიანებს კოგნიტური მეცნიერების, ეთნოლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, კულტუროლოგიისა და სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების მიღწევებს. სწორედ ამიტომ კონცეპტის არსის „გახსნა“ თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა (დუნი, ჯაჰილი, დიუკსი და გინსბერგი, 1986 / Dunn, Cahill, Dukes & Ginsberg, 1986).

აუცილებელია ლინგვოკულტურული და წმინდა ლინგვისტური კონცეპტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტები მიეკუთვნებიან მენტალობის, მენტალიტეტის ერთეულებს, რომელთა საშუალებითაც აღიწერება

ეროვნული (ეთნიკური) ხასიათი. წინიდა ლინგვისტური კონცეპტები წარმოადგენს ცნების შინაარსს, სახელის (ნიშნის) მნიშვნელობას. ამავე დროს, კონცეპტი განსხვავდება ნიშნისაგან და მისი საგნობრივი მნიშვნელობისაგან (დენოტატისაგან, ცნების მოცულობისაგან).

Longman Dictionary of Contemporary English გთავაზობს კონცეპტის შემდეგ განმარტებას: someone's idea of something is, or should be done (ინდივიდის წარმოდგენა რაიმეს შესახებ). ტერმინი „კონცეპტი“ აქ განმარტება როგორც „იდეა იმის შესახებ, რაც უკვე გაკეთდა ან უნდა გაკეთდეს“.

ლინგვისტიკაში ტერმინი „კონცეპტი“ განიხილება სხვადასხვა ლინგვისტური სკოლებისა და ტენდენციის პრიზმაში. კონცეპტი განიხილება ჩვენი ცნობიერების ერთგვარ განუყოფელ ოპერაციულ ერთეულად, რომლითაც აზროვნების პროცესში ადამიანი ოპერირებს როგორც გეშტალტით (ლაკოფი, 1977 / Lakoff, 1977). მეცნიერს ესმის კონცეპტი როგორც აზრი, რომლითაც ხასიათდება ადამიანის ცნობიერება და მეხსიერება; ადამიანი ოპერირებს კონცეპტებით; კონცეპტები ასახავენ ადამიანის მოღვაწეობის შედეგებს ცოდნის კვანტების სახით.

ლინგვისტები განიხილავენ კონცეპტებს კულტუროლოგიურ-სემიოტიკური მიდგომის ფარგლებში, სადაც კონცეპტი გააზრებულია, ერთი მხრივ, როგორც კულტურის „შენადედი“, მეორე მხრივ კი, როგორც ის ფენომენი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი „შედის“ კულტურაში, ზოგ შემთხვევაში კი, გავლენასაც კი ახდენს მასზე (ანდერჰილი, 2012 / Underhill, 2012).

ვ. თელია განმარტავს კონცეპტს, როგორც ფრეიმში სტრუქტურირებულ ცოდნას. ამდენად, კონცეპტი ასახავს განსახილველი ობიექტის არა მხოლოდ მნიშვნელოვან მახასიათებელს, არამედ მახასიათებელთა ერთობლიობას, რომელიც მოიცავს ცოდნას ობიექტის არსის შესახებ (თელია, 2008 / Teliya, 2008).

თანამედროვე ლინგვისტები კონცეპტის განმარტებისას ყურადღებას ამახვილებენ „მნიშვნელობაზე, რომელიც არსებობს ადამიანში და ადამიანისათვის“. ა. ვეჟბიკა ამტკიცებს, რომ ბუნებრივი ენის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ენაში არ არსებობს ბარიერები ფსიქოლოგიურ და ექსტრალინგვისტურ რეალობას, ასევე მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა სოციალურ სამყაროს შორის.

ა. ვეუბიცკა კონცეპტს განსაზღვრავს როგორც ობიექტს „იდეალური“ სამყაროდან, რომელსაც აქვს სახელი და ასახავს ადამიანის მიერ სამყაროს კულტურულად დეტერმინირებულ აღქმას. მეცნიერი გვთავაზობს, განვიხილოთ კონცეპტები როგორც გარე სამყაროს შემეცნების ინსტრუმენტები, რომლებიც უნდა აღიწეროს ენობრივი საშუალებებით, ერთგვარი ექსპოლონატორული კონსტრუქციების სახით. ამ ტიპის მიდგომას შეიძლება ეწოდოს ლოგიკურ-ცნებობრივი მიდგომა.

ა. ვეუბიცკას თეორიის მიხედვით, კონცეპტს გააჩნია ეთნიკური სპეციფიკა და, შესაბამისად, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ხალხის კულტურების შედარება-კონტრასტირებისათვის - სხვადასხვა ხალხის კულტურების ინტეგრარული და დიფერენციალური ნიშნების იდენტიფიცირებისათვის.

ა. ვეუბიცკას ეკუთვნის იდეა კონცეპტი-მაქსიმუმისა და კონცეპტი-მინიმუმის არსებობის შესახებ. მეცნიერის აზრით, კონცეპტთა აღნიშნულ ტიპებს შორის არსებული კონტრასტი კულტურულადაა განპირობებული. კონცეპტი-მაქსიმუმის ცოდნა გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის სრულყოფილ ცოდნას, რომელსაც ფლობს ენის რიგითი მატარებელი, ხოლო კონცეპტი-მინიმუმის ცოდნა გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის არასრულყოფილ ცოდნას, რომელიც არ უნდა იყოს გარკვეულ ზღვარს ქვემოთ (ვეუბიცკა, 2006 / Wierzbicka, 2006).

ა. ვეუბიცკას მიერ შემოთავაზებული „მინიმუმის“ და „მაქსიმუმის“ ცნებების გაერთიანებით ყალიბდება კონცეპტის შემდეგი განმარტება: კონცეპტი წარმოადგენს ჰოლისტურ წარმონაქმნს, რომელსაც შეუძლია შეავსოს, შეცვალოს და ასახოს ადამიანის გამოცდილება; კონცეპტს აქვს ლოგიკურად ორგანიზებული დინამიური სტრუქტურა, რომელიც შედგება საწყისი ძირითადი ელემენტისა და მასთან პროტოტიპული მნიშვნელობით დაკავშირებული წარმოებული ელემენტებისაგან (1972).

სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირდება სხვა ტიპის მიდგომაც კონცეპტის არსის გააზრებისადმი. ამ მიდგომის ფარგლებში კონცეპტი ინტერპრეტირებულია როგორც ენობრივი ნიშნის შინაარსის პლანი, როგორც ლინგვოკულტურული სპეციფიკით მარკირებული მენტალური ერთეული (სშიფერი; სტილი, 1988 / Schiffer; Steel, 1988).

კონცეპტის სემანტიკური სივრცე მოიცავს ენობრივი ნიშნის პრაგმატულ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ექსპრესიულ და ილოკუციურ ფუნქციებთან, ასევე

სინტაგმატურ, პრაგმატულ და დერივაციულ კავშირებთან. კონცეპტის სემანტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სიტყვის კოგნიტური მეხსიერება (გრანტი; დეგენბახი, 2000 / Grant, Dagenbach, 2000). კოგნიტური მეხსიერება ინტერპრეტირებულია როგორც ენობრივი ნიშნის სემანტიკური მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია მის ჰემმარიტ ფუნქციასა და მშობლიური ენის მატარებელთა სულიერ ფასეულობათა სისტემასთან.

კონცეპტის თეორიაში კონცეპტის ფორმირების საფუძვლად მიჩნეულია მხოლოდ ის ფენომენი, რომელიც ხდება შეფასების ობიექტი. ობიექტის შესაფასებლად, პირველ რიგში, ადამიანმა უნდა „გაატაროს იგი საკუთარ თავში“. სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირდება პარალელი შეფასების ბუნებასა და ადამიანის ბუნებას შორის. კულტურის მატარებლის ცნობიერებაში კონცეპტის ჩამოყალიბების საწყის ეტაპს წარმოადგენს ობიექტის შეფასებისა და მისი „საკუთარ თავში გატარების“ ეტაპი (ჯივონი, 1989 / Givón, 1989). კონცეპტის თეორიის ფარგლებში კონცეპტი წარმოიქმნება ცხოვრებისეული გამოცდილების, ტრადიციების, შეგრძნებებისა და სხვადასხვა ტიპის კულტურული ფაქტორების (რელიგიის, ფოლკლორის, იდეოლოგიის, ფსიქოლოგიის, ხელოვნების) სინთეზის შედეგად. კონცეპტები ქმნიან ერთგვარ კულტურულ ფენას, რომელიც შუამავლობს ადამიანსა და სამყაროს შორის (გოდარდი და ვიერბიკა, 2004 / Goddard & Wierzbicka, 2004).

ჯ. ლაკოფის თვალსაზრისით, კონცეპტის ცნება შეიძლება შევადაროთ გემტალტის ფილოსოფიურ კატეგორიას. ეს კატეგორია ცენტრალურ ადგილს იკავებს გემტალტ ფსიქოლოგიაში და განიხილება აღქმული ობიექტების სივრცობრივ სტაბილურ ფორმად. გადატანითი მნიშვნელობით, ტერმინი გემტალტი გამოიყენება ფსიქიკური კულტურული წარმონაქმნების, ღირებულებების მიმართ, რომელთა ელემენტები დაკავშირებულია და განისაზღვრება ერთიანი სტრუქტურით. გემტალტები რთული სტრუქტურებია, რომლებიც აწესრიგებენ ინდივიდუალური ფენომენების მრავალფეროვნებას ცნობიერებაში და აყალიბებენ აბსტრაქტული ლექსიკის შინაარსს. ამ უკანასკნელში ლაკოფი გულისხმობს პროტოტიპებით ინტერპრეტირებულ კონცეპტებს, ფრეიმებსა და სცენარებს, როგორც გემტალტის კონკრეტულ სახეობებს. ლაკოფის განმარტების მიხედვით, კონცეპტი წარმოადგენს სიტყვის განზოგადებულ ხატს, რომელიც იქმნება გემტალტებისაგან (1977).

სპეციალური ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს ტერმინის „კონცეპტი“ განმარტებათა არაერთგვაროვნებას. ცოდნისა და ენის მიმართების არსის წვდომა ის პრობლემაა, რომლის გადაჭრასაც ცდილობს ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და სხვა მეცნიერებები. არსებობს რამდენიმე მიმართულება, კერძოდ – ფილოსოფიური, კულტურული, კოგნიტური, ლინგვისტური – რომელთაგან თითოეული თავისებურად განმარტავს ტერმინს „კონცეპტი“.

ფილოსოფიური მიმართულების ფარგლებში კონცეპტი წარმოადგენს ფილოსოფიურ იდეას შეზღუდული რაოდენობის კომპონენტების განუყოფლობის შესახებ. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში კონცეპტი თვითრეფერენციული და არადისკურსიულია. განსხვავება ფილოსოფიასა და სხვა მეცნიერებებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერებათა საგანს წარმოადგენს არა კონცეპტები, არამედ პროპოზიციათა სახით რეალიზებული ფუნქციები.

რაც შეეხება კულტუროლოგიურ მიმართულებას, იგი ორიენტირებულია ენასა და კულტურას შორის არსებული მიმართებების სპეციფიკის ანალიზზე სინქრონულ ქრილში.

შესაბამისად, კონცეპტთა კვლევისადმი აღნიშნული მიდგომა ასოცირდება, ფილოსოფიასთან, ვინაიდან კვლევის საგანს წარმოადგენს აქსიოლოგიური კონცეპტები (როგორცაა სიმართლე, მოვალეობა, ბედი, სიკეთე, ბოროტება, სილამაზე, თავისუფლება და ა.შ.), რომელთა კვლევა ხორციელდება, ერთი მხრივ, ლოგიკური, ხოლო მეორე მხრივ კი, ლინგვისტური ანალიზის გზით, ვინაიდან კონცეპტები ძირითადად გაანალიზებულია იმ ერთეულების მეშვეობით, რომლებითაც ხორციელდება კონცეპტთა ვერბალიზაცია (ბაჰმი, 1993 / Bahm, 1993).

ლინგვოკულტუროლოგიაში კონცეპტები გააზრებულია როგორც მსოფლიო კულტურის კონსტანტები და, ბუნებრივია, ისინი განიხილება კულტურის ველის ფარგლებში.

გარკვეული კულტურული კონცეპტების შესასწავლად შემოთავაზებულია კონცეპტუალიზებულ სივრცეთა აგების მეთოდოლოგიური პრინციპი. კონცეპტუალიზებული სივრცეები წარმოიქმნება აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე სამყაროს ენობრივი და კულტურული მოდელები. კონცეპტუალიზებული

სივრცეები ადგენენ ენობრივ და კულტურულ ფენომენტა კორელაციის გაშუალებულ დონეს (ბარსლოუ, 1992 / Barsalou, 1992).

კოგნიტური მიმართულების წარმომადგენლები კონცეპტს მიაკუთვნებენ მენტალურ ფენომენტა რიგს. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში კონცეპტი ინტერპრეტირებულია როგორც მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, გონების ენისა და ადამიანის ფსიქიკაში ფიქსირებული სამყაროს ხატის ოპერატიული ერთეული (მინსკი, 1986 / Minsky, 1986). ამრიგად, კონცეპტში აკუმულირებულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა იცის ინდივიდმა, რას ფიქრობს და რა წარმოდგენა აქვს სამყაროში არსებულ ობიექტებსა და მოვლენებზე. ცნება „კონცეპტი“ კორელირებს ადამიანის გამოცდილებისა და ცოდნის, ადამიანის საქმიანობისა და სამყაროს შემეცნების პროცესების შინაარსებთან.

სპეციალურ ლიტერატურაში კონცეპტთა ტიპების აღწერა ფოკუსირებულია ენობრივ სემანტიკაზე. აქ კონცეპტი გააზრებულია როგორც აზროვნების განსაკუთრებული სტრუქტურა, როგორც კოლექტიური ცნობიერების დისკრეტული ერთეული, რომელიც ასახავს ენის მატარებელთა მეხსიერებაში ფიქსირებული რეალური და იდეალური სამყაროს საგნებსა და მოვლენებს (გრანტი; დეგენბახი, 2000 / Grant; Dagenbach, 2000).

კონცეპტი ვერბალიზდება, აღინიშნება სიტყვით, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არსებობა შეუძლებელია.

სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირდება თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, კონცეპტი კონცეპტუალური აზროვნების ძირითადი ფორმაა (ვერბიკა, 1985 / Wierzbicka, 1985).

ლინგვისტური მიმართულების ფარგლებში კონცეპტი ინტერპრეტირებულია როგორც გლობალური სააზროვნო ერთეული, სტრუქტურირებული ცოდნის კვანტი.

სიტყვა წარმოადგენს ენაში კონცეპტის მხოლოდ ნაწილს, მაგრამ სწორედ ენაა მისი შინაარსის გამოვლენის ყველაზე ხელმისაწვდომი გზა. კონცეპტი ენაში რეპრეზენტირებულია ლექსემებით, ფრაზებით, წინადადებებით, ასევე ტექსტებითა და ტექსტთა ერთობლიობით. კონცეპტის გამოხატვის ენობრივი და ტექსტური საშუალებების ანალიზის გზით, გვექმნება წარმოდგენა მშობლიური ენის მატარებელთა

ცნობიერებაში ფიქსირებული კონცეპტის შინაარსის შესახებ (ჯექსონი; ზე ამველა, 2000 / Jackson; Zé Amvela, 2000).

კონცეპტი ხასიათდება მრავალკომპონენტიანი და მრავალშრიანი სტრუქტურით. აღნიშნული სტრუქტურა შეიძლება გამოვლინდეს მისი რეპრეზენტაციის ენობრივი საშუალებების ანალიზით გზით. კონცეპტის სტრუქტურა შეიძლება აღიწეროს ენობრივი ველის ტერმინებით, ვგულისხმობთ, „ბირთვსა“ და „პერიფერიას“ (კიტაი; ლეჰრერი, 1981 / Kittay; Lehrer, 1981). კოგნიტურ-ლინგვისტური კვლევის შედეგად კონცეპტის აღწერა შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც ეროვნული კონცეპტუალური სფეროს ელემენტის აღწერა.

ლინგვისტური მიმართულების წარმომადგენელთა მეცნიერული რეფლექსიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს შემდეგი თვალსაზრისი: კონცეპტი არის ცნობიერების აქტის შინაარსის გამოხატველი ცნება.

შემეცნებითი კონცეპტი წარმოადგენს აზრობრივ წარმონაქმნს, რომელსაც აზროვნების პროცესში შეუძლია შეცვალოს იმავე რიგის ობიექტთა სიმრავლე (ფანგი; ჩერტკოუ; მართა და სხვ., 2001 / Fung; Chertkow; Murtha, et al., 2001).

მხატვრული კონცეპტი ხასიათდება ფსიქოლოგიური სირთულითა და სხვადასხვა ტიპის ასოციაციური კავშირებით. პოეტურ მეტყველებაში სიტყვები, როგორც პირდაპირი მნიშვნელობით, ისე სხვადასხვა გადატანითი მნიშვნელობით, ქმნიან ასოციაციურ მნიშვნელობათა მთელ ჯაჭვს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილია ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტების რიგი ძირითადი მახასიათებლები, (მასლოვა, 2001 / Маслова, 2001) კერძოდ:

1. კომპლექსურობა - კონცეპტი წარმოადგენს კულტურის ელემენტთა მენტალურ პროექციას. კონცეპტები შეიძლება ობიექტივირდეს არა მხოლოდ ენაში, არამედ მუსიკაში, ქანდაკებაში, ფერწერაში, თეატრსა და კინოში;
2. მენტალურობა - კონცეპტი მენტალური ერთეულია, რომელიც ფიქსირებულია ცნობიერებაში, რადგან სწორედ ცნობიერებაში ხდება ენისა და კულტურის ურთიერთქმედება, რის გამოც ნებისმიერი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა ამავე დროს კოგნიტური კვლევაცაა;

3. მთლიანობა - ლინგვოკულტურული კონცეპტი განსხვავდება სხვა ტიპის მენტალური ერთეულებისგან, როგორცაა კოგნიტური კონცეპტი, ცნება, ხატი, გემტალტი, ფრეიმი, სცენარი, სტერეოტიპი ღირებულების ელემენტის აქცენტირებით. კონცეპტის ცენტრი ყოველთვის არის ღირებულება, რადგან კონცეპტი ემსახურება კულტურის შესწავლას, ხოლო კულტურა ეფუძნება ღირებულებით პრინციპს;
4. პირობითობა და არამკაფიოობა - ლინგვოკულტურულ კონცეპტს არ აქვს მკაფიო საზღვრები და წარმოდგენილია როგორც პირობითი ერთეული იმ გაგებით, რომ ცნობიერება სინკრეტულია და მისი სემანტიკა ხორციელდება კვლევის მიზნების შესაბამისად. ყველაზე მნიშვნელოვანი ასოციაციური ვექტორები ქმნიან კონცეპტის ბირთვის, ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი კი - პერიფერიას. ენობრივი ერთეული, რომლის მეშვეობითაც აქტუალიზდება კონცეპტის ცენტრალური ნაწილი, წარმოადგენს კონცეპტის სახელს;
5. ცვალებადობა - დროთა განმავლობაში იცვლება კონცეპტის შეფასების ინტენსიურობა, იცვლება კონცეპტის ფიგურალური და კონცეპტუალური კომპონენტებიც. ეს განპირობებულია სოციოკულტურული და სოციოლინგვისტური გარემოს ცვლილებით;
6. შეზღუდულობა - ლინგვოკულტურული კონცეპტები არსებობენ როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ ცნობიერებაში;

გამოიყოფა კონცეპტთა რამდენიმე ტიპი: ზოგადსაკაცობრიო, ეთნოკულტურული, ჯგუფური (სოციოკულტურული), მიკროჯგუფური, ინდივიდუალური.

უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური კონცეპტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ჯგუფური და ზოგადსაკაცობრიო კონცეპტებისაგან. ინდივიდუალური კონცეპტები ბევრად უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე - კოლექტიური კონცეპტები, რადგან კოლექტიური ცნობიერება და კოლექტიური გამოცდილება არის კოლექტივში შემავალი ცალკეული ინდივიდების ცნობიერებისა და გამოცდილების პირობითი დერივატი. აღნიშნული დერივატი იქმნება პირად გამოცდილებაში უნიკალიების (განსხვავებების) რედუქციით და უნივერსალიების (დამთხვევების) შეჯამებით (ჰაუსი, 2011 / House, 2011).

7. მრავალკომპონენტურობა - ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი, როგორც წესი, შედგება სამი კომპონენტისაგან: ღირებულებითი, ხატობრივი და ცნებობრივი კომპონენტებისაგან;
8. პოლიაპელირებადობა - არსებობს ნებისმიერი ლინგვოკულტურული კონცეპტისადმი აპელირების მრავალი გზა;

კონცეპტი ენაში რეპრეზენტირებულია ლექსემებით, ფრაზეოლოგიზმებით, ფრაზებით, წინადადებებით, ტექსტებითა და ტექსტების ერთობლიობით. სხვადასხვა კომუნიკაციურ კონტექსტში, ერთსა და იმავე ენობრივი ერთეული შეიძლება მიემართებოდეს სხვადასხვა ლინგვოკულტურულ კონცეპტს.

9. მრავალგანზომილებიანობა - ლინგვოკულტურული კონცეპტი მრავალგანზომილებიანია. კოგნიტური მეცნიერების ტრადიციულ ერთეულებს (ფრეიმს, სცენარს, სკრიპტს, ცნებას, ხატს, არქექტისს, გეშტალტს, სტერეოტიპს), გააჩნია უფრო მკაფიო სტრუქტურა, ვიდრე - კონცეპტს. აღნიშნული ერთეულები შეიძლება გამოყენებულ იქნას კონცეპტის მოდელირებისთვის;
10. მეთოდური ღიაობა და პოლიკლასიფიცირებადობა - ლინგვოკულტუროლოგია ინტერდისციპლინარული ხასიათის სააზროვნო სივრცეა, ამიტომ მის ფარგლებში სრულიად რელევანტურია როგორც ლინგვისტური, ისე არალინგვისტური ხასიათის მქონე მეთოდების გამოყენება. ენისა და მეტყველების დაპირისპირება ლინგვოკულტუროლოგიის ფარგლებში არ არის აქტუალური.

ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტები შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა ნიშნით, მაგალითად, თემატიკის, კონცეპტთა მატარებელი ინდივიდებისა თუ ჯგუფებისა და დისკურსის ტიპების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ლინგვოკონცეპტოლოგები შედარებით ერთიანი არიან თავიანთი მეცნიერული ინტერესის ობიექტის არსის ინტერპრეტაციაში, განმარტების ფორმულირების საკითხში სულ უფრო და უფრო მეტი აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. (გოდარდი, 2004 / Goddard, 2004).

განმსაზღვრელი მარკერის გაურკვეველობა იწვევს ლინგვოკონცეპტის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. ლინგვოკონცეპტის განმარტებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც ვიწრო, ისე ფართო მნიშვნელობით:

ვიწრო შინაარსობრივი მნიშვნელობით, ლინგვოკონცეპტები არის „ცხოვრების ფილოსოფიის ცნებები“, „მსოფლმხედველობრივი ტერმინების ანალოგები“, რომლებიც ფიქსირებულია ბუნებრივი ენების ლექსიკაში;

ვიწრო ფორმალური მნიშვნელობით, ლინგვოკონცეპტები არის სიტყვების „უკან მდგარი“ სემანტიკური წარმონაქმნები, რომელთაც სხვა ენებზე თარგმნისას არ ეძებნებათ ერთსიტყვიანი ეკვივალენტები;

ფართო შინაარსობრივი მნიშვნელობით, ლინგვოკონცეპტები შეიძლება წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი ვერბალიზებული კულტურული მნიშვნელობის სახით, რომელიც აღბეჭდილია ეთნიკური სპეციფიკით;

ფართო ფორმალური მნიშვნელობით, ლინგვოკონცეპტები შეიძლება წარმოდგენილ იქნას კულტურული მნიშვნელობების სახით, რომელთაც გააჩნიათ სპეციფიკური მახასიათებელი, რომელიც საფუძვლად უდევს ნომინაციას და რომლის განმასხვავებელი ნიშნებია სერიულობა და მასობრიობა.

ლინგვოკონცეპტები შეიძლება მივაკუთვნოთ მენტალიტეტის იმ ერთეულთა რიგს, რომელთა მეშვეობითაც აღიწერება ეროვნული (ეთნიკური) ხასიათი. თუ მენტალიტეტი არის სამყაროს ხედვის საშუალება ზოგადად, მაშინ მენტალიტეტი არის ერის სპეციფიკური, შემეცნებითი, ემოციური და ქცევითი სტერეოტიპების ერთობლიობა. (ანდერჰილი, 2012 / Underhill, 2012).

სხვადასხვა თვალსაზრისთა შეჯამების შედეგად შეიძლება გამოიყოს კონცეპტის შემდეგი თვისებები: მენტალური ბუნება; კოგნიტურ სტრუქტურებთან კორელაცია; სახელის ქონა; ჩამნაცვლებლის ფუნქცია; პოტენციურობა; სხვადასხვა ტიპის ენობრივი ერთეულებით რეპრეზენტაცია; მანიფესტაცია ცნების, სიმბოლოსა და ხატის სახით; კულტურული და ისტორიული დეტერმინიზმი; ღირებულებითი ხასიათი; ვერბალური და არავერბალური ფორმები.

ამრიგად, კონცეპტი არ არსებობს ადამიანის გონებაში გარკვეული ცნებების სახით; კონცეპტი წარმოიქმნება გამოცდილების, ასოციაციების, ხატებისა და ცოდნის სინთეზის გზით. კონცეპტები არის ცხოვრებისეული გამოცდილების, ტრადიციების, შეგრძნებების, სხვადასხვა კულტურული ფაქტორების - რელიგიის, ფოლკლორის, იდეოლოგიის, ფსიქოლოგიის, ხელოვნების - სინთეზის შედეგი. სწორედ აღნიშნული სინთეზი ქმნის

ერთგვარ კულტურულ ფენას, რომელიც შუამავლობს ადამიანსა და სამყაროს შორის.
(ბარსლოუ, 1993; სოუვა, 1984 / Barsalou, 1992; Sowa, 1984).

ამრიგად, სპეციალური ლიტერატურის ანალიზის შედეგების შეჯამებით, ჩვენ
გამოვყოფთ კონცეპტის ძირითად მახასიათებლებს: (დუნი; დიუკსი, გინსბერგი და სხვ.,
1986; კულსონი, 2001 / Dunn; Dukes; Ginsberg, et al., 1986; Coulson, 2001).

1. კონცეპტი წარმოადგენს მენტალურ ერთეულს ან აზრობრივ წარმონაქმნს, რომელშიც აკუმულირებულია საზოგადოების ან სოციალური ჯგუფის ცოდნა სამყაროს ფრაგმენტის შესახებ;
2. კონცეპტი მენტალიტეტის ერთეულია;
3. კონცეპტს არ გააჩნია სავალდებულო კავშირი სიტყვასთან ან ვერბალიზაციის სხვა ენობრივ საშუალებებთან; ცნება შეიძლება იყოს ვერბალიზებული ან არ იყოს ვერბალიზებული ენობრივი საშუალებებით;
4. მეტყველებაში ვერბალიზდება კონცეპტის კომუნიკაციურად რელევანტური ნაწილი;
5. კონცეპტის ენობრივ ერთეულთა სემანტიკის კვლევა, რომელთა მეშვეობითაც ვერბალიზდება კონცეპტი, წარმოადგენს კონცეპტის ვერბალიზებული ნაწილის წვდომის გზას;
6. კონკრეტული ლინგვოკულტურულ გარემოში მცხოვრების სოციუმისათვის კონცეპტი კონცეპტუალური სფეროს ან სამყაროს ხატის ნაწილია;
7. კონცეპტს გააჩნია სტრუქტურა, რომელიც არ არის სტატიკური და რომელიც წარმოადგენს კონცეპტის არსებობისა და კონცეპტის კონცეპტუალურ სფეროში ინტეგრირების გარკვეულ პირობას;
8. კონცეპტი წარმოადგენს აზრთა კონას, რომელიც ხასიათდება მრავალგანზომილებიანობით;
9. კონცეპტი შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნას გააზრებული ერთი სოციუმის საზღვრებშიც კი;
10. კონცეპტები შეიძლება მივაკუთვნოთ შემფასებლური ტიპის მოვლენებს, რომელებიც მოიცავენ ქცევით, ემოციურ, ხატობრივ და ლოგიკურ მხარეებს;
11. კონცეპტები ორგანიზებულია ველის პრინციპით და მოიცავენ განცდით და ინფორმაციულ პლასტებს, ასევე ინტერპრეტაციულ ველს;

12. კონცეპტის სტრუქტურა ჩამოყალიბებულია კოგნიტური კლასიფიკატორებისა და კოგნიტური ნიშნების მეშვეობით, რომლებიც კონცეპტის სტრუქტურაში განსხვავდებიან მათი მატარებლების ცნობიერებაში ექსპრესიულობის ხარისხით და რომლებიც კონცეპტის სტრუქტურაში ლაგდებიან ველის პრინციპით;
13. კონცეპტი კულტურულად ნიშნადი ერთეულია, რომელსაც გააჩნია ენობრივი ველისათვის დამახასიათებელი არაერთგვაროვანი სტრუქტურა „ბირთვითა“ და „პერიფერიით“;
14. კონცეპტის ინფორმაციული შინაარსი მოიცავს რამდენიმე ფენას ან სექტორს, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება წარმოდგენილ იქნას ცალკეული ლექსებით ან ცალკეულ ლექსებათა ცალკეული მნიშვნელობებით;
15. კონცეპტები აღბეჭდილია იმ სოციოკულტურული სისტემებით, რომლებშიც ისინი ჩამოყალიბდნენ;
16. კონცეპტები ხასიათდება ნაციონალური, სოციალური, ჯგუფური და ინდივიდუალური სპეციფიკით;
17. კონცეპტების შინაარსი და სტრუქტურა ეროვნულად დეტერმინირებულია.

ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელობების ერთობლიობა ქმნის ენის სემანტიკურ სივრცეს. ენის სემანტიკური სივრცის ანალიზის შედეგების კოგნიტური ინტერპრეტაცია შესაძლებელს ხდის საზოგადოების კონცეპტუალური სფეროს მოდელირებას. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი ლინგვისტური კვლევის მნიშვნელოვანი ეტაპია კვლევის კომპლექსური მეთოდოლოგიის გამოყენება, რომელიც იძლევა კონცეპტის ენობრივი ობიექტივიზაციის საშუალებათა სიღრმისეული ანალიზის განხორციელების საშუალებას. (დი შულო; უილიამსი, 1987 / Di Sciullo; Williams, 1987).

ვინაიდან კონცეპტის სტრუქტურისა და მისი ლოკაციის სფეროს შესწავლა უფრო მოსახერხებელია კონცეპტუალური ანალიზის მეშვეობით, ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონცეპტუალური კვლევის სხვადასხვა მეთოდების განხილვა.

2.3. კონცეპტუალური კვლევის მეთოდოლოგია

კონცეპტუალური კვლევის მიზანს წარმოადგენს:

1. სხვადასხვა ენისათვის ტიპური სამყაროს ხატის ფრაგმენტების მახასიათებლების შესწავლა და შედარება;
2. იმ ენობრივ საშუალებათა მაქსიმალურად სრული შემადგენლობის განსაზღვრა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საკვლევი კონცეპტის ობიექტივაცია;
3. საკვლევი კონცეპტის მათემატიკურ ენობრივ საშუალებათა სემანტიკის სრული აღწერა;
4. საკვლევი კონცეპტის, როგორც ეროვნული სპეციფიკით აღბეჭდილი გლობალური მენტალური ერთეულის, შინაარსის მოდელირება.

ენა კულტურის განუყოფელი ნაწილია, ასევე კულტურულად ნიშნადი ინფორმაციის მოპოვების, გადაცემისა და შენახვის საშუალება. ენას გააჩნია უნარი, დააგროვოს და გადმოსცეს ის, რაც საუკუნეების მანძილზე დაფიქსირდა მყარი სიტყვათშეთანხმებების, კოგნიტური მოდელების სახით. სწორედ ამიტომ კონცეპტუალური ანალიზი უზრუნველყოფს სამყაროს შესახებ არქაული ცოდნის იდენტიფიკაციას. სამყაროს ხატის ფრაგმენტების ანალიზი ეფუძნება იმ ენობრივი ერთეულების შერჩევას, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტთა რეპრეზენტაცია - ენობრივი ერთეულების მასალაზე განიხილება კონცეპტთა ფუნქციონალურ ასპექტში რეპრეზენტაციის გზები. (გოდარდი, 2004 / Goddard, 2004).

გამომდინარე იქიდან, რომ სამყაროს ენობრივი ხატი, რომელიც შემოსაზღვრულია ეროვნული კულტურის ჩარჩოებით, ასახავს ხალხის მსოფლმხედველობასა და მსოფლგანცდას, ადამიანის შინაგანი სამყაროს კონცეპტების შესწავლის მეთოდოლოგია შედგება ისეთი პრინციპებისგან, როგორცაა (ლონგი, 1989 / Long, 1989):

1. იმ კონსტრუქციათა მნიშვნელობების ინტერპრეტაცია, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება აღნიშნული ტიპის კონცეპტების ამა თუ იმ მახასიათებელთა ობიექტივაცია;
2. მრავალი კონცეპტისათვის დამახასიათებელი სიხშირის ტაქსონომიური მახასიათებლების იდენტიფიცირება;

3. კონცეპტების საერთო ტიპოლოგიური ნიშნების განსაზღვრა ტაქსონომიური მახასიათებლების მიხედვით;
4. კონცეპტთა თავისებურებების განზოგადება;
5. ენაში საკვლევი კონცეპტების კონცეპტუალური სტრუქტურების, კოგნიტური მოდელების და ენობრივი აქტუალიზაციის სქემების გამოყოფა.

კონცეპტუალური სტრუქტურის შესწავლა შესაძლებელს ხდის საგნის ან ფენომენის უფრო ღრმა და არსებითი ნიშნების გამოვლენას. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენენ შესწავლილი ფენომენების განზოგადებულ მახასიათებლებს, რომელთა იდენტიფიკაცია მქსიმალურად რელევანტურია კონცეპტუალური სტრუქტურის სპეციფიკის განსაზღვრისათვის.

მოიცავს რა ნიშანთა კომპლექსს, კონცეპტს გააჩნია არაერთგვაროვანი სტრუქტურა. ამ თვალსაზრისით, მაქსიმალურად ინფორმატიულია ლექსიკური დონე. სწორედ აღნიშნულ დონეზე კონცენტრაციით შესაძლებელი ხდება ინ ნიშნების გამოვლენა, რომელთა მეშვეობითაც ფორმირდება კონცეპტის სტრუქტურა (ლაკოფი, 1988 / Lakoff, 1988).

ნიშანთა აღნიშნული ჯგუფები, როგორც წესი, გაერთიანებულია გვარობრივი ან სახეობრივი მახასიათებლებით. აღნიშნული ჯგუფები ყალიბდება კონცეპტუალიზაციის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების გზით.

იკვეთება კონცეპტუალური ანალიზის რამდენიმე ეტაპი (გოფმანი, 1974; გოდარდი და ვეჟბიკა, 2014; ჰემპტონი; როში, 1977 / Goffman, 1974; Goddard & Wierzbicka, 2014; Hampton; Rosch, 1977):

1. პირველი ეტაპი - ლექსიკური მნიშვნელობისა და სიტყვის შიდა ფორმის ანალიზი, რითაც ხორციელდება კონცეპტის რეპრეზენტაცია;
2. მეორე ეტაპი - ლექსემის სინონიმური რიგის - კონცეპტის რეპრეზენტატთა გამოვლენა;
3. მესამე ეტაპი - კონცეპტის კატეგორტიზაციის ხერხების აღწერა ენობრივი სამყაროს ხატში;

4. მეოთხე ეტაპი - კონცეპტუალიზაციის, როგორც ლექსემის გადააზრების, ხერხების განსაზღვრა - კონცეპტუალური მეტაფორების კვლევა;
5. მეხუთე ეტაპი - დროსა და სივრცეში განვითარებული მოვლენის - სცენარის ანალიზი.

ნებისმიერი ლინგვისტური კვლევის აღწერისას უმნიშვნელოვანესია მასში გამოყენებული მეთოდის ეფექტურობის დასაბუთება. მეთოდის ეფექტურობას კი განსაზღვრავს ის, თუ რამდენად აკმაყოფილებს კვლევის მეთოდი კვლევაში დასახულ მიზნებს. (დურანტი, 2013 / Duranti, 2013).

ბოლო დროს ლინგვისტიკაში პრიორიტეტული გახდა უფრო მკაცრი, ობიექტური მეთოდების გამოყენება. ამ ტენდენციამ ხელი შეუწყო კარგად დამკვიდრებული პროცედურების შემუშავებას, როგორცაა ვალენტური, კონტექსტუალური, დისტრიბუციული და კომპონენტური ანალიზი. საყოველთაოდ აღიარებულ და სისტემატურად გამოყენებულ მეთოდებთან ერთად, ფართოდ გამოიყენება ექსპერიმენტული მეთოდები. მნიშვნელოვანია, რომ ბევრი მეცნიერი არ აღიარებს კონტექსტუალურ, ვალენტურ და დისტრიბუციულ ანალიზებს, როგორც მეთოდებს, რომლებიც იძლევიან ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობების ამომწურავი დესკრიფციის საშუალებას. (ფალმანი, 1979 / Fahlman, 1979).

კომპონენტური ანალიზი, ვალენტური, დისტრიბუციული და კონტექსტუალური ანალიზისგან განსხვავებით, ეფუძნება ენის ზოგად სისტემაში ერთეულის პარადიგმატულ კავშირებს. კომპონენტური ანალიზისაგან განსხვავებით, ვალენტური, დისტრიბუციული და კონტექსტუალური ანალიზი ეფუძნება სინტაგმატურ კავშირებს. (დაემსი; ზენერი; ჰეილენი, 2015 / Daems; Zenner; Heylen, 2015).

ლინგვისტიკაში კომპონენტური ანალიზი თავდაპირველად ფართოდ გამოიყენებოდა ფონოლოგიაში, მაგრამ მოგვიანებით მისი გამოყენება დაიწყო სემანტიკასა და სინტაქსშიც. კომპონენტური ანალიზი ემყარება იმ იდეას, რომ ნებისმიერი სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა წარმოადგენს სემანტიკური კომპონენტების იერარქიას, რომელიც ორგანიზებულია გარკვეული გზით (გოდარდი, 2004 / Goddard, 2004).

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მეთოდების ფარგლებში გამოიკვეთა ლექსემათა ჯგუფები, რომლებიც პრაქტიკულად არ იშლება დიფერენციალურ ნიშნებად.

სპეციალურ ლიტერატურაში კომპონენტური ანალიზი გააზრებულია როგორც მნიშვნელობის მის შემადგენელ ნაწილებად დანაწევრების პროცედურა. მნიშვნელობის შემადგენელ ნაწილთა გამოყოფა განპირობებულია როგორც კონკრეტულ მნიშვნელობაში შემავალ ელემენტთა შორის მიმართებების, ისე ამ მნიშვნელობასა და სხვა ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობებს შორის მიმართებების არსებობით. (კულსონი, 2001 / Coulson, 2001).

კომპონენტური ანალიზი ავლენს ელემენტთა ინტეგრალურ კავშირებს, რაც უზურნველყოფს დესკრიფციის სისტემის ეკონომიურობას.

ლინგვისტური კვლევის მიზნებისთვის კომპონენტური ანალიზის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული კამათი. ბევრი ლინგვისტი თვლის, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას დომინანტურ როლს ასრულებს აღწერის ეკონომიურობის პრინციპი. მენციერები აღნიშნავენ, რომ აღწერისას აქტუალურია არა ეკონომიურობა, არამედ აღწერის ადეკვატურობა.

კომპონენტური ანალიზის გამოყენებისას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ენობრივი ერთეულების დეტალური, ამომწურავი, ზუსტი და კონკრეტული დესკრიფციის მიღება. სწორედ ამ ტიპის დესკრიფციას გააჩნია ენის სისტემის აღწერისათვის აუცილებელი და საკმარისი ძალა.

იმავდროულად, იკვეთება თავლსაზრისი, რომლის თანახმადაც, კომპონენტური ანალიზი არ გულისხმობს აუცილებლობით მნიშვნელობის სეგმენტაციას ელემენტარულ ნიშნებად. ნიშანი შეიძლება იყოს რთული, აბსტრაქტული და იმდენად რთულად ფორმულირებული, რომ მისი გამოყენებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალური ადაპტაცია (დაემსი; ზენერი; ჰეილენი, 2015 / Daems; Zenner; Heylen, 2015).

სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირდება თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, კომპონენტური ანალიზი:

1. არ არის საკმარისი ინსტრუმენტი ლინგვისტური კვლევის პროცესში ადეკვატური შედეგების მისაღებად;
2. წარმოადგენს საწყის მინიშნებას ენობრივი ერთეულების მნიშვნელობის სტრუქტურის შესახებ;

3. შეიძლება ჩაითვალოს კვლევის გარკვეულ ტექნიკად, რომელიც მიაწვდის გარკვეულ გზაზე, რომლითაც უნდა მოხდეს ამ მნიშვნელობის წარმოჩენა;
4. სასურველია მისი გამოყენება სხვა ლინგვისტურ მეთოდებთან ერთად.

ამრიგად, ნებისმიერი ლინგვისტური კვლევის აღწერაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მასში გამოყენებული მეთოდის ვალიდურობის დასაბუთება. სხვადასხვა ლინგვისტური მეთოდის განხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლინგვისტური კვლევის მეთოდის შერჩევა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სემანტიკური ინსტრუმენტის - აღწერის მეტაენის - შერჩევას, რაც წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას ზოგადად მთელი სემანტიკისთვის.

2.4. ლინგვოკულტურული კონცეპტოლოგია

ლინგვოკონცეპტოლოგია წარმოადგენს კლასიკური, სტრუქტურული და ფუნქციონალური სემანტიკის გაგრძელებასა და განვითარებას. იგი გამდიდრებულია კულტურის კვლევების, კოგნიტური მეცნიერების, სოციოლოგიის, ისტორიისა და სხვა დისციპლინების მონაცემებით. უფრო მეტიც, ზოგადად, ლინგვოკონცეპტოლოგია წარმოადგენს სემანტიკის სპეციფიკურ სახეობას, რომელიც მიზნად ისახავს, უპირველეს ყოვლისა, მენტალური ლექსიკონის ეროვნული კულტურულით დეტერმინირებული ელემენტების - კონცეპტების - შესწავლას.

სტრუქტურული სემანტიკიდან ლინგვოკონცეპტოლოგიას გადაეცა კვლევის ძირითადი მეთოდები - კომპონენტური (სემური) ანალიზი და ველის თეორია: კომპონენტური ანალიზის შედეგად მიღებული კონცეპტის სემანტიკური ნიშნები, მათი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, განლაგებულია სემანტიკური სივრცის სხვადასხვა სეგმენტში - ბირთვში და პერიფერიაში (ლექრერი და კიტაი, 1981 / Lehrer & Kittay, 1981).

თუმცა, სემანტიკისგან განსხვავებით, რომლის საკვლევი ობიექტიც წარმოადგენილია მნიშვნელობით - კონკრეტული ენობრივი ერთეულების შინაარსობრივი პლანით - ლინგვოკონცეპტოლოგიის საკვლევი ობიექტი (კონცეპტი) გაცილებით ფართოა: მას აქვს „გამჭოლი“ ხასიათი და მოიცავს ტექსტური და დისკურსული წარმონაქმნების

(პარემიების, აფორიზმების, ლიტერატურული ნაწარმოებების და სხვ.) სემანტიკას. ტექსტურ და დისკურსულ წარმონაქმნებში იკვეთება საკვლევი მენტალური ერთეულების სემანტიკური ნიშნები.

ლინგვოკონცეპტოლოგიური კვლევები ძირითადად მიმართულია იმ კონკრეტული მენტალური ერთეულების შესწავლაზე, რომლებიც აღბეჭდილია კულტურული სპეციფიკით და რომლებსაც გააჩნია გამოხატულება ენაში.

ენასა და აზროვნებას, ენასა და კულტურას შორის კავშირის ზოგადი თეორიული პრობლემები არ იკვეთება ლინგვოკონცეპტოლოგიური დისკუსიის ცენტრში. იდეოლოგიურად ლინგვოკონცეპტოლოგია კმაყოფილდება საპირ-უორფის ენობრივი ფარდობითობის ჰიპოთეზის „სუსტი“ ვერსიით: ენა და კულტურა ურთიერთდაკავშირებულია (გამპერსი და ლევინსონი, 1996 / Gumperz & Levinson, 1996).

უშუალო წინამორბედებს შორის, რომლებმაც გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ლინგვოკულტურული კონცეპტოლოგიის განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ა. ვეჟბიკა, რომელმაც ჩამოაყალიბა ლინგვოკულტურული კონცეპტოლოგიის პირველი განმარტება და გააანალიზა „კულტურულ-სპეციფიკური“ კონცეპტების არსი (ვეჟბიკა, 2009 / Wierzbicka, 2009).

ლინგვისტური სკოლებისა და ტენდენციების ფონზე, რომლებიც ითვალისწინებენ და იკვლევენ ენის მიმართებას კულტურასთან თემატური ველებისა და სიტყვების სემანტიკური კლასების შესწავლის, ენობრივი ფაქტებისა და ფენომენების სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე დამოკიდებულების დადგენის გზით, ლინგვოკულტურული კონცეპტოლოგია გამოირჩევა კვლევის საგნისადმი ყოვლისმომცველი და სისტემატიზებული მიდგომით და, შესაძლოა, პირველ რიგში, კვლევის მეთოდების შემუშავებით.

ლინგვოკულტურულ კონცეპტოლოგიაში კულტურულად მარკირებულ მენტალურ ერთეულებსა და მათი ვერბალიზაციის საშუალებებს შორის არსებული კავშირი შეისწავლება ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებულ (ცნებობრივ, ხატობრივ და შემფასებლურ) კომპონენტთა ერთიანობაში. აღნიშნულ კომპონენტთა რეპერტუარში დომინირებს ხატობრივი კომპონენტი, რომლის მნიშვნელოვნებაც პირველად აღნიშნა ვ. ფონ ჰუმბოლდტმა („... ცნებათა დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით, არამატერიალური

ხასიათის მქონე ცნებები ... შეიძლება გამოიხატოს უჩვეულო და, ამდენად, უცნობი მეტაფორებით...“ (ჰუმბოლტი, 2000 / Гумбольдт, 2000).

ლინგვოკონცეპტოლოგია, როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ნაწილი, რა თქმა უნდა, არ გაჩენილა მოულოდნელად და არსაიდან: მის წინამორბედებს შორის, სახელდება ი.ჰერდერი და ვ.ჰუმბოლდტი, რომლებიც ცდილობდნენ გაეაზრებინათ ენის როლი აზროვნებაში. წინამორბედთა შორის არიან „ენობრივი ფარდობითობის ჰიპოთეზის“ ავტორები და ლინგვისტიკაში ანტროპოცენტრიზმის ედეოლოგები ე. სეპირი და ბ. უორფი, რომლებმაც ენა და კულტურა დაუკავშირეს მათ მატარებელ ადამიანებს.

ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზის ორი ცნობილი ვერსიიდან („ძლიერი“ - ენა სრულად განსაზღვრავს აზროვნების შაბლონებს და კულტურულ კოდებს და „სუსტი“ - ენა მხოლოდ ნაწილობრივ განსაზღვრავს აზროვნების შაბლონებსა და კულტურულ კოდებს), ლინგვოკონცეპტოლოგია ირჩევს „მესამე“ ვერსიას: ენა, აზროვნება და კულტურა ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ ეს კავშირი ფაკულტატურია და არალინგვალური - ეს კი ნიშნავს, რომ აღნიშნული კავშირი რეალიზდება არა ყოველთვის და არა ყველგან. ბ. უორფის თვალსაზრისით, „არსებობს კავშირები კულტურულ ნორმებსა და ენობრივ მოდელებს შორის, მაგრამ არა კორელაციები ან პირდაპირი შესაბამისობები“ (გამპერსი და ლევენსონი, 1996 / Gumperz & Levinson, 1996).

აზროვნება, როგორც ადამიანთა კოგნიტურ სისტემაში ინფორმაციის პროცესირებაზე ორიენტირებული პროცესი, ენობრივი ფარდობითობის ჰიპოთეზის ავტორებსა და მათ მიმდევრებს მიაჩნიათ განუყოფელ, ჰომომორფულ პროცესად, მაშინ, როდესაც არსებობს აზროვნების სხვადასხვა ტიპი: საგნობრივი, ხატობრივი და ლოგიკურ-ვერბალური.

საგნობრივ აზროვნებაზე ენის გავლენა აშკარაა: ჩვენ ვასრულებთ სხვადასხვა ქმედებას ყოველგვარი ვერბალური ნიშნების გარეშე; ხატობრივი აზროვნება ოპერირებს საკუთარი ენით - ხატების ენით, მაგრამ ლოგიკურ-ვერბალური აზროვნება (ახალი ცოდნის გენერირების მიზნით განვითარებული მსჯელობისა და დასკვნების ჩამოყალიბების ოპერაციები) შეუძლებელია ენის გარეშე. აქ იგულისხმება ცნებათა ფორმირება, რომელთა მეშვეობითაც იქმნება სამყაროს ხატის საკლასიფიკაციო ბადე.

ცნება, როგორც საგნის არსებითი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც სიტყვით არის „შემოსილი“, ქმნის ლექსიკური მნიშვნელობის სემანტიკურ საფუძველს, მის აზრობრივ

კავშირებს. შემდეგ მას ემატება სხვადასხვა ტიპის არაარსებითი ნიშნები და კონოტაციები, რომლებიც შეიძლება იყოს დამახასიათებელი რომელიმე ეთნიკური ენისათვის.

ლინგვოკონცეპტოლოგია მოიცავს არა მხოლოდ ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეპტოლოგიას, არამედ კოგნიტურ ლინგვოკონცეპტოლოგიასაც, რომელიც მიმართულებად ჩამოყალიბდა კოგნიტური ლინგვისტიკის წიაღში და რომელიც იკვლევს ენას როგორც ზოგად კოგნიტურ მექანიზმს.

ლინგვისტური კონცეპტოლოგია, რომლის ამოცანაცაა კონცეპტის ვერბალიზაციის საშუალებათა იდენტიფიცირება და კონცეპტის შინაარსის მოდელირება, საბოლოოდ მეთოდოლოგიურად აღმოჩნდა „ჩაშენებული“ ლინგვოკულტუროლოგიაში. ეს ინტეგრაცია განხორციელდა ლინგვოკულტურული კონცეპტის ცნებობრივი შემადგენლის კვლევის ეტაპზე. ეს მოხდა იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი აღიწერება სქემების, ფრეიმებისა და სცენარების მეშვეობით.

ლინგვოკულტურულ კონცეპტოლოგიაში ენობრივი პიროვნება გააზრებულია როგორც მშობლიური ენის მატარებლის ძირითადი ეროვნულ-კულტურული პროტოტიპი, რომელიც ფიქსირდება ძირითადად ლექსიკურ სისტემაში (გერარტსი, 1988 / Geeraerts, 1988).

აღნიშნულ პროტოტიპში ვლინდება ენობრივი პიროვნების მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულებები, ღირებულებითი პრიორიტეტები და ქცევითი რეაქციები. ენობრივი პიროვნება ეთნოსემანტიკური პიროვნებაა, რომელიც წარმოადგენს ენობრივი სამყაროს ხატისა და ეროვნული კონცეპტუალური სფეროს სუბიექტს.

ნებისმიერ პიროვნებას გააჩნია საკუთარი შეხედულებები სამყაროსა და მასში საკუთარი ადგილის შესახებ; ნებისმიერ პიროვნებას აქვს საკუთარი ხასიათი და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ქცევის სტერეოტიპები; ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აისახება პიროვნების ენაზე.

ტერმინი „ენობრივი მენტალიტეტი“ გააზრებულია როგორც ენობრივი პიროვნების, როგორც მშობლიური ენის მატარებელთა საშუალო წარმომადგენლის ეროვნული მსოფლმხედველობის, ფსიქოლოგიური და ქცევითი დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც ფიქსირდება სემანტიკურ სისტემაში.

ეროვნული მენტალიტეტი, ეროვნული მენტალობა და ეროვნული ხასიათი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ხშირად ისინი არც კი არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევებში.

ლექსიკური საფუძვლის გამო, კონცეპტუალიზაციის ცნება ინტეგრირებულია ლინგვოკონცეპტოლოგიის ტერმინოსისტემაში. აქ კონცეპტუალიზაცია გააზრებულია როგორც კონცეპტის „შექმნის“ პროცესი და ამ პროცესის შედეგი - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის სტრუქტურირება. შესაბამისად, ამ ცნების ტერმინოლოგიური მოცულობა დამოკიდებულია კონცეპტის, როგორც ლინგვოკულტურული ერთეულის გააზრების სპეციფიკაზე: ენობრივი კონცეპტუალიზაცია გულისხმობს გარკვეული ცნების სემანტიკის გამდიდრებას ნიშნებით, რომლებიც ნასესხებია სემანტიკიდან და რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ამ ცნების ლექსიკალიზაცია.

ლინგვოკულტურული კონცეპტის არსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მაინც იკვეთება ლინგვისტთა გარკვეული კონსენსუსი კონცეპტის ძირითადი მახასიათებელთა თაობაზე. ამრიგად, ლინგვოკულტურული კონცეპტის ძირითადი მახასიათებლებია: სემანტიკურად ჰეტეროგენული კომპონენტების არსებობით განპირობებული მრავალგანზომილებიანობა; ნიშანთა შორის სისტემური დამოკიდებულებით განპირობებული იერარქიულობა; ეთნოსპეციფიკურობა.

ლინგვოკულტურული კონცეპტის დამატებითი მახასიათებლებია: ვერბალიზაციის საშუალებათა მრავალფეროვნებით განპირობებული ნომინაციური სიმკვრივე; დისკურსული (სოციოკულტურული, გენდერული და აქსიოლოგიური) ვარიაციულობა; დისკურსზე ცენტრირებულობა - დისკურსის საწყისი მაორგანიზებლის ფუნქციის შესრულების უნარი.

კონცეპტის ლინგვოკულტუროლოგიური გაგება შემოიფარგლება, ერთი მხრივ, ცნებით, როგორც ობიექტის არსებითი ნიშნების ერთობლიობის ლოგიკური კატეგორიით, ხოლო მეორე მხრივ კი, მნიშვნელობით, როგორც ენის კონკრეტულ ერთეულზე „მიმაგრებული“ სემანტიკური ნიშნების ერთობლიობით.

დასკვნის სახით:

XX საუკუნის მეორე ნახევრის ლინგვისტური აზროვნება ხასიათდება ცვლილებით, რომელიც უკავშირდება ენის არსის გააზრებას. აღნიშნული ცვლილება კი შემდეგ ფაქტს

გულისხმობს: უნივერსალური ლოგიკური და სპეციფიკური ლინგვისტური კატეგორიების სტრუქტურას შორის შესაბამისობის დადგენაზე ორიენტირებული ლინგვისტიკის ვექტორი გადაიხარა ენისა და ენობრივი პიროვნების ურთიერთქმედების პრობლემათა კვლევისაკენ. ეს კი ნიშნავდა კვლევის ანთროპოცენტრისტულ პარადიგმაზე გადასვლას.

სწორედ ანთროპოცენტრისტული პარადიგმა წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის საფუძველს.

ლინგვოკულტუროლოგიის, როგორც სააზროვნო სივრცის, ინტერდისციპლინარული ბუნება განაპირობებს მის ფარგლებში განხორციელებულ კვლევებში გამოყენებული მეთოდების რეპერტუარის სპეციფიკას: ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევებში გამოიყენება როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტური მეთოდები.

კონცეპტუალური კვლევა გულისხმობს:

1. ინგლისური ენისათვის ტიპური სამყაროს ხატის ფრაგმენტის მახასიათებლების შესწავლას;
2. საკვლევი კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა მაქსიმალურად სრული შემადგენლობის განსაზღვრას;
3. საკვლევი კონცეპტის მარტივიტირებელ ენობრივ საშუალებათა სემანტიკის აღწერას;
4. საკვლევი კონცეპტის, როგორც ეროვნული სპეციფიკით აღბეჭდილი მენტალური ერთეულის შინაარსის მოდელირებას.

რამდენადაც სამყაროს ენობრივი ხატი, რომელიც კულტურითაა დეტერმინირებული, ასახავს ენის მატარებელი ხალხის მსოფლმხედველობასა და მსოფლგანცდას, კონცეპტის შესწავლის მეთოდოლოგია მოიცავს:

1. იმ კონსტრუქციათა მნიშვნელობების ინტერპრეტაციას, რომლებიც უზრუნველყოფენ კონცეპტის ამა თუ იმ მახასიათებელთა რეპრეზენტაციას;
2. კონცეპტისათვის დამახასიათებელი სიხშირის ტაქსონომიური მახასიათებლების განსაზღვრას;
3. კონცეპტის ტიპოლოგიური ნიშნების გამოვლენას ტაქსონომიური მახასიათებლების მიხედვით;

4. კონცეპტის თავისებურებების განზოგადებას;

კონცეპტის კონცეპტუალური სტრუქტურების, კოგნიტური მოდელებისა და ენობრივი აქტუალიზაციის სქემების იდენტიფიცირებას.

კონცეპტუალური ანალიზი ხორციელდება რამდენიმე ეტაპად:

1. პირველ ეტაპზე ხორციელდება ლექსიკური მნიშვნელობისა და სიტყვის შიდა ფორმის ანალიზი;
2. მეორე ეტაპი გულისხმობს ლექსემის სინონიმური რიგის კონსტრუირებას;
3. მესამე ეტაპზე ხდება კონცეპტის კატეგორტიზაციის ხერხების დესკრიფცია;
4. მეოთხე ეტაპი ეძღვნება კონცეპტუალიზაციის, როგორც ლექსემის გადააზრების, ხერხების განსაზღვრას, კერძოდ კი, კონცეპტუალური მეტაფორების კვლევას.

კონცეპტუალიზაცია წარმოადგენს კონცეპტის „შექმნის“ პროცესს და ამ პროცესის შედეგს, კერძოდ კი, სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის სტრუქტურირებას. კონცეპტუალიზაცია გულისხმობს ცნების სემანტიკის გამდიდრებას სემანტიკიდან ნასესხები ნიშნებით. სწორედ ამ უკანასკნელთა მეშვეობით ხორციელდება ცნების ლექსიკალიზაცია.

რამდენადაც ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა ამავედროულად კოგნიტურად ორიენტირებული კვლევაა, ბუნებრივია, რომ ლინგვოკონცეპტოლოგია მოიცავს როგორც ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეპტოლოგიას, ისე კოგნიტურ ლინგვოკონცეპტოლოგიასაც, რომელიც იკვლევს ენას როგორც ზოგად კოგნიტურ მექანიზმს.

ლინგვისტური კონცეპტოლოგია, რომელიც ორიენტირებულია კონცეპტის ენობრივ ვერბალიზატორთა გამოვლენაზე, ლინგვოკულტუროლოგიაშია ინტეგრირებული მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. აღნიშნული ინტეგრაცია სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ლინგვოკულტურული კონცეპტი აღიწერება სქემების, ფრეიმებისა და სცენარების მეშვეობით.

თავი III. კონცეპტი კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიაში

3.1. კონცეპტის კოგნიტური და ლინგვოკულტურული ორგანიზაცია

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მრავალი ნაშრომი, რომელიც ეძღვნება კონცეპტის არსის კვლევას, თუმცა სხვადასხვა მკვლევარს სხვადასხვაგვარად ესმის კონცეპტის არსი (ბარსლოუ, 1992 და იუჯინი, 1996 / Barsalou, 1992 & Eugene, 1996).

ზოგი მკვლევარი თვლის, რომ კონცეპტები ფორმირდება ადამიანის ცნობიერებაში. აღნიშნული თვალსაზრისის თანახმად, კონცეპტი წარმოადგენს (გენტნერი და გოლდინ-მედოუ, 2003 / Gentner & Goldin-Meadow, 2003):

1. ადამიანის სენსორული გამოცდილების შედეგს - ადამიანის გრძნობის ორგანოების მიერ აღქმულ ფენომენს;
2. ადამიანის საგნობრივ სინამდვილესთან ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილ ფენომენს;
3. ადამიანის სააზროვნო ოპერაციების - ახალი გამოცდილების უკვე არსებულ კონცეპტებთან დაკავშირების - შედეგს;
4. ენობრივი ურთიერთობის შედეგს;
5. ენობრივ ერთეულთა შეცნობის - ნაცნობი სიტყვით ახალი კონცეპტის არსის წვდომის - შედეგს.

არსებულ თვალსაზრისთა ანალიზი ცხადყოფს, რომ კონცეპტი განიხილება კოგნიტურ ერთეულად. კოგნიტური ლინგვისტიკა განიხილავს ენას კოგნიტურ მექანიზმად, რომელიც მონაწილეობს კოდირებისა და ტრანსფორმაციის პროცესებში (დუნი; დიუკსი, გინსბერგი და ჯაჰილი 1986; / Dunn; Dukes; Ginsberg & Cahill, 1986;

კოგნიტური ლინგვისტიკის მიზანია იმის ახსნა, თუ როგორ მიმდინარეობს სამყაროს აღქმის, კატეგორიზაციის, კლასიფიკაციისა და გააზრების პროცესები, როგორ გროვდება ცოდნა, რა სისტემები უზრუნველყოფენ ინფორმაციის პროცესირებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა სახის აქტივობებს (კროფტი და კრუზი, 2004 / Croft & Cruse, 2004).

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში იკვეთება სხვა თვალსაზრისიც, რომლის თანახმადაც, კონცეპტი განიხილება არა კოგნიტური ლინგვისტიკის, არამედ ლინგვოკულტუროლოგიის სააზროვნო სივრცეში. აღნიშნულ სივრცეში კონცეპტი

ინტერპრეტირებულია როგორც ადამიანის ცნობიერებაში არსებული კულტურის „შენადედი“ (გოდარდი და ვეუბიკა, 2007 / Goddard & Wierzbicka, 2007).

ლინგვოკულტუროლოგია კომპლექსური სააზროვნო სივრცეა, რომელიც წარმოიშვა ენისა და კულტურის კვლევების კვეთაზე. ლინგვოკულტუროლოგია იკვლევს კულტურისა და ენის მიმართების სპეციფიკას, განიხილავს ენისა და კულტურის ურთიერთქმედებას როგორც მთლიანობრივ პროცესს, რომელიც ხასიათდება ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური შინაარსის ერთობლიობით (ჯეფრი, 1990 / Jeffrey, 1990). აღნიშნული პროცესის კვლევა ხორციელდება სისტემური მეთოდებისა და ღირებულებათა სისტემაზე ორიენტაციის მეშვეობით.

ლინგვოკულტურული კონცეპტი განსხვავდება სხვა ერთეულებისგან - ლინგვოკულტუროლოგიაში კონცეპტი ხასიათდება თავისი მენტალური ბუნებით. ლოგოსისტემა, ფაქტობრივად, წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობის ელემენტს და ლოკალიზებულია ენაში. ლინგვოკულტურემა განისაზღვრება როგორც დონეთაშორისი ერთეული, ანუ კონკრეტული ლოკალიზაციის არმქონე ერთეული, ხოლო ლინგვოკულტურული კონცეპტი ფიქსირებულია ადამიანის ცნობიერებაში (მასლოვა, 2001 / Маслова, 2001).

სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება კონცეპტის გაფართოებული განმარტებაც, რომლის მიხედვითაც, კონცეპტი წარმოადგენს პირველად კულტურულ წარმონაქმნს, რომელიც ტრანსპონირებულია ადამიანის ყოფიერების სხვადასხვა სფეროში - ცნებობრივ (მენციერება), ხატობრივ (ხელოვნება) და ქმედების (ყოველდღიურობა) სამყაროს სფეროში (ვეუბიკა, 2009 / Wierzbicka, 2009).

კონცეპტები წარმოიქმნება ადამიანის გონებაში არა მხოლოდ როგორც ”მინიშნებები“ შესაძლო მნიშვნელობებზე, მათ ალგებრულ გამოხატულებაზე, არამედ როგორც პასუხი ადამიანის წინარე ენობრივ, პოეტურ, პროზაულ, მეცნიერულ, სოციალურ, ისტორიულ და ა.შ. გამოცდილებაზე.

ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, რომ კოგნიტური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია ვითარდება ერთი საერთო სააზროვნო სივრცის ფარგლებში. ტერმინი „კოგნიტური მეცნიერება“ მოიცავს სამეცნიერო დისციპლინების გარკვეულ სპექტრს, რომლებიც ერთობლივად შეისწავლიან პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია ცოდნის

სტრუქტურების მიღებასა და დამუშავებასთან, შენახვასა და გამოყენებასთან, ორგანიზაციასა და დაგროვებასთან, ამ სტრუქტურების ადამიანის გონებაში ფორმირებასთან (ვილენსკი, 1990; თალმი, 1983 / Wilensky, 1990; Talmy, 1983).

კოგნიტური მეცნიერება დაკავშირებულია მათემატიკასა და ლოგიკასთან, ფილოსოფიასთან, ანთროპოლოგიასა და ლინგვისტიკასთან. თითოეულ კომპონენტს გააჩნია საკუთარი პოზიცია და წონა კოგნიტურ მეცნიერებაში. კოგნიტური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი ასახავს მისი განვითარების ისეთ ეტაპს, როდესაც კონცეპტუალური ანალიზის აქტუალური პრობლემების გადაჭრის გზა იკვეთება ადამიანის ცნობიერების აქტივობის ლინგვისტიკური გამოვლინებების თანმიმდევრული შესწავლის ფონზე (სოუვა, 1984 / Sowa, 1984).

კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიისათვის რელევანტურია დიადა „ენა-ადამიანი“, ორივე ოპერირებს ინტეგრირებული მიდგომით და ტერმინებით „კონცეპტი“ და „სამყაროს ხატი“ (დურანტი, 2013 / Duranti, 2013).

კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონცეპტი გააზრებულია როგორც მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემისა და გონების ენის (lingua mentalis), ადამიანის ფსიქიკაში აღბეჭდილი სამყაროს ხატის ერთეული.

კოგნიტური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, კონცეპტი ლოკალიზებულია ცნობიერებაში: კონცეპტები ცნობიერების კომპლექსური დისკრეტული ერთეულებია, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ადამიანის აზროვნების პროცესი. კონცეპტი მოქმედებს როგორც ადამიანის ცოდნის „საცავი“ (ევანსი, 2009 / Evans, 2009).

ლინგვოკულტუროლოგიისთვის, ისევე როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისთვის დამახასიათებელია კონცეპტუალური კვლევები. მიჩნეულია, რომ შემეცნებითი ლინგვისტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს კოგნიტური კონცეპტი, ხოლო ლინგვოკულტუროლოგიის შესწავლის საგანი ლინგვოკულტურული ან კულტურული კონცეპტია. ბოლო დროს შეიმჩნევა კოგნიტური და ლინგვოკულტურული კონცეპტების დიფერენცირების ტენდენცია (გარდინერი, 1985 / Gardiner, 1985).

კოგნიტურ და ლინგვოკულტურულ კონცეპტთა არაიგივეობრიობა შემდეგში მდგომარეობს (დაემსი, ზენერი, ჰეილენი, 2015 / Daems, Zenner, Heylen, 2015):

1. კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში ერთ კონცეპტს შეესაბამება ერთი ენობრივი ერთეული; ლინგვოკულტუროლოგიის ფარგლებში კი კონცეპტი შეიძლება ობიექტივირდეს და ობიექტივირდება კიდევ მთელი რიგი ენობრივი ერთეულების მეშვეობით;
2. კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში თითოეულ სიტყვას შეესაბამება თავისი კონცეპტი; ლინგვოკულტუროლოგიის ფარგლებში კი კონცეპტის სიტყვა-იდენტიფიკატორს წარმოადგენს კულტურულად ნიშნადი ერთეულების შეზღუდული რაოდენობა;
3. კოგნიტურ ლინგვისტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონცეპტთა ტიპებს, მათ სისტემურ ორგანიზაციას და მიმართებებს.
 ლინგვოკულტუროლოგია ცდილობს დაადგინოს საზოგადოების ღირებულებითი ორიენტაციები (ბაჰმი, 1993 / Bahm, 1993).
 ლინგვოკულტურული კონცეპტი კი წარმოადგენს ცნობიერების სტრუქტურას, რომელშიც ფიქსირდება სოცუმისათვის ტიპური ღირებულებები.
 ლინგვოკულტურული კონცეპტის ბირთვი ყოველთვის ღირებულებაა (აბელსონი, 1973 / Abelson, 1973).

კონცეპტის კოგნიტურ ინტერპრეტაციას გააჩნია გარკვეული ნაკლოვანება: აღნიშნული ინტერპრეტაციით საკმაოდ რთულია კონცეპტის სხვა ტიპის მენტალური წარმონაქმნებისაგან, მაგალითად, ცნებისაგან გამოიჯვანა. ამ შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება ტერმინის „კონცეპტი“ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის მიზანშეწონილობა.

აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანი აზროვნებს არა ეროვნულ ენაზე, არამედ გონების უნივერსალური საგნობრივი კოდის საშუალებებით; კონცეპტები წარმოადგენენ ერთგვარ „საშენ მასალას“, აზროვნების პროცესის ელემენტებს, რომელთაგანაც იგება კომპლექსური კონცეპტუალური სურათები (ევანსი და გრინი, 2006 / Evans & Green, 2006).

პირველ რიგში, შემოთავაზებული განმარტება შეიძლება ესადაგებოდეს ტერმინსაც „ცნება“. „საშენ მასალას“ ადამიანის აზროვნების პროცესში, ჩვენი აზრით, წარმოადგენს არა კონცეპტები, არამედ სხვა კოგნიტური ერთეულები (მაგალითად, ცნებები).

მეორეც, ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ეროვნული ენა არ ახდენს გავლენას ადამიანის სააზროვნო პროცესებზე, მის მიერ სამყაროს აღქმაზე, რეალობის ინტერპრეტაციაზე.

ბუნებრივია, ადამიანები აზროვნებენ უნივერსალური საგნობრივი კოდის მეშვეობით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი ეროვნული ენა „გამორთულია“ აზროვნების პროცესიდან.

ენობრივი კატეგორიები, გარკვეულწილად, მიმართულებას აძლევენ მეტყველი სუბიექტის გონებაში მიმდინარე სააზროვნო პროცესებს. ამდენად, კონცეპტი არ წარმოადგენს უბრალოდ აზროვნების ერთეულს, რომელიც აღბეჭდილია ღირებულებითი მარკერებით (კირნი, 1975 / Kearney, 1975). ლინგვოკულტუროლოგები ღირებულებათა გააზრების პროცესში კონცენტრირდებიან სამყაროს ღირებულებით ხატზე (ჰიბერტი, 1997 / Hiebert, 1997).

სამყაროს ღირებულებითი ხატის სპეციფიკის კვლევისას, მეცნიერები ეყრდნობიან შემდეგ დებულებებს (ჰოლმსი, 1967; მასლოვა, 2001; ვეჰბიკა, 1992; ლონგი, 1989 / Holmes, 1967; Maslova, 2001; Wierzbicka, 1992; Long, 1989):

სამყაროს ღირებულებითი ხატი ენაში მოიცავს როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე სპეციფიკურ ასპექტებს;

სამყაროს ღირებულებითი ხატი ენაში რეკონსტრუირდება ურთიერთდაკავშირებულ შემფასებლურ მსჯელობათა ერთობლიობის სახით, რომელიც კორელირებს სამართლის, რელიგიის და მორალის სფეროებთან, ასევე ტიპურ ფოლკლორულ სიუჟეტებთან;

სამყაროს ღირებულებით ხატში იკვეთება მოცემული კულტურისათვის მნიშვნელოვანი იდეები, ღირებულებითი დომინანტები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის ენაში დაცული კულტურის კონკრეტულ ტიპს;

ერთი კონკრეტული ენობრივი კულტურის ფარგლებში სამყაროს ღირებულებითი ხატი წარმოადგენს არაერთგვაროვან წარმონაქმნს, რამდენადაც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს გააჩნიათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ღირებულებები;

სამყაროს ღირებულებითი ხატი არსებობს როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ ცნობიერებაში (სვეილ-ტროიკი, 2003; სკოლონი და ჯონსი, 2012 / Saville-Troike, 2003; Scollon & Jones, 2012).

ამრიგად, ლინგვოკულტუროლოგიაში ფიქსირდება თვალსაზრისი სამყაროს ენობრივ ხატთან ერთად, სამყაროს ღირებულებითი ხატის გამოყოფის აუცილებლობის თაობაზე. სავარაუდოდ, მომავალში ასევე დადგება სამყაროს კონცეპტუალური და ლინგვოკულტურული კონცეპტუალური ხატების ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხიც.

კოგნიტური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია იყენებს ენის შესწავლისადმი ინტეგრატიულ მიდგომას. ეს სრულიად გამართლებულია, ვინაიდან უმრავლეს შემთხვევაში კვლევის ობიექტურ მონაცემთა მისაღებად საჭიროა სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთაგან მიღებული ცოდნის სინთეზირება.

ამრიგად, კოგნიტური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია ითვალისწინებს როგორც წმინდა ლინგვისტური, ისე ინტერდისციპლინური კვლევის მონაცემებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის ფარგლებში ვითარდება სხვადასხვა მიმართულება. XX საუკუნის 90-იან წლებში კოგნიტური ლინგვისტიკისა და პოლიტოლოგიის კვეთაზე წარმოიშვა პოლიტიკური ლინგვისტიკა, რომლის შესწავლის ობიექტსაც წარმოადგენს პოლიტიკური დისკურსი.

იმავე პერიოდში ლინგვოკულტუროლოგიაში ყალიბდება აქსიოლოგიური ლინგვისტიკა, რომლის შესწავლის ობიექტსაც წარმოადგენს ღირებულებები (ბლოსერი, 1996; ჰოლი, 1961; კარლი, 1971 / Blosser, 1996; Hall, 1961; Karl, 1971).

სპეციალური ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის მსგავსება ფიქსირდება იმ ფაქტის წყალობით, რომ კოგნიტური ლინგვისტიკაც და ლინგვოკულტუროლოგიაც იყენებს ინტეგრატიულ მიდგომას, ორივე კონცენტრირებულია დიადაზე „ენა-ადამიანი“, ორივე იკვლევს კონცეპტებსა და სამყაროს ხატს.

ამრიგად, პასუხი შეკითხვაზე „რა აერთიანებს კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიას?“ შემდეგნაირად ჟღერს:

კოგნიტური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია ვითარდება ერთი საერთო სააზროვნო სივრცის ფარგლებში;

კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიისათვის რელევანტურია დიადა „ენა-ადამიანი“, ორივე ოპერირებს ინტეგრაციული მიდგომით და ტერმინებით „კონცეპტი“ და „სამყაროს ხატი“;

რა განსხვავებს კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიას? - პასუხი ამ შეკითხვაზე შემდეგია: კოგნიტური ლინგვისტიკის შესწავლის საგანს წარმოადგენს კოგნიტური კონცეპტი, ხოლო ლინგვოკულტუროლოგიის შესწავლის საგანი ლინგვოკულტურული ან კულტურული კონცეპტია.

კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონცეპტი გააზრებულია როგორც მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემისა და გონების ენის (lingua mentalis), ადამიანის ფსიქიკაში აღბეჭდილი სამყაროს ხატის ერთეული.

კოგნიტური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, კონცეპტი ლოკალიზებულია ცნობიერებაში: კონცეპტები ცნობიერების კომპლექსური დისკრეტული ერთეულებია, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება ადამიანის აზროვნების პროცესი. კონცეპტი მოქმედებს როგორც ადამიანის ცოდნის „საცავი“.

კოგნიტურ და ლინგვოკულტურულ კონცეპტთა არაიგივეობრიობა შემდეგში მდგომარეობს:

კოგნიტურ ლინგვისტიკაში ერთ კონცეპტს შეესაბამება ერთი ენობრივი ერთეული; ლინგვოკულტუროლოგიაში კონცეპტი შეიძლება ობიექტივირდეს და ობიექტივირდება კიდევ მთელი რიგი ენობრივი ერთეულების მეშვეობით;

კოგნიტურ ლინგვისტიკაში თითოეულ სიტყვას შეესაბამება თავისი კონცეპტი; ლინგვოკულტუროლოგიაში კონცეპტის სიტყვა-იდენტიფიკატორს წარმოადგენს კულტურულად ნიშნადი ერთეულების შეზღუდული რაოდენობა;

კოგნიტურ ლინგვისტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონცეპტთა ტიპებს, მათ სისტემურ ორგანიზაციას და მიმართებებს. ლინგვოკულტურული კონცეპტი წარმოადგენს ცნობიერების სტრუქტურას, რომელშიც ფიქსირდება სოციუმისათვის ტიპური ღირებულებები. ლინგვოკულტურული კონცეპტის ბირთვი ყოველთვის

ღირებულებაა. ლინგვოკულტუროლოგია ცდილობს დაადგინოს საზოგადოების ღირებულებითი ორიენტაციები.

დასკვნის სახით:

სპეციალური ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის მსგავსება განპირობებულია იმით, რომ კოგნიტური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია ვითარდება ერთი საერთო სააზროვნო სივრცის ფარგლებში. ეს ფაქტი კი ვლინდება იმაში, რომ:

1. ორივე სააზროვნო სივრცე ოპერირებს ინტეგრირებული მიდგომით;
2. ორივე სააზროვნო სივრცე ცენტრირებულია დიადაზე „ენა-ადამიანი“;
3. ორივე სააზროვნო სივრცე ორიენტირებულია კონცეპტებისა და სამყაროს ხატის კვლევაზე.

რაც შეეხება კოგნიტური ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიას შორის არსებულ განსხვავებას, ეს უკანასკნელი განპირობებულია:

1. სააზროვნო სივრცეთა შესწავლის საგანის არაიდენტურობით, კერძოდ: კოგნიტური ლინგვისტიკის შესწავლის საგანია კოგნიტური კონცეპტი, ხოლო ლინგვოკულტუროლოგიის შესწავლის საგანს კი წარმოადგენს ლინგვოკულტურული ან კულტურული კონცეპტი;
2. სააზროვნო სივრცეებში კონცეპტის გააზრების სპეციფიკით, კერძოდ: კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონცეპტი განიხილება მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემისა და გონების ენის, ადამიანის ფსიქიკაში აღბეჭდილი სამყაროს ხატის ერთეულად, ადამიანის ცოდნის „საცავად“, ხოლო ლინგვოკულტურული კონცეპტი კი წარმოადგენს ცნობიერების სტრუქტურას, რომელშიც ფიქსირდება სოციალური ტიპური ღირებულებები. ლინგვოკულტურული კონცეპტის ბირთვს ყოველთვის წარმოადგენს ღირებულება;
3. სააზროვნო სივრცეებში კონცეპტის ობიექტივაციის თავისებურებით, კერძოდ: კოგნიტურ ლინგვისტიკაში ერთ კონცეპტს შეესაბამება მხოლოდ ერთი ენობრივი ერთეული, ხოლო ლინგვოკულტუროლოგიაში კი კონცეპტი ობიექტივირდება მთელი რიგი ენობრივი ერთეულების მეშვეობით;

4. სააზროვნო სივრცეებში სიტყვისა და კონცეპტის შესაბამისობის სპეციფიკით, კერძოდ: კოგნიტურ ლინგვისტიკაში თითოეულ სიტყვას შეესაბამება თავისი კონცეპტი, ხოლო ლინგვოკულტუროლოგიაში კი კონცეპტის სიტყვა-იდენტიფიკატორს წარმოადგენს კულტურულად ნიშნადი ერთეულების შეზღუდული რაოდენობა.

3.2. კონცეპტი “Life” თანამედროვე ინგლისურენოვან კულტურაში

ენაში შემეცნების შედეგთა ასახვის თავისებურებათა კვლევა უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის კოგნიტური საქმიანობის კვლევას. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს არა მხოლოდ ლექსიკოლოგიური და ფილოლოგიური, არამედ ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების ანალიზსაც.

ლინგვისტურ კვლევაში ფენომენის შინაარსობრივი მხარის შესახებ არსებული ცოდნის ინტეგრირება წარმოადგენს კოგნიტური მიდგომის ძირითად არსს და კონცეპტის სიღრმისეული წვდომის აუცილებელ და საკმარის პირობასაც.

შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესში ადამიანი ახორციელებს სამყაროს კონცეპტუალური ხატის ფრაგმენტთა კატეგორიზაციას. სამყაროს კონცეპტუალური ხატი წარმოადგენს ენის ნიშანთა სისტემის მიღმა არსებულ სამყაროს „სურათს“.

ადამიანის კონცეპტუალური სამყაროს იმ ნაწილს, რომელიც მიზნულია ენის ნიშანთა სისტემაზე, ეწოდება „სამყაროს ენისმიერი ხატი“. სამყაროს ხატი სამყაროს მთლიანური, გლობალური სურათია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მთელი სულიერი მოღვაწეობის შედეგს. სამყაროს სურათი, როგორც სამყაროს გლობალური ხატი, უყალიბდება ადამიანს სამყაროსთან კონტაქტის პროცესში. ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების პროცესში ადამიანის სამყაროსთან კონტაქტის გამოცდილება და ფორმები იძენს განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას.

სამყაროს აღქმის, გაცნობიერებისა და ასახვის პროცესში ადამიანი ახორციელებს სამყაროს ინტერპრეტაციას და წარმოადგენს „შესაძლო სამყაროებს“. ეს უკანასკნელნი ეროვნულად დეტერმინირებულია, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სხვადასხვა ენის

მატარებლები სხვადასხვაგვარად ხედვენ და სხვადასხვაგვარად ანაწევრებენ სამყაროს. ამდენად, ბუნებრივია ის ინტერესი, რომელიც ჩნდება სხვადასხვა ენის მატარებელი ეთნოსების ცოდნისა და მენტალიტეტის თავისებურებათა გამოვლენის მიმართ.

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია კონცეპტების შესწავლა კატეგორიზაციისა და ცოდნის წარმოდგენის პროცესების წვდომისათვის. ცნებას „კონცეპტი“ დღემდე არ შეუძენია უნივერსალური განმარტება, შესაბამისად, თანამედროვე ლინგვისტიკა კვლავაც აგრძელებს უნივერსალური განმარტების ძიებას.

ნაშრომში დასახული მიზნის განხორციელება დაკავშირებულია ისეთ ინტელექტუალურ ამოცანათა გადაჭრასთან, როგორცაა:

ინგლისურენოვან ტექსტებში საკვლევი კონცეპტის აქტუალიზაციის ლინგვისტურ მექანიზმთა იდენტიფიცირება;

კონცეპტის უნივერსალურ და უნიკალურ (კულტურით დეტერმინირებულ) მარკერთა განსაზღვრა ატრიბუტულ და პრედიკატულ სიტყვათშეთანხმებებში;

სიცოცხლის შესახებ არსებულ წარმოდგენათა გამოვლენა ინგლისურენოვან ცნობიერებაში;

სიცოცხლის მნიშვნელობისათვის ძირითადი რელევანტური მეტაფორული მოდელებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოვლენა;

სიცოცხლის მნიშვნელობის ანალიზი ლექსიკოგრაფიულ წყაროებში.

თუ თითოეული სიტყვა ატარებს ადამიანის გამოცდილების ნაწილს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინდივიდის ლექსიკონი შეესაბამება მისი ენობრივი პიროვნებისათვის რელევანტურ სამყაროს ავტონომიურ ხატს. თუ გავიზიარებთ ბოდუენ დე კურტენეს თვალსაზრისს იმის თობაზე, რომ „ეროვნული ენა ... წარმოადგენს განმაზოგადებელ კონსტრუქციას, რომელიც წარმოიშვა რეალურად არსებული ინდივიდუალური ენებისაგან“ (Бодуэн де Куртене 1963: 71), ასეთ შემთხვევაში სამყაროს ნებისმიერი ეროვნულ-ენობრივი ხატი უნდა განვიხილოთ როგორც კონკრეტული ეთნოსის ყველა წევრის ინდივიდუალურ-სოციალური და ენობრივი სამყაროს ხატების განზოგადებული ფორმა.

კოგნიტური სემანტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს კონცეპტის სტრუქტურის აღწერა. ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კონცეპტის არსის კვლევა მნიშვნელოვანია კატეგორიზაციისა და ცოდნის რეპრეზენტაციის პროცესთა გააზრებისათვის. კონცეპტის კვლევის მეთოდები და პროცედურები დღემდე მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია ავტორთა ინტუიციასა და მათ მეცნიერულ „გემოვნებაზე“, რაც, ბუნებრივია, ზადებს სუბიექტურობისა და ქაოტურობის განცდას. ცნებას „კონცეპტი“ დღემდე არ გააჩნია ის განმარტება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია უნივერსალურობაზე.

თუმცა იკვეთება კონცეპტის ის მარკერები, რომელთა ვალიდურობასაც აღიარებს ყველა მკვლევარი. საყოველთაო თანხმობაში იკვეთება მარკერები, რომელთა მიხედვითაც კონცეპტი წარმოადგენს:

შემეცნებაში მოვლენათა არსებობის საშუალებას;

ადამიანის ცნობიერების მენტალური და ფსიქოლოგიური რესურსების, ასევე ცოდნისა და გამოცდილების ამსახველი ინფორმაციული სტრუქტურის ერთეულს;

ადამიანის ფსიქიკაში ასახული მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემისა და სამყაროს ხატის შინაარსობრივ ერთეულს;

ცოდნის „კვანტს“, რომელიც ჩნდება ობიექტისა და მისი თვისებების შესახებ ინფორმაციის ჩამოყალიბების პროცესში;

სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის შენახვის საშუალებას;

კონცეპტუალური სისტემის „საშენ მასალას“;

ერთეულს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სუბიექტური გამოცდილების გარდაქმნა კონკრეტული სოციუმის მიერ აღირებულ კატეგორიებად და კლასებად;

ეროვნულობის ნიშნით დეტერმინირებულ მენტალურ წარმონაქმნს, რომლის შინაარსობრივ პლანს შეადგენს ობიექტის შესახებ არსებული მთელი ცოდნა, ხოლო ენობრივ გამოხატულების პლანს კი - ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მთლიანობა, რომელიც ასახელებს და აღწერს მოცემულ ობიექტს;

კონცეპტი წარმოადგენს სამყაროს კულტურით დეტერმინირებული ან ინდივიდუალური ხატის საფუძველს. იგი შეიძლება გავიაზროთ როგორც კონკრეტული კულტურის ფარგლებში გააზრებული გამოცდილების შედეგი.

დასახელებულ მარკერთა განზოგადების გზით შესაძლებელია შემდეგი დეფინიციის ჩამოყალიბება: კონცეპტი წარმოადგენს ერთეულს, რომელიც ეთანადება წარმოდგენას იმ მნიშვნელობათა თაობაზე, რომლებითაც ადამიანი ოპერირებს აზროვნების პროცესში და რომლებიც ასახავს ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებას, ადამიანის მოღვაწეობის შედეგებსა და სამყაროს შემეცნების პროცესებს.

ადამიანის მთელი შემეცნებითი მოღვაწეობა (კოგნიცია) შეიძლება განვიხილოთ როგორც ადამიანის სამყაროში ორიენტირების უნარი. შემეცნებითი მოღვაწეობა განპირობებულია ობიექტთა მსგავსებისა და განსხვავებულობის დადგენის საჭიროებით.

კვლევა ეფუძნება შემდეგ დებულებებს:

ნებისმიერი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და სემანტიკის კონკრეტულ ფორმას;

მთლიანობრივ სისტემაში ინტეგრირებული მნიშვნელობები ქმნიან კოლექტიურ ფილოსოფიას;

ნებისმიერი კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელი სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ფორმა ნაწილობრივ უნივერსალურია, ნაწილობრივ კი - უნიკალური;

ადამიანი შემეცნებითი სისტემის მეშვეობით ითვისებს მთელ იმ ინფორმაციას, რომლის წყალობითაც ადამიანი გაიაზრებს სინამდვილეს, იღებს ცოდნას, აყალიბებს თვალსაზრისს და გეგმავს თავის ქმედებებს;

სინამდვილის ენობრივი სემანტიკის ტიპის გარკვეული უნივერსალიზმი განპირობებულია მატერიალურ სამყაროში გარკვეული ზღვრების არსებობის ფაქტით;

კონცეპტის ნომინაციური ველის სტრუქტურულ თავისებურებასა და შინაარსობრივ სპეციფიკას განსაზღვრავს კონცეპტის დომინანტურობა/პერიფერიულობა ენის მატარებელი ერის სამყაროს ენობრივ ხატში;

კონცეპტის კონცეპტუალურ და სემანტიკურ სივრცეთა კონტინიუმის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ლექსიკონში ფიქსირებული ერთეულების, ტექსტებსა და ინფორმანტების ცნობიერებაში კოდირებული მონაცემების სინთეზირების გზით;

კონცეპტის კონცეპტუალურ და სემანტიკურ სივრცეთა მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კონცეპტის ასოციაციური სივრცე, რომელშიც იკვეთება ენის მატარებელი ერის ცნობიერებაში ფიქსირებული კონცეპტის ღირებულებითი თავისებურებები.

იკვლევს რა ლინგვისტურ პრობლემებს, მკვლევარი მიმართავს ადამიანის ბუნებას, მის ემოციურ და მენტალურ სფეროებს, ეთიკურ და ესთეტიკურ საწყისებს, ღირებულებათა სისტემას, სამყაროს აღქმასა და შემეცნებას. კაცობრიობის სულიერი გამოცდილება აისახება ენაში. „ენა ყოფიერების სახლია, მაგრამ გარდა ამისა, იგი ურთიერთობის იარაღიცაა. როგორც „ყოფიერების სახლი“, ენა ამუშავებს ნორმატიულ კონცეპტებს, როგორც ურთიერთობის იარაღი კი, იგი მიმართულია ანომალიებზე“ (Арутюнова Н. Д. 1988).

ადამიანი სამყაროს იდეალიზირებული მოდელის ავტორია და სწორედ ეს აძლევს მას ვარიანტების უფლებას. იმისათვის, რომ შეაფასოს ობიექტი, ადამიანი უნდა „გაატაროს“ იგი საკუთარ თავში.

სამყაროს იდეალიზირებული ხატი არ მოიცავს ობიექტის ყველა კომპონენტსა და პარამეტრს. შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ ის, რაც ჭირდება ადამიანსა და კაცობრიობას. სწორედ შეფასება აქცევს ადამიანს იმ ვექტორად, რომელზეც ორიენტირებულია სამყარო. აღნიშნული ვექტორში დეკლარირებული შემდეგი პრინციპი „სამყარო ადამიანისათვის და არა ადამიანი სამყაროსათვის“. სამყაროს იდეალიზირებულ მოდელში ინტეგრირებულია არა მხოლოდ ის, რაც უკვე არსებობს, არამედ ისიც, რისკენაც ისწრაფვის ადამიანი. სამყაროს იდეალიზირებული მოდელი მოიცავს თავად ადამიანსაც.

ადამიანი ცხოვრობს ყველგან: “everywhere in life, things are seldom the way they seem» (Hailey A. 1997).

ადამიანისათვის მნიშვნელოვანია საკუთარი ადგილის პოვნა, დასახლება, დაფუძნება, საკუთარი ცხოვრების მოწყობა: «Anybody can get set up and find himself a place in life... It s a big thing with you, isn't it Lotty? Finding a place in life» (Miller H. 1987; 105); „I hope it'll be easier, now, for you to find that place in life you're always talking about» (Miller H. 1987, 174); “Jem' s place is for life” (Gaskell E. Mary Barton 1956, 423).

ცხოვრებაში ადგილის პოვნა დაკავშირებულია ცხოვრებით კამაყოფილებასთან ან უკმაყოფილებასთან - თუ ადამიანმა ოპოვა ადგილი, რომელიც შეესაბამება მის მოთხოვნებს, ადამიანი ბედნიერია, თუ ასეთი ადგილი ვერ მოიძებნა, ძიების პროცესი გრძელდება.

სამყაროში საკუთარი ადგილის ძიება იწყება სახლიდან, რომელშიც ადამიანი იზრდება, სახლიდან, რომლიდანაც ადამიანი ეკონტაქტება სამყაროს: "I mean a farmhouse life" (Blackmore R.D. Lorna Doone. 1994. 636); "...but it s a rough, tough old life on the ranch" (Mooney B. 1989, 94).

როდესაც ადამიანს არ მოსწონს პირობები, მას უწევს ადაპტირება: "...who had adapted most successfully to high-rise life" (Ballard J. G. 1975. 35).

სახლს გარდა, საცხოვრებელი ადგილი შეიძლება იყოს საავადმყოფო და ციხე, სოფელი და ქალაქი: "Life at lighthouse. Life at the lighthouse was never lonely" (Carr D. 1991, 69); "...routine of hospital life" (Dobschiner J. R.1969, 98). "You know it perfectly well, life in prison" (Hailey A. 1997); "...his life from now on was totally in camera" (Greene G. 1980, 202); "country life"; "farm life".

ინგლისურენოვან ლიტერატურაში მრავლადაა ადამიანის საცხოვრებელი ადგილით კმაყოფილების მაგალითები: "Simplicity and sweet rural purity surely show the advantage of a country life..." (Thackeray W.M. 1982. 122); "I fit into village life" (Wesley M. A. 1980. 349).

პროვინციული ცხოვრება შეიძლება ბევრი მოთხოვნას უყენებდეს ადამიანს: "provincial life is very demanding, don' t you find?" (Lively P. 1990, 69). სწორედ ამიტომ არ უნდა ადამიანს სოფელში ცხოვრება: "...he hated country life" (Blackmore R.D. 1994. 102); "how does the men like country life?" "...she felt that she could no longer endure farm life..." (Dreiser Th. 1957. 306).

ქალაქი, როგორც საცხოვრებელი ადგილი, ფიქსირდება შემდეგ მაგალითებში: "...high life of the city" (Dreiser Th. 1968. 373); "Pauline's younger and she's been used to town life" (Lively P. 1990. 146); "...there s neither the anonymity or the tolerance of metropolitan life" "...and the city, with all its mystery taken the place"

ქალაქი იზიდავს ადამიანს და აიძულებს მას საკუთარი თავის აღმოჩენას: "The life of the street continued for a long time to interest Carrie" (Dreiser Th. 1968. 157). ცივილიზებული საზოგადოება ეფუძნება სამართლიანობას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ

ჰარმონიას: "...little Prague, their friends and neighbours led lives according to old ways, old values" (Mooney B. 1989, 23).

იმავდროულად, ცივილიზაცია განიხილება ტექნიკურ-მექანიკურ ელემენტთა ერთობლიობად, რომელიც მოითხოვს ადამიანისაგან ცხოვრების მაღალ ტემპს: "When I went to live with Konstance to New York, I learned to love a faster life" (Beauman S. 1997. 43). ცივილიზაცია შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც საზოგადოების დაცემის ინდიკატორიც: "...who had never touched a card in his life till he came to London" (Thackeray W.M. 1982. 223). კონტექსტიდან ნათელია, რომ ბანქო განიხილება როგორც ქალაქის ცხოვრების ნეგატიური ატრიბუტი. ქალაქი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა საცხოვრებელი ადგილი, გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე: "Life of New-York" (Mooney B. 1989, 23); "...London life" (Cronin. 1958. 33); "Life in Paris" (Hemingway E. 1981. 19); "Chicago life" (Dreiser Th. 1968. 502).

ადამიანი აფასებს იმას, რაც ღირებულია მისთვის. სიცოცხლე უმთავრესი ღირებულებაა: "...valued his own life" (Deveraux J. 1998. 119); "...value your life" (Greene G. 1980, 92).

ადამიანი იხდის სიცოცხლის საფასურს: "Marry had begun to affix a stern value to money as the "Purchaser of life" (Gaskell E. Mary Barton. M. 1956, 125); "Each man lived his own life, and paid his own price for living it" (Wilde O. 1963. 225); "He prepared his arms and decided he would sell his life dearly" (Stevenson R.L.1994. 110).

ზოგჯერ ცხოვრებას არ აქვს არანაირი ფასი: "...my life was not worth living..." (Blackmore R.D. 1994. 15); "Your life isn't worth anything" (Pater. „Bridge to Terbt“, 77); "One's life is not worth a day's purchase" "Come away ..., if you care for life" (Blackmore R.D. 1994. 145).

სიცოცხლის ღირებულებაზე მიუთითებს ისეთი ზმნების გამოყენება არსებით სახელთან "life", როგორიცაა: to risk (გარისკვა), to save (შველა), to protect (დაცვა), to give (მიცემა). სიცოცხლე ყველაზე ღირებული რამაა, რაც გააჩნია ადამიანს. სწორედ ამიტომ საჭიროებს სიცოცხლე დაცვას: "... their role in protecting the lives of so many who depended on the warnings emitted by the Cape Hatterras" (Carr D. 1991, 69).

ზოგჯერ მხოლოდ მკვლელობის ფასადაა შესაძლებელი საკუთარი სიცოცხლის დაცვა: "I had to shoot him down to protect my own life" (Caldwell E. 1985. 74); "I'll defend them with my life" (Thackeray W. M. 1954. 115).

სხვა ადამიანების სიცოცხლე შეიძლება უფრო ძვირფასი აღმოჩნდეს, ვიდრე - საკუთარი. სწორედ ამიტომ სწირავენ ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად: “Many people sacrificed their own lives that other could live” (Dobschiner J. R. 1969, 2).

ადამიანი პასუხისმგებელია სხვათა სიცოცხლეზე - დედა პასუხისმგებელია შვილის სიცოცხლეზე: “There I have a house full of children and I am responsible for many people s lives” (Lindbergh A. M. 1992. 111).

ზოგჯერ ის, რასაც ადამიანი დებს სიტყვაში, შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს სხვა ადამიანის სიცოცხლისათვის - სიტყვამ შეიძლება უმნიშვნელოვანესი როლი შესარულოს ადამიანის ცხოვრებაში. ერთი ადამიანი შეიძლება დამოკიდებული იყოს მეორეზე. ერთი ადამიანის ქცევამ შეიძლება უმნიშვნელოვანესი გავლენა იქონიოს მეორე ადამიანის ცხოვრებაზე: “His life depended on her” (Lewty M. 1991, 147); “...if she did nothing, she would be putting patient s lives in danger”; “I m going to do my first operation! I m going to hold a human being s life in my hands” (Sheldon S. 1995).

გამონათქვამთა ავტორი ექიმი და იგი გრძნობს პასუხისმგებლობას ადამიანის სიცოცხლეზე. მან უნდა შესრულოს თავისი მოვალეობა - უნდა გადაარჩინოს ადამიანების სიცოცხლე: “...from now and on you re going to be responsible for the other human being s lives” (Sheldon S. 1995. 46); “I m a doctor. I don t believe in taking the life of another man being under any circumstances” (Sheldon S. 1995. 9).

დიდი პასუხისმგებლობის ალებისას, ბუნებრივია, ადამიანი შეიძლება დაეჭვდეს საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში: “She was terrified by the idea of becoming a doctor, and being responsible for people s lives” (Sheldon S. 1995. 113).

მხოლოდ ექიმი არ იღებს პასუხისმგებლობას ადამიანის სიცოცხლეზე: “I remember feeling so strong, holding his life in my hands” (Smith M. J. 1997. 265). გმირმა, რომელიც ცდილობს გაექცეს ბოროტმოქმედს, მოულოდნელად ადგილი გაუცვლა მას და ვერ შეძლო მტრის მოკვლა: “Their lives were in their hands” (Dobschiner J. R. 1969. 168). ომის დროს იმ ადამიანების სიცოცხლე, რომლებიც იმალებოდნენ, სრულად იყო დამოკიდებული იმ ადამიანებზე, რომლებიც მათ მალავდნენ.

სიცოცხლეს, როგორც უმთავრეს ღირებულებას, შეიძლება დაემუქროს ვინმე ან რაიმე: “They were threatening his life”; “Seek somebody s life” (Hailey A. 1997. 350).

იბრძვის რა საკუთარი სიცოცხლისათვის, ადამიანი მზადაა გადალახოს სხვადასხვა დაბრკოლება: "...ready for fight for life..." (London J. 1971. 256); "...more than once he crashed through and struggled for life in the icy current" (London J. 1971. 182); "...Sonny fighting for his life" (Smith M. J. 1997. 301).

სიცოცხლის სურვილი აძლევს ადამიანს ბრძოლის ძალას: "...John Cronin was no longer a bitter man, but a human being fighting desperately for his life" (Sheldon S. 1995. 302).

საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ადამიანმა შეიძლება დაკარგოს ადამიანური თვისებები და იქცეს იმ არსებად, რომელიც იბრძვის საკუთარი არსებობისათვის. ზოგჯერ ადამიანს აღარ ყოფნის ბრძოლის აღარც ფიზიკური და აღარც სულიერი ძალა. სწორედ ასეთ დროს ისადგურებს იდიფერენტულობა: "...hopelessness, in difference to continuing in this struggle for life..." (Dobschiner J. R. 1969. 254); "...some man in the fighting will take the life from me..." (Weldon F. 1986. 167). ამ მდგომარეობით შესაძლოა ისარგებლოს მტერმა და გამოასალმოს ინდივიდი სიცოცხლეს.

ადამიანის სიცოცხლე შეიძლება იყოს დამოკიდებული წვრილმანებსა და დეტალებზე: "A cough was a small price to pay for a life" (Pike Ch. 1990. 5); "The brave fellow who had cost his life on such a die" (Gaskell E. Mary Barton. M. 1956. 73).

ადამიანმა შეიძლება ძალიან მაღალი ფასი დააღოს საკუთარ სიცოცხლეს. ფასი შეიძლება იმდენად მაღალი აღმოჩნდეს, რომ გულისხმობდეს სხვა ადამიანების სიცოცხლის ხელყოფასაც კი: "...survival at any cost...even at the cost of other lives" (Hailey A. 1997. 451); "...it cost no more than sixteen lives to be rid of nearly forty Doones..." (Blackmore R.D. Lorna Doone. 1994. 634). ის რომ სიცოცხლე ღირებულია, ასახულია შემდეგ ფრაზეოლოგიზმში: "Lose a leg rather than life".

სიცოცხლე შეიძლება იქნას გააზრებული როგორც მატერიალური ღირებულება, რაც დასტურდება საილუსტრაციო მოდელებით, რომლებშიც ფიქსირდება ზმნა "owe" არსებით სახელთან "life": "I owe you my life" (Hailey A. 1997. 375); "We owe him not only Frank s life, but our all" (Thackeray W. M. 1954. 477); "...she owed her life to cousin Ridd" (Blackmore R.D. Lorna Doone. 1994. 532); "Christensen liked Downing, owed him his life, in a way" (Smith M. J. 1997. 10). სიცოცხლის ღირებულება ფიქსირება ინგლისური ენის ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში: "I d have trusted him with my life" (Lewty M. 1991. 163).

ელემენტის “life” გამოყენების შემთხვევები ფიქსირდება შემდეგ მყარ სიტყვათშეთანხმებებში: “not on your life” (არავითარ შემთხვევაში; არაფერიც); “for one s life, for the life of me” (არავითარ შემთხვევაში; რომც მომკლა): “Not on your life”, said Joe” (Kirkbride R. 1962. 20); “You come from different worlds. Forget her. “Not on your life” (Kirkbride R. 1962. 51); “Bring her to see me one day”; “Not on your life”; “You d scare her to death” (Kirkbride R. 1962. 53); “Not on your life” (Leslie P. 1972. 81); “He wondered for the life of him how it would all come out” (Dreiser Th. 1968. 178); “I can t remember now for the life of me” (Dreiser Th. 1968. 185); “I can t for the life of me understand” (Leslie P. 1972. 169).

ინტერესს იწვევს ფიცის ფენომენი: “I ll answer for that boy’s truth with my life! Said Mr. Brownlow, knocking the table” (Dickens Ch. 1977. 106). გმირი იფიცებს საკუთარ სიცოცხლეს. ფიცის სემანტიკა გულისხმობს დაპირებას, დარწმუნებას. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ფიცი უკავშირდება შურისძიებას - სიცოცხლე სიცოცხლის წილ: “...resolute to have two lives for every one” (Blackmore R.D. 1994. 624); “A life for a life. They hold their pets dearer than they do their servants” (Weldon F. 1986. 102); “Miriam is dead, murdered! A life for a life; a dozen of theirs must equal one of us...Better we are all dead than live with shame another day”, “Life for life” (Weldon F. 1986. 129). საილუსტრაციო მოდელებში ნათლად იკვეთება კავშირი შურისძიების ფიცსა და სიცოცხლის მოსპობის სურვილს შორის: “...desired to take Duke Hamilton s life away” (Thackeray W. M. 1954. 501).

მნიშვნელობის აქტუალიზაცია გულისხმობს გადანაცვლებას ლექსიკონის აბსტრაქტული ერთეულიდან მეტყველ სუბიექტზე. აღნიშნულმა გადანაცვლებამ გამოავლინა შემდეგი კანონზომიერებები:

როგორც სალექსიკონო მნიშვნელობათა „განყენებული ფორმა“ და მეტყველებაში რეალიზებულ ინდივიდუალურ ფორმათა ერთობლიობა, ერთეული “life” წარმოადგენს მთლიანობრივ კოგნიტურ სტრუქტურას, რომლის სპეციფიკაც ვლინდება მხოლოდ მნიშვნელობის აქტუალიზაციის საშუალებათა კომპლექსის კვლევის შედეგად;

ლექსიკოგრაფიული წყაროები მიუთითებენ, რომ სიცოცხლე არის არსებობის ფაქტი, დროის მონაკვეთი, ცხოვრების პირობები, ბიოგრაფია;

კონცეპტის “life” მრავალფეროვნება და მრავლასახეობა მიემართება ძირითადად ადამიანის სიცოცხლეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუბიექტური ინტერპრეტაციის ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მიერ სამყაროს აღქმისა და მისი სამყაროსადმი

დამოკიდებულების ინდივიდუალობასთან. სწორედ ამ ფაქტში იკვეთება ყველაზე ნათლად საკვლევი ფენომენის ანთროპოცენტრიზმი;

კონცეპტის “Life” კონტინიუმი გაცილებით უფრო მრავალფეროვანია ინგლისურენოვან კულტურაში, ვიდრე - ლექსიკოგრაფიულ წაყროებში;

ინგლისური ენის მატარებელთა ცნობიერებაში სიცოცხლის არსი განისაზღვრება ენობრივი პიროვნების საცხოვრებელი ადგილით, საარსებო გარემოთი, ცხოვრების მიზნით;

ენობრივი პიროვნება დომინანტურ სტატუსს ანიჭებს სამუშაოს, სიყვარულს, ოჯახს, სახლს, პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებას: is time of existing (to live all life) “life” - is biography (the story of one's life) is work (business of life is to go forward) is love (feeling is life, the heart is life) is family (life is a newborn infant) is God (life is a way to heaven, life is God's gift) is moving (life is experiment, fastness of life) is value, (to value life, a small price to pay for life);

საკმაოდ მრავალფეროვანია საკვლევ კონცეპტთან ასოცირებული მეტაფორული და ფრაზეოლოგიური კონტინიუმი: “the wind of life”, “snow and gloom of life”, “roar of life”; “road of life”, “river of life”, “life is a difficult business” etc.;

კონცეპტის “Life” კონფიგურაცია იკვეთება მთელი კონცეპტუალური სივრცის ანალიზის შედეგად;

საკვლევი კონცეპტის მრავალგანზომილებიანობაზე მეტყველებს ელემენტის “life” სხვა ელემენტებთან შეთანხმების შესაძლებლობათა მრავალფეროვნება: all life, whole life; purpose in life, aim in life, goal in life; to ruin life, to take life, to kill life, to rob life, to destroy life; intimate life, personal life, private life; to come back to life, to clatter to life, to spark to life, cough to life, to kick into life, social life, private life, business life, religious life, perfect life, happy life, comfortable life, life of glory, sweet life, rich life, full life, good life, pleasure of life, normal life, ordinary life, usual life, satisfactory life, daily life, hard life, cold life, bitter life, difficult life, miserable life, complicated life, unhappy life, dreadful life, dog's life, sad life, heavy life, orphan's life, complicated life, earthy life, etc.;

სიტყვათშთანხმებებში იკვეთება არა მხოლოდ შეფასება, არამედ სოციალური სტატუსიც (orphan's life, married life, home life, family life);

ატრიბუტები მოიცავენ მორალურ-ესთეტიკური ხასიათის შეფასებებს: "usless life", "honest, labourious life";

მნიშვნელოვან როლს არსრულებს ინდივიდის პირადი გამოცდილება: ზოგ შემთხვევაში "married life" გვევლინება კეთილდღეობისა და ბედნიერი ცხოვრების სინონიმად; ქორწინება მოაზრებულია როგორც საკუთარი ცხოვრების „დალაგების“ შესაძლებლობა: "quiet life", "to regularize her life";

ფიქსირდება შემთხვევები, რომელშიც იკვეთება ქორწინების უარყოფითი შეფასება: "married life is a bad habit";

ენის მატარებელი ანიჭებს სიცოცხლეს სუბიექტურ შინაარსს ინდივიდუალური ფაქტორების (ასაკის, სქესის, გამოცდილების, წარმომავლობის, განათლების, აღზრდის, პროფესიის, სოციალური სტატუსის, რწმენის, ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობის, განწყობის) მიხედვით.

კვლევის შედეგთა ანალიზმა გამოვლინა კონცეპტის „სიცოცხლე“ შემდეგი მარკერები:

საკვლევი კონცეპტი მთლიანობრივია;

მასში აქცენტირებულია ღირებულების ელემენტი - კონცეპტის ცენტრი წარმოდგენილია ღირებულებით;

კონცეპტის ბირთვის ქმნიან ყველაზე მნიშვნელოვანი ასოციაციური ვექტორები, პერიფერიას კი - ნაკლებად მნიშვნელოვანი ასოციაციური ვექტორები;

საკვლევი კონცეპტი დროში ცვალებადია - დროთა განმავლობაში იცვლება კონცეპტის შეფასების ინტენსიურობა, კონცეპტის ფიგურალური და კონცეპტუალური კომპონენტების რეპერტუარი;

საკვლევი კონცეპტი მრავალკომპონენტანია - იგი შედგება ღირებულებითი, ხატობრივი და ცნებობრივი კომპონენტებისაგან;

საკვლევი კონცეპტი პოლიაპელირებადია - იგი ობიექტივირებულია ენაში ლექსემებით, ფრაზეოლოგიზმებით, მეტაფორებით, წინადადებებით, ტექსტებითა და ტექსტთა ერთობლიობით;

საკვლევი კონცეპტი მრავალგანზომილებიანია;

საკვლევი კონცეპტი პოლიკლასიფიცირებადია - კონცეპტი შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა ნიშნით, მაგალითად, თემატიკის, კონცეპტთა მატარებელი ინდივიდებისა თუ დისკურსის ტიპების მიხედვით.

3.3. კონცეპტის „სიცოცხლე“ კვლევა ლექსიკოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით

კონცეპტი „სიცოცხლე“ განეკუთვნება ბირთვულ კონცეპტთა რიგს, ეს ბუნებრივია, ვინაიდან, ეგისტენციალური თვალსაზრისით, მაქსიმალურად ნიშნადი ფენომენია ნებისმიერი ადამიანისათვის. სიცოცხლის უნივერსალურობა განისაზღვრება ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის პრინციპების ერთობითა და აღქმის ასახვის მსგავსებით. ეს ფაქტი კი განაპირობებს უნივერსალური კატეგორიებისა თუ სემანტიკური კონსტანტების ფორმირებას.

კონცეპტის „სიცოცხლე“ სტატუსის ბირთვულობა აიხსნება შემდეგი ფაქტით: სამყაროში ორიენტირებისას ადამიანი ეყრდნობა საკუთარი არსებობის („მე ვარ“) ფაქტს, ხოლო ადამიანისათვის „ყოფნა“, უპირველესად, „ცოცხლად ყოფნას“ გულისხმობს.

ცნებაში „სიცოცხლე“ აქტუალიზდება ადამიანის საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა და ადამიანად ყოფნის გამოცდილება. სიცოცხლე წარმოადგენს მრავალგანზომილებიან ფენომენს, რომლის საიდუმლოს ახსნასაც საუკუნეებია ცდილობს ადამიანი. ერთი მხრივ, ცხოვრება დედამიწაზე მცხოვრების ყველა სულიერის ბილოგიური არსებობის ფორმას, მეორე მხრივ კი, იგი გაცილებით მეტია, ვიდრე ფიზიოლოგია - სოხობცხლე უმაღლესი რიგის ღირებულებაა.

ნაშრომის მოცემული სეგმენტის მიზანს წარმოადგენს კონცეპტის „სიცოცხლე“ ანალიზი და მისი ენობრივი გამოხატულების მოდელის კონსტრუირება.

ნაშრომში განხორციელებულია კონცეპტუალური ანალიზის მეთოდოლოგია, რისი წყალობითაც დგინდება:

კონცეპტის შინაარსობრივი პლანი (ცნება, ხატი, შეფასება, ასოციაცია);

კონცეპტის გამოხატულების პლანი (ენობრივი ერთეულები - სიტყვები, ტექსტები).

ნაშრომში კონცეპტის გამოხატულების პლანი წარმოდგენილია ლექსიკურ-სემანტიკური ველის ბირთვის, გარდამავალი სფეროსა და პერიფერიის სახით.

კონცეპტუალური ანალიზის თანახმად, პირველ ეტაპს წარმოადგენს სიტყვის ლექსიკოგრაფიულ განმარტებათა ანალიზი.

ანალიზის პროცედურის ალგორითმი შემდეგია:

1. იდენტიფიცირდება სიტყვის „life“ განმარტებები და დგინდება კონცეპტის „life“ მარტივობის ელემენტის ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების რაოდენობა;
2. თითოეული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტისათვის იძებნება სინონიმები;
3. იქმნება მატრიცა, რომელიც ანალიზდება საერთო სემანტიკური მნიშვნელების იდენტიფიცირების მეთოდის გამოყენებით;
4. დგინდება თითოეული ელემენტის ადგილის ლექსიკურ-სემანტიკური ველის სტრუქტურაში.

განმარტებით ლექსიკონებში შეიმჩნევა სიტყვის „life“ ინტერპრეტაციათა სიმრავლე.

აღნიშნული სიმრავლე არაერთგვაროვანია სხვადასხვა ლექსიკონში:

I. Cambridge Dictionary Online

1. The period between birth and death, or the experience or state of being alive;
2. A way of living or a particular part of someone's life;
3. The period for which a machine or organization lasts;
4. The quality that makes people, animals, and plants different from objects, substances, and things that are dead;
5. Everything that is alive.

II. Collins English Dictionary

1. The state or quality that distinguishes living beings or organisms from dead ones and from inorganic matter, characterized chiefly by metabolism, growth, and the ability to reproduce and respond to stimuli;
2. The period between birth and death;
3. A living person or being;
4. The time between birth and the present time;
5. The remainder or extent of one's life;
6. The amount of time that something is active or functioning;
7. A present condition, state, or mode of existence;
8. A biography;
9. A characteristic state or mode of existence;
10. The sum or course of human events and activities;
11. All living things, taken as a whole;
12. Physics another name for lifetime.

III. Merriam-Webster Dictionary

1. a: The quality that distinguishes a vital and functional being from a dead body;
b: A principle or force that is considered to underlie the distinctive quality of animate beings;
c: An organismic state characterized by capacity for metabolism, growth, reaction to stimuli, and reproduction;
2. a: The sequence of physical and mental experiences that make up the existence of an individual;
b: One or more aspects of the process of living;
3. Biography;
4. Spiritual existence transcending physical death;
5. a: The period from birth to death;
b: A specific phase of earthly existence;
c: The period from an event until death;
d: A sentence of imprisonment for the remainder of a convict's life;
6. A way or manner of living;
7. Livelihood;

8. A vital or living being, specifically person;
9. The period of duration, usefulness, or popularity of something;
10. The period of existence (as of a subatomic particle);
11. Living beings (as of a particular kind or environment);
12. a: Human activities;
 - b: Animate activity and movement;
 - c: The activities of a given sphere, area, or time.

განმარტებათა არაერთგვაროვნება მიუთითებს კონცეპტის “life”

მრავალგანზომილებიანობაზე. ლექსიკოგრაფიულ წყაროებში დაფიქსირებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გამოიყო ოთხი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი:

1. A state of organisms characterized by the capacity to perform certain functional activities, including, breath, growth, reproduction, metabolism, reaction to stimuli, that makes people, animals, and plants different from objects, substances, and things that are dead;
2. The interval of time between somebody’s birth and their death; or the period for which a machine or organization lasts;
3. The events and experiences that happen to people while they are alive; the things that people do and experience that are characteristic of a particular time, place, or group of people;
4. A book which tells the story of someone’s life, written by someone else or by that particular person, i.e. biography/autobiography.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე შედგა სინონიმების რიგი თითოეული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტისათვის.

განხორციელებული ანალიზის შედეგად კონცეპტის “Life” ენობრივი გამოხატულების ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის მოდელმა (a state of organisms characterized by the capacity to perform certain functional activities, including, breath, growth, reproduction, metabolism, reaction to stimuli, that makes people, animals, and plants different from objects, substances, and things that are dead) შეიძინა შემდეგი სახის კონფიგურაცია:

1. ბირთვი: life

2. გარდამავალი სფერო: blood, body, animal, man, being, person, activity

3. პერიფერია: existence, creature, growth, impulse, viability, organism, mortal, flesh, vitality, breath, wild, woman, consciousness, symbiosis, subsistence, human, metabolism

კონცეპტის “life” ენობრივი გამოხატულების ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის მოდელმა (the interval of time between somebody’s birth and their death; or the period for which a machine or organization lasts) მიიღო შემდეგი კონფიგურაცია:

1. ბირთვი: life

2. გარდამავალი სფერო: time, mortal, continuance, span, duration, lifespan, lifetime, run, life expectancy, longevity, period, course

3. პერიფერია: existence, standing, endurance

კონცეპტის “Life” ენობრივი გამოხატულების ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის (the events and experiences that happen to people while they are alive; the things that people do and experience that are characteristic of a particular time, place, or group of people) მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ბირთვი: life

2. გარდამავალი სფერო: way of life, world, activity, conduct, career, personality, behavior, experience

3. პერიფერია: situation, lifestyle, culture, civilization, society

კონცეპტის “Life” ენობრივი გამოხატულების ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის მოდელი (a book which tells the story of someone’s life, written by someone else or by that particular person, i.e. biography/autobiography) ხასიათდება შემდეგი ტიპის კონფიგურაციით:

1. ბირთვი: life

2. გარდამავალი სფერო: history, life story, confession

3. პერიფერია: diary, bio, profile, journal

ნაშრომში კონცეპტის “Life” ობიექტივატორთა კომპონენტურმა ანალიზმა თანამედროვე ინგლისურ ენაში უზრუნველყო მნიშვნელობის მის შემადგენელ ნაწილებად დანაწევრება. აღნიშნული პროცედურა გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტულ მნიშვნელობაში შემავალ ელემენტთა შორის მიმართებების გამოვლენას, არამედ ამ მნიშვნელობასა და სხვა ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობებს შორის არსებულ მიმართებათა იდენტიფიცირებას.

ნაშრომში განხორციელებულმა კომპონენტურმა ანალიზმა გამოავლინა ელემენტთა ინტეგრალური კავშირები, რამაც, თავის მხრივ, უზრუნველყო დესკრიფციის სისტემის ეკონომიურობა და ადეკვატურობა.

ამრიგად, კომპონენტური ანალიზის განხორციელებამ, უზრუნველყო საკვლევი კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა დეტალური, ამომწურავი, ზუსტი და კონკრეტული დესკრიფცია. სწორედ ამ ტიპის დესკრიფცია წარმოადგენს ენის სისტემის აღწერისათვის აუცილებელ და საკმარის პირობას.

3.4. ახალი რეალობა და კონცეპტის რეალური ფსიქოლოგიური შინაარსი

საზოგადოებასა და ენას შორის არსებული კავშირი ვლინდება იმაში, თუ როგორ აკმაყოფილებს ენა ახალი რეალობის საჭიროებებს, როგორ ხდება კონცეპტუალურ სივრცეთა შევსება სხვადასხვა კულტურასა და ენაში, როგორ აისახება ენის მატარებელთა ცნობიერებაში მათი ვერბალური და არავერბალური გამოცდილება.

ენა და სამყარო მუდმივად იცვლება. ახალი რეალობები ცვლიან სამყაროს, აყალიბებენ ჩვენი მეტყველების სტილსა და განსაზღვრავენ ჩვენს მიერ სამყაროს აღქმის სპეციფიკას. ახალი რეალობის ასახვისას ჩვენი აღქმის შედეგები სიტყვებში ობიექტივირდება. ახალი რეალობები გავლენას ახდენენ ლექსიკაზე და ამდიდრებენ მას ახალი ასოციაციებითა და ნეოლოგიზმებით.

ამჟამად ენების შესწავლა ხორციელდება ენობრივ ცნობიერებასა და ხალხის ეროვნულ კულტურასთან მჭიდრო კავშირში. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი ვექტორი მიემართება ლინგვისტური ცნობიერებისა და კოგნიტური აღქმის სფეროებისაკენ.

ენა სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ფორმირების საშუალებაა. ლინგვისტური ფორმებით დაგროვილი ცოდნის ჯამი არის ფენომენი, რომელსაც ეწოდება "სამყაროს ენობრივი ხატი".

როგორ ვიფიქროთ და ვისაუბროთ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს კორონა ვირუსი ჩვენს ცხოვრებაზე? როგორ გავუმკლავდეთ ახალი ასოციაციებისა და ნეოლოგიზმების ეპიდემიურ აფეთქებას? – საქმე ისაა, რომ ეს სიახლეები გვეხმარება ჩვენი ახალი სამყაროს გააზრებასა და ადამიანის ენობრივი ცნობიერების სპეციფიკის გამოვლენაში.

როგორ იჩენს თავს ენობრივი კრეაცია სერიოზული კრიზისის დროს? - კორონა ვირუსთან მიმართებაში ლექსიკური ინოვაციის სფერო უპრეცედენტოა - ინტენსიურად ყალიბდება კორონა ვირუსული ნეოლოგიზმები:

covideo party (ონლაინ წვეულებები Zoom-ის ან Skype-ის საშუალებით); covexit (ლოქდაუნის დაწესების სტრატეგია); blursday (დაუზუსტებელი დღე ლოქდაუნის დროზე მადეზორიენტირებელი ეფექტის გამო); WFH (working from home - სახლიდან მუშაობა); quaranteams (ლოქდაუნის დროს შექმნილი ონლაინ ჯგუფები); infodemic (information + epidemic (ინფორმაციის გავრცელება ეპიდემიის შესახებ; იგულისხმება დაუსაბუთებელი, სპეკულაციური ინფორმაცია, რომელიც იწვევს კრიზისთან დაკავშირებულ შფოთვას); coronabesity (corona + obesity - კორონა + სიმსუქნე); coronarelationship (დროებითი ურთიერთობა ვინმესთან. იგულისხმება კარანტინის დროს მარტო დარჩენის შიშით შენარჩუნებული ურთიერთობა).

ჩვენს მიერ 202-2022 წლებში აგებული „სიცოცხლის“ ასოციაციური ველის ბირთვის ანალიზმა ცხადყო, რომ აღნიშნული სეგმენტი მოიცავს „სიკვდილის“ ასოციაციური ველის ბირთვის ელემენტებს. ეს ელემენტებია: Covid-19; შიში; საფრთხე; ეპიდემია; სიკვდილი; გარდაცვლილი; დასასრული; განწირულობა; ფატალურობა; დანგრევა; სიცოცხლის დაკარგვა; ცხოვრებიდან წასვლა; დასრულება; შეწყვეტა; ნგრევა და ა.შ.

„სიცოცხლისა“ და „სიკვდილის“ ასოციაციური ველების ბირთვების კვეთა გამოწვეულია „სიცოცხლისა“ და „სიკვდილის“ ასოციაციური ველების კონტურების ბუნდოვანებით.

რომ შევაჯამოთ, „ცხოვრების“ ასოციაციური ველის უწყვეტობა დროში ცვალებადია - ახალმა რეალობამ ჩამოაყალიბა და გარდაქმნა ასოციაციური ველის კონტინუმი. ჩვენ განვმარტავთ ტრანსფორმაციას, რომელიც ხდება „სიცოცხლის“ ასოციაციური ველის კონტინუუმში, როგორც რეალობის უწყვეტ (მუდმივ) რეპროდუქციას (ინტერპრეტაციასა და რეინტერპრეტაციას).

სიახლეებს იწვევს სოციალური და პოლიტიკური მოვლენები განსაკუთრებით ომისა და სტიქიური უბედურებების დროს. კორონა ვირუსის მიერ წარმოქმნილი ასოციაციები და ნეოლოგიზმები გლობალური მნიშვნელობისაა.

ნეოლოგიზმები და ასოციაციები იქმნება სამყაროს აღქმის შედეგად ენობრივ ცნობიერებაში წარმოქმნილი „სიცარიელის“ შესავსებად. ეს ფაქტი კი ცხადყოფს აღქმის გავლენას ენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ, თავის მხრივ, ნეოლოგიზმები და ასოციაციები გავლენას ახდენენ ენის მატარებლების აღქმაზე.

2020-2022 წლებში ჩატარებულმა თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტების მონაცემების, კერძოდ კი, სტიმულით „Life“ (სიცოცხლე) გამოწვეული რეაქციების ანალიზმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში კონსტრუირებული „სიცოცხლის“ ასოციაციური ველის დომინანტური სეგმენტის (ბირთვის) ნკონტინუმი იკვეთება ასოციაციური ველის „Death“ (სიკვდილი) დომინანტური სეგმენტის კონტინუიმთან.

ასოციაციათა (რეაქციათა) შემადგენლობა სიტყვა-სტიმულზე „Life“ მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

არსებითი სახელი: Way (გზა); Expectancy (მოლოდინი); Cycle (წრე); Time (დრო); Death (სიკვდილი); Happiness (ბედნიერება); Insurance (დაზღვევა); Enjoyment (სიამოვნება); Autobiography (ავტობიოგრაფია); Immortality (უკვდავება); Hardship (გაჭირვება); Luxury (ფუფუნება); Vitality (სიცოცხლისუნარიანობა); Toil (შრომა); Abortion (აბორტი); Memoir (მემუარები); Quality (ხარისხი); Spirituality (სულიერება); Idleness (უსაქმურობა); Misery (უბედურება); Longevity (დღეგრძელობა); Solitude (მარტოობა); Suffering (ტანჯვა); Rebirth (ხელახალი დაბადება); Loneliness (მარტოობა); Vanity (ამაობა); Sorrow (მწუხარება); Joy (სიხარული); Eternity (მარადისობა); Mortality (სიკვდილიანობა); Striving (სწრაფვა); Living (ცხოვრება); Anecdote (ანეკდოტი); Childhood (ბავშვობა); Youth (ახალგაზრდობა); Age

(ასაკი); War (ომი); Fate (ბედი); Destiny (ბედი); Luck (ილბალი); River (მდინარე); Way (გზა); Journey (მოგზაურობა).

Sickness (ავადმყოფობა); Torture (წამება); Coma (კომა); Illness (დაავადება); Agony (აგონია); Burial (დაკრძალვა); Fatality (ფატალურობა); Verdict (განაჩენი); Torment (ტანჯვა); Sorrow (მწუხარება); Destruction (განადგურება); Killing (მოკვლა); Extermination (განადგურება); Corona (კორონა); Epidemic (ეპიდემია); Pneumonia (პნევმონია); Tragedy (ტრაგედია);

Tragic (ტრაგიკული); Lethal (ლეტალური); Epidemic (ეპიდემიური); Grievous (მძიმე); Cruel (სასტიკი); Horrible (საზარელი); Fatal (ფატალური).

Mourn (გლოვა); Torture (წამება); Grieve (მწუხარება); Cremate (კრემირება);

Brutally (სასტიკად); Cruelly (სასტიკად).

ზედსართავი სახელი: Personal (პირადი); Ascetic (ასკეტური); Eternal (მარადიული); Everlasting (მარადიული); Autobiographical (ავტობიოგრაფიული); Monotonous (ერთფეროვანი); Earthly (მიწიერი); Spiritual (სულიერი); Worldly (ამქვეყნიური); Adventurous (თავგადასავლებით სავსე); Miserable (უბედური); Immortal (უკვდავი); Devoted (თავდადებული); Joyous (მხიარული); Tragic (ტრაგიკული); Tranquil (მშვიდი); Daily (ყოველდღიური); Unbearable (აუტანელი); Civilized (ცივილიზებული); Happy (ბედნიერი); Vivid (წათელი); Intellectual (ინტელექტუალური); Sinful (ცოდვილი); Luxurious (მდიდრული); Biographical (ბიოგრაფიული).

ზმნა: Prolong (გახანგრძლივება); Risk (გარისკვა); Endanger (საფრთხის შექმნა); Save (გადარჩენა); Devote (მიძღვნა); Sacrifice (მსხვერპლშეწირვა); Dedicate (მიძღვნა); Value (დაფასება); Depict (ასახვა); Ruin (დანგრევა); Spend (გატარება); Sustain (შენარჩუნება); Enrich (გამდიდრება).

ასოციაციათა (რეაქციათა) შემადგენლობა სიტყვა-სტიმულზე „Death“ მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

არსებითი სახელი: Rebirth (ხელახალი დაბადება); Overdose (დოზის გადაჭარბება); Mortality (სიკვდილიანობა); Starvation (შიმშილი); Drowning (დახრჩობა); Sickness (ავადმყოფობა); Immortality (უკვდავება); Birth (დაბადება); Poisoning (მოწამვლა); Homicide (მკვლელობა); Suicide (თვითმკვლელობა); Grief (მწუხარება); Starving (შიმშილი); Suffering

(ტანჯვა); Torture (წამება); Coma (კომა); Illness (დაავადება); Martyrdom (მოწამეობა); Agony (აგონია); Burial (დაკრძალვა); Paralysis დამბლა); Convulsion (კრუნჩხვა); Fatality (ფატალურობა); Verdict (განაჩენი); Murder (მკვლელობა); Cholera (ქოლერა); Torment (ტანჯვა); Sorrow (მწუხარება); Plague (ჭირი); Influenza (გრიპი); Revenge (შურისძიება); Epitaph (ეპიტაფია); Tuberculosis (ტუბერკულოზი); Underworld (ქვესკნელი); Corpse (გვამი); Remorse (სინანული); Martyr (მოწამე); Murderer (მკვლელი); Destruction (განადგურება); Killing (მოკვლა); Accident (უბედური შემთხვევა); Extermination (განადგურება); Commemoration (ხსენება); Smallpox ჩუტყვავილა); Expectancy (მოლოდინი); Disappearance (გაუჩინარება); Duel (დუელი); Aids (შიდსი); Cancer (კიბო); Corona (კორონა); Epidemic (ეპიდემია); Pneumonia (პნევმონია); Tragedy (ტრაგედია); Bleeding (სისხლდენა); Threat (მუქარა); Eternity (მარადისობა).

ზედსართავი სახელი: Accidental (შემთხვევითი); Tragic (ტრაგიკული); Sudden (უეცარი); Cardiac (კარდიალური); Unexplained (აუხსნელი); Shameful (სამარცხვინო); Respiratory (რესპირატორული); Lethal (ლეტალური); Violent (ძალადობრივი); Epidemic (ეპიდემიური); Grievous (მძიმე); Immortal (უკვდავი); Cruel (სასტიკი); Horrible (საზარელი); Eternal (მარადიული); Traumatic (ტრავმული); Inevitable (გარდაუვალი); Everlasting (მარადიული); Unexpected (მოულოდნელი); Fatal (ფატალური).

ზმნა: Mourn (გლოვა); Starve (შიმშილი); Bleed (სისხლდენა); Torture (წამება); Foretell (წინასწარმეტყველება); Grieve (მწუხარება); Cremate (კრემირება); Poison (მოწამლვა); Cause (გამოწვევა); Perish (დაღუპვა); Slay (მოკვლა).

ზედსართავი სახელი: Brutally (სასტიკად); Cruelly (სასტიკად).

ასოციაციათა (რეაქციათა) შემადგენლობა სიტყვა-სტიმულზე „Death“ მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონსტრუირებული „სციცოხლისა“ (life) და „სიკვდილის“ (death) ასოციაციური ველების საერთო ელემენტების რეპერტუარი წარმოდგენილია შემდეგი ელემენტებით : Mortality (სიკვდილიანობა); Sickness (ავადმყოფობა); Suffering (ტანჯვა); Torture (წამება); Coma (კომა); Illness (დაავადება); Agony (აგონია); Burial (დაკრძალვა); Fatality (ფატალურობა); Verdict (განაჩენი); Torment (ტანჯვა); Sorrow (მწუხარება); Destruction (განადგურება); Killing (მოკვლა); Extermination (განადგურება);

Corona (კორონა); Epidemic (ეპიდემია); Pneumonia (პნევმონია); Tragedy (ტრაგედია); Tragic (ტრაგიკული); Lethal (ლეტალური); Epidemic (ეპიდემიური); Grievous (მძიმე); Cruel (სასტიკი); Horrible (საზარელი); Fatal (ფატალური); Mourn (გლოვა); Torture (წამება); Grieve (მწუხარება); Cremate (კრემირება); Brutally (სასტიკად); Cruelly (სასტიკად).

ასოციაციების ანალიზის გზით შესაძლებელია სიტყვებით ობიექტივირებული ცოდნის ორგანიზაციის სპეციფიკის გამოვლენა (Nelson, D. L., McEvoy, C. L., & Dennis, S. (2000), 23).

წარმოადგენს რა კოგნიციის ძირითად მექანიზმს, ასოციაციათა კავშირებში იკვეთება ცნებებს შორის არსებულ სტრუქტურირებულ მიმართებათა თავისებურებები (Deese, J., 1965), (Cramer, P., 1968).

ასოციაციების ანალიზი იძლევა ლექსიკურ ცოდნაში „ჩადებული“ სტრუქტურების იდენტიფიცირებისა და კოგნიციის სიღრმეების წვდომის შესაძლებლობას (Nelson, D. L., and McEvoy, C. L.), (C. Izawa, and N. Ohta. 2005), (Steyvers, M., Shiffrin, R. M., and Nelson, D. L. 2004).

უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაციების ანალიზის გზით ენის მატარებლის ენობრივი ცნობიერების თავისებურების კვლევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია თავად ასოციაციის არსის სპეციფიკით. ეს კი ნიშნავს, რომ ასოციაცია არის ადამიანის აზროვნების შედეგი, რომელიც ჩამოყალიბებულია ადამიანის გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე. ცოდნა და გამოცდილება დროში ცვალებადია.

ასოციაციათა ქსელების ანალიზი ორიენტირებულია კონცეპტის რეალური ფსიქოლოგიური შინაარსის გამოვლენაზე, კონცეპტის ფაქტობრივ ფსიქოლოგიურ შინაარსსა და კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა სალექსიკონო დეფინიციებს შორის არსებული სხვაობის იდენტიფიცირებაზე, კონცეპტის შინაარსში სტაბილური და ცვალებადი კომპონენტების დიფერენცირებაზე.

ასოციაციები არ ინახება ადამიანის ცნობიერებასა და მეხსიერებაში ერთმანეთისგან იზოლირებულად. ზოგჯერ სხვადასხვა ერთეულებს შორის არსებული კავშირები პარადოქსული და წინააღმდეგობრივი ჩანს. თუმცა სწორედ კავშირების კავშირების პარადოქსულობასა და წინააღმდეგობრიობაში ვლინდება ენობრივი ქმედების სპეციფიკა.

თავი IV. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რეპერტუარი და მეტაფორული მოდელები

4.1. კონცეპტის „Life” ფრაზეოლოგიზაციის შედეგები თანამედროვე ინგლისურ ენაში

ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში იკვეთება ამა თუ იმ კულტურისა თუ ენის მატარებელი ერის კულტურულ-მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება, ეთნოკულტურული პოზიცია გარემომცველი სამყაროსადმი.

ეთნოკულტურული პოზიცია ენის წიაღში ყალიბდება და სწორედ ენაში ვლინდება ეთნოაზროვნების სპეციფიკა. შესაბამისად, ნაშრომში ფრაზეოლოგიური ერთეულები გააზრებულია როგორც მსოფლმხედველობრივი კონცეპტები, რომელთა კვლევაც იძლევა ამა თუ იმ კულტურისა თუ ენის მატარებელი ერის ენაში ობიექტივირებული დიფერენციალური ფსიქოლოგიის თავისებურებათა კვლევის შესაძლებლობას.

ფრაზეოლოგიური ერთეულების ანთროპოცენტრისტული პერსპექტივიდან კვლევა ორიენტირებულია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ მნიშვნელობებს შორის მიმართებათა სპეციფიკის იდენტიფიცირებაზე. აღნიშნული მიმართების იდენტიფიცირება გულისხმობს როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობაში კოდირებული ინფორმაციის, ისე ადამიანის ფსიქიკაში ექსტრალინგვისტური ხასიათის მქონე აზრობრივი ხატების სახით არსებული ინფორმაციის დეკოდირებას.

ადამიანის ცნობიერებაში არსებული მენტალურ-კულტურული ორიენტირების კვლევის საუკეთესო ადგილს წარმოადგენს ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რეპერტუარი. ნაშრომში აღნიშნული რეპერტუარი გააზრებულია როგორც ამა თუ იმ კულტურისა თუ ენის მატარებელი ერისათვის დამახასიათებელ კულტურულ, მსოფლმხედველობრივ და ნორმატიულ ღირებულებათა რეპრეზენტაციების ერთობლიობა.

ნაშრომში „სიცოცხლის“ აღმნიშვნელ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დაჯგუფება თანამედროვე ინგლისურ ენაში განხორციელებულია ერთეულთა სემანტიკურ სტრუქტურაში მნიშვნელობის საერთო სემანტიკური კომპონენტის (ინტეგრალური სემის) არსებობა-არარსებობის იდენტიფიცირების შედეგად.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გამაერთიანებელი კომპონენტის ინტეგრალურობა უზურუნველყოფს მნიშვნელობათა სემანტიკურ მსგავსებას ან სიახლოვეს, რომელიც მყარდება სხვადასხვა ტიპის სემანტიკურ კორელაციათა ხარჯზე.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ინტეგრალური კომპონენტის კონკრეტულობა კი უზრუნველყოფს ერთეულთა ჯგუფის აღნიშვნის სიზუსტესა და ამ ჯგუფის გამოყოფადობას სხვა მნიშვნელობის, სხვა სიტყვებით რომ ვთავათ, სხვა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულთა ჯგუფისაგან.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ინტეგრალური კომპონენტის სიფართოვე განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ბევრი ერთეული ერთიანდება ერთ ჯგუფში, მათ შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად.

ნაშრომში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრალური კომპონენტის არსებობა/არარსებობის დადგენა გამოყენებულია ფრაზეოლოგიური ველის კონსტრუირების ინსტრუმენტად თანამედროვე ინგლისურ ენაში. ინტეგრალური კომპონენტით გაერთიანებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კლასიფიკაცია კი განხორციელებულია მათ სემანტიკურ სტრუქტურაში მნიშვნელობათა კონკრეტიზაციაზე ორიენტირებული დიფერენციალური სემების (მნიშვნელობის კომპონენტების) იდენტიფიცირების გზით.

ამრიგად, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ველში გაერთიანებას უზრუნველყოფს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკურ სტრუქტურაში არსებული ინტეგრალური კომპონენტი, ხოლო ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კლასიფიკაციას კი - ინტეგრალური კომპონენტის სპეციფიკაციაზე ორიენტირებული დიფერენციალური დემა (მნიშვნელობის კომპონენტი).

ნაშრომში თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „Life“ ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა სემანტიკური სტრუქტურის ანალიზის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე დიფერენციალური სემები (მნიშვნელობის კომპონენტები), რომლებიც აერთიანებენ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს:

ცხოვრებაში „კარგი და ცუდი მოვლენების მონაცვლეობის“ ინტეგრალური სემის (მნიშვნელობის საერთო კომპონენტის) არსებობის ფაქტი ფიქსირდება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკურ სტრუქტურაში:

„life isn't all sunshine and rainbows“ - ცხოვრება არ შედგება მხოლოდ ბედნიერებისგან - იგი მოიცავს გაჭირვებასაც და ტანჯვასაც;

„life isn't all beer and skittles“ - ცხოვრება არ არის მხოლოდ სიამოვნება და გართობა - იგი შედგება შრომისა და გაჭირვებისგანაც;

„weal and woe“ – კარგი და ცუდი, ბედნიერებისა და მწუხარების, კეთილდღეობისა და უიღბლობის პერიოდები („Some wealthy “blue bloods” have no class, while individuals who are struggling to make ends meet are loaded with it.“ - Ann Landers).

„ბედნიერი, კომფორტული, წარმატებული, ფინანსური პრობლემებისა და სირთულეებისაგან დაცული ცხოვრების“ ინტეგრალური სემების არსებობა დასტურდება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკურ სტრუქტურაში: „live in an ivory tower“ - ცხოვრების წესი, რომელიც იცავს ადამიანს სხვების მიერ განცდილი პრობლემებისა და სირთულეებისგან, რეალური ცხოვრებასთან შემხებლობის არქონა (“Who wants to live in an ivory tower when there is fresh air to breathe anyway? I want to be outside with the misfits, with the rebels, the dreamers, second-chance givers, the radical grace lavishers ... “ - Sarah Bessey, *Jesus Feminist: An Invitation to Revisit the Bible's View of Women*);

„the good life“ - განსაკუთრებულად კომფორტული, სასიამოვნო და/ან მდიდრული ცხოვრების წესი;

„live high off the hog“/“live in clover“ - ბევრი ფულის ქონა და ძალიან კომფორტული ცხოვრება (“Aw, Sarah, we have a grand time, livin' high off the hog. We're free to do whatever we want, whenever we want. We eat the best food, drink the best wine - our ladies are drippin' in jewelry and fancy clothes.“ - Laurie Kingery, *The Doctor Takes a Wife*);

„the time of (one's) life“ - ძალიან ხალისიანი, საინტერესო ან სასიამოვნო დრო; „soft life“ - ცხოვრება, რომელიც სავსეა სიმსუბუქითა და კომფორტით და მოკლებულია ყოველგვარ შრომას ან უსიამოვნო შეგრძნებებს;

„the prime of life“ - ყველაზე ბედნიერი, ყველაზე წარმატებული დრო; პერიოდი, როდესაც ადამიანს აქვს ყველაზე მეტი ენერჯია და პოტენციალი;

„bear a charmed life“ - ცხოვრება, რომელიც უბედურებისა და ზიანისაგან დაცულია განსაკუთრებული იღბლით (“A charmed life is so rare that for every one such life there are millions of wretched lives. Some know that their baby will be among the unfortunate.” - David

Benatar, Better Never to Have Been: The Harm of Coming into Existence); „have the time of (one's) life” - ძალიან სახალისო, საინტერესო ან სასიამოვნო დროის გატარება;

„make a life for (oneself)” - ცხოვრების წესი, რომლითაც ადამიანი თავს გრძნობს ბედნიერად და წარმატებულად;

„live a life of Riley“ - კომფორტითა და ფუფუნებით ცხოვრება (“In this life, do not be comfy with riley mise-en-scène! Live the life of riley.” - Anyaele Sam Chiyson, The Sagacity of Sage);

„life is for living” - ცხოვრებით ტკბობის, ქმედების საჭიროება, ვიდრე ავადმყოფობა არ შეაფერხებს ან სიკვდილი არ შეწყვეტს ადამიანის არსებობას (“The things that will destroy America are prosperity at any price, peace at any price, safety first instead of duty first and love of soft living and the get-rich-quick theory of life.” - Theodore Roosevelt).

სემანტიკურ სტრუქტურაში „სიღარიბის“ ინტეგრალური სემის არსებობა წარმოადგენს შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გაერთიანების საფუძველს:

„make ends meet” - სიღარიბეში ცხოვრება, ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობა;

„live beyond means” - იმაზე მეტი ფულის ხარჯვა, ვიდრე ამის საშუალებას იძლევა ფინანსური მდგომარეობა;

„live from hand to mouth“ - იმ ფულით ცხოვრება, რომელიც საკმარია მხოლოდ საკვებისა და საჭირო ნივთების ყიდვისათვის („Now that I come to look at it, I've lived here like a pauper -- simply from hand to mouth. I've lived by performing tricks for you, Torvald. That was how you wanted it. You and Papa have committed a grievous sin against me: it's your fault that I've made nothing of my life.” - Henrik Ibsen, A Doll's House);

„live on the breadline” - სიღარიბეში ცხოვრება ძლივს საკმარისი ფულით ან დაბალი შემოსავლით, რომელიც საკმარია მხოლოდ გადარჩენისათვის („Millions of people are tormented by anxious thinking and the consequent distress this brings, irrespective of whether they live in a mansion or a bed-sit or whether they earn millions or are living on the breadline.” - Christopher Dines, Mindfulness Meditation: Bringing Mindfulness into Everyday Life);

„champagne on a beer budget” - ძვირადღირებული ნივთების სიყვარული, რომელთა შეძენის საშუალებას არ იძლევა ფინანსური მდგომარეობა; „life is (just) a bowl of cherries” - ცხოვრება მშვენიერი და სასიამოვნოა.

„სირთულის, იმედგაცრუების, წარუმატებლობის და უთანხმოების“ ინტეგრალური სემებით (მნიშვნელობის საერთო კომპონენტებით) ერთიანდება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

„dog's life” - რთული, არასასიამოვნო და მოსაწყენი ცხოვრება;

„make (one's) life a misery” - ბევრი პრობლემის ან სტრესის გამოწვევა ბოროტი მოპყრობით;

„seamy side of life” - ცხოვრების არასასიამოვნო ასპექტები (“A fatal penalty awaits those who always look on the dark side of everything, who are always predicting evil and failure, who see only the seamy, disagreeable side of life.” - Orison Swett Marden, 7 Books on Prosperity and Success); „the bane of (one's) life/existance” - უბედურების, იმედგაცრუების ან შფოთვის წყარო ან მიზეზი (“Words were the bane of her existence. She drowned in them when all she wanted was silence, only to have them recede when one desperately-sought phrase would be the key to her salvation.” - Nenia Campbell, Terrorscape);

„fail at life” - ცხოვრების წარუმატებლობა;

„cat-and-dog life” - მეუღლეების ან პარტნიორების ერთობლივი ცხოვრება, რომლისთვისაც დამახასიათებელია კამათი, ჩხუბი და უთანხმოება (“I don't want you to be young and beautiful. I only want one thing. I want you to be kind-hearted - and not just towards cats and dogs.” - Vasily Grossman, Life and Fate).

„მიმღებლობის“ ინტეგრალური სემა ფიქსირდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკურ სტრუქტურაში:

„that's life” - გარემოებების მიღება ცხოვრების იმ ნაწილად, რომელშიც პრობლემების არსებობა გარდაუვალია;

„be (all) part of life's rich pageant” - ცხოვრებაში მომხდარი არასასიამოვნო მოვლენების მიღების საჭიროება („In the end, in the final tally, who knows who has brought the other down more or the most - we only know that this is life's rich pageant, and we all have to take responsibility for our own feelings, for wishing to succumb and letting it happen.” - Elizabeth Wurtzel, Bitch: In Praise of Difficult Women);

„make the best of things” - სიტუაციის მიღება, მიხედვად მასთან დაკავშირებული სირთულების არსებობისა („There's no time limit, stop whenever you want. You can change

or stay the same, there are no rules to this thing. We can make the best or the worst of it.” - Eric Roth, *The Curious Case of Benjamin Button* Screenplay).

„რისკი“ წარმოადგენს იმ ინტეგრალურ სემას (მნიშვნელობის საერთო კომპონენტს), რომელიც აერთიანებს შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს:

„the fast lane” - ცხოვრების სტილი, რომელიც ორიენტირებულია სიამოვნების მიღებაზე ხშირად რისკის ფასად (“Ultimately, a living hell, like swimming against a riptide, walking the wrong direction in the fast lane of the freeway, waking from sweetest dreams to find yourself in the middle of a nightmare.” - Ellen Hopkins, *Glass*);

„live (life) on the edge” - ცხოვრების წესი, რომელიც გულისხმობს ადამიანი მიდრეკილებას სახიფათო ან სარისკო ქცევისკენ.

სემანტიკურ სტრუქტურაში „ხანმოკლეობისა“ და „უმნიშვნელობის“ სემების ინტეგრალურობა უზრუნველყოფს შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გაერთიანებას:

„life is short, and time is swift” - ცხოვრებით ტკბობის საჭიროება და ცხოვრების ხანმოკლეობა;

„life is too short” - ცხოვრების უმნიშვნელობა (“Life is too short to waste your time on people who don’t respect, appreciate, and value you. Spend your life with people who make you smile, laugh, and feel loved.” - Roy T. Bennett, *The Light in the Heart*); „life is cheap” - ცხოვრება ხანმოკლეა.

„ცოდნისა“ და „გამოცდილების“ ინტეგრალური სემები ფიქსირდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკურ სტრუქტურაში:

„see life“ - ბევრი განსხვავებული რამის ნახვა და განცდა;

„school of hard knocks“ - პოზიტიური და უარყოფითი გამოცდილების მიღება არაფორმალური განათლების მეშვეობით („They were never raised to understand true love and thus must learn it through the school of hard knocks.“ - Adam Hough, *The 7 Habits That Will Change Your Life Forever*);

„the school of life“ - არაფორმალური განათლება, რომელსაც ადამიანი იღებს საკუთარი როგორც კარგი, ისე ცუდი გამოცდილებიდან;

„Live and learn“ - საკუთარ შეცდომებზე სწავლის საჭიროება.

„ხანდაზმულობის“ ინტეგრალური სემა აერთიანებს შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს:

„evening of life“ - სიბერე, სიცოცხლის ბოლო პერიოდი;

„there's life in the old dog yet“ - სიცოცხლისუნარიანობა ან გარკვეული მოქმედებების შესრულების უნარი, მიუხედავად ასაკისა.

„ენერგიულობის“ და „აქტიურობის“ ინტეგრალური სემებით ერთიანდება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

„breathe (new) life into (someone or something)“/ „bring (someone or something) to life“ - რაიმეს გამოცოცხლება, აქტივაცია;

„come alive“ - გაცოცხლება, ენერგიით ავსება, გააქტიურება უმოქმოდობის პერიოდის შემდეგ;

„spring to life“ - გააქტიურება, გამოცოცხლობა;

„full of life“ - სიცოცხლით, ენერგიით სავსე;

„juice (someone or something) back to life“ - ვინმესათვის ძალისა და ენერგიის აღდგენა (“I'm sure the universe is full of intelligent life. It's just been too intelligent to come here.” - Arthur C. Clarke).

„მარადიულობის“ ინტეგრალური სემის არსებობა ფიქსირდება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკურ სტრუქტურაში:

„eternal life“ - მარადიული სიცოცხლე, სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ;

„life after death“ - არსებობა გარკვეული ფორმით სიკვდილის შემდეგ.

„სიცრუის, არაგულწრფელობის“ ინტეგრალური სემები აერთიანებს შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს:

„lead a double life“ - ორმაგი ცხოვრებით ცხოვრება, როდესაც ადამიანი მალავს თავისი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს სხვებისაგან (“I hope you have not been leading a double life, pretending to be wicked and being good all the time. That would be hypocrisy.” - Oscar Wilde, The Importance of Being Earnest);

„keep up appearances” - კეთილდღეობის დემონსტრირება, რეალურ სირთულეთა სხვა ადამიანებისაგან დამალვის მიზნით (“Keeping up the appearance of having all your marbles is hard work, but important.” - Sara Gruen, *Water for Elephants*).

„ახალი შესაძლებლობების, ოპტიმიზმისა და იმედის“ ინტეგრალური სემებით ერთიანდება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

„a new lease of life” - ახალი და სასიამოვნო ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა;

„look on the sunny side of life“ - ოპტიმისტური დამოკიდებულების ქონა („Happy people have a sunny disposition and always look on the bright side of life. Unhappy people possess dark souls and black bile.” - Eric Weiner, *The Geography of Bliss: One Grump's Search for the Happiest Places in the World*);

„when life gives you lemons, make lemonade” - ცუდი სიტუაციის გამოყენება შესაძლებლობად (“I was of the “When life gives you lemons, make lemonade, then wonder why life didn't give you freaking sugar so you could drink the stuff” school of thought.” - Cate Tiernan, *Eternally Yours*);

„while there's life, there's hope” - იმედის არსებობა ნებისმიერ ცუდ სიტუაციაში ყოფნისას (“The victim should have the right to end his life, if he wants. But I think it would be a great mistake. However bad life may seem, there is always something you can do, and succeed at. While there's life, there is hope.” - Stephen W. Hawking).

„ცხოვრების სტილის“ ინტეგრალური სემის არსებობის ფაქტი დასტურდება შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკურ სტრუქტურაში:

„live out of suitcase” - ცხოვრების სტილი, რომელიც გულისხმობს ხშირ მოგზაურობას, ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებას ჩემოდნის შიგთავსის მოცულობის ბარგით („So many of us are refugees, living out of suitcases, car trunks, cardboard boxes, desperate to go back to a home that no longer exists.” - Chris Atack, *The Hunger Star: Volume 2, The Wolfe Files*);

„life in the slow lane” - ცხოვრების წესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოდუნებული, ჩაფიქრებული ან ფრთხილი ქცევით ან გადაწყვეტილებებით („Finally, the only other big difference is in the amount of time it takes to process information and translate it

into action. Does that mean that beings that live life in the slow lane are automatically worth less than ones on the fast track?” - Peter Wohlleben, *The Hidden Life of Trees*);

„way of life” - ჩვევები და საქმიანობა, რომლებიც ქმნიან ადამიანის ცხოვრების წესს;

„lust for life“ - მძაფრი განცდა ყველაფერი იმისა, რასაც ცხოვრება გვთავაზობს („A lust for life, a lust for how the summer-heated street feels beneath my feet, a lust for the touch of another's skin on my skin...a lust for everything. I even lust after cake. Yes, I am very lusty and very scary.” - C. JoyBell C.).

ამრიგად, კონცეპტის „სიცოცხლე” ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა ჯგუფების ანალიზმა თანამედროვე ინგლისურ ენაში გამოავლინა შემდეგი კანონზომიერებები:

კონცეპტი „Life” მრავალფეროვნადაა ობიექტივირებული თანამედროვე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ დონეზე. საკვლევი კონცეპტის ენობრივი ობიექტივაციის მაღალი ხარისხის დასტურად გვევლინება ის ფაქტი, რომ კონცეპტის ყველა დიფერენციალური კოგნიტური ნიშანი ფრაზეოლოგიზირებულია;

თანამედროვე ინგლისურ ენაში ფრაზეოლოგიზირებულია: ადამიანის ცხოვრებაში კარგი და ცუდი მოვლენების, პერიოდების მონაცვლეობა; ფულის მნიშვნელოვნება ადამიანის ცხოვრებაში; ცხოვრებით ტკბობის აუცილებლობა; ქმედების საჭიროება; პრობლემების არსებობის გარდაუვლობა და მათი დაძლევის მზაობა; არსებული სიტუაციის მიმღებლობა და მასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის მცდელობა; წარმატებისა და წარუმატებლობის განმსაზღვრელი ფაქტორების ჯეროვნად გააზრების საჭიროება; ცხოვრების ხანმოკლეობა; ცხოვრების უმნიშვნელობა; პოზიტიური და უარყოფითი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა; საკუთარ შეცდომებზე სწავლის საჭიროება; ცუდი სიტუაციის გამოყენება შესაძლებლობად.;

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „Life” ობიექტივატორი ფრაზეოლოგიური ერთეულები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოტივირებულობის, შესაბამისად, კი ფრაზეოლოგიური აბსტრაქციის ხარისხით;

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „Life” ობიექტივატორი ფრაზეოლოგიური ერთეულები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ავტონომიურობის ხარისხით.

4.2. კონცეპტის „Life“ მეტაფორული გააზრების შედეგები თანამედროვე ინგლისურ ენაში

ცნობილია, რომ არისტოტელეს დროიდან მეტაფორის არსის კვლევაზე კონცენტრირებული იყო უდიდეს მოაზროვნეთა ყურადღება: მსჯელობდნენ და დღესაც მსჯელობენ მეტაფორის ბუნებასა და ესთეტიკურ ღირებულებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესის კონტინუალობას მართავს არა ინერცია და ტრადიცია, არამედ მეტაფორის თაობაზე არსებული ცოდნის ექსტენსიურობა.

მეტაფორის არსის კვლევამ ხელი შეუწყო სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა „შეხვედრას“, მათ იდეურ ინტეგრაციას. სწორედ აღნიშნული ინტეგრაციის შედეგად ჩამოყალიბდა კოგნიტური მეცნიერება, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს ადამიანის ცნობიერების სხვადასხვა განზომილებას. კოგნიტური მეცნიერების საფუძველს წარმოადგენს დებულება ადამიანის კოგნიტურ სტრუქტურებს - აღქმას, ენას, აზროვნებას, მეხსიერებასა და ქმედებას - შორის ურთიერთდაკავშირებულობის შესახებ. კოგნიტურ სტრუქტურებს აერთიანებს ერთი საერთო ამოცანა - ცოდნის ტრანსფორმაცია და ათვისების პროცესების განხორციელება, რაც განაპირობებს კიდევ ადამიანის გონების, აზროვნების არსს.

მეტაფორული შემოქმედების აქტი ხორციელდება ემოციური ზემოქმედების აუცილებლობის შემთხვევაში და აზრის თავისუფლების პირობებში. იქ, სადაც აზროვნების რაციონალური პრინციპი დომინირებს აზროვნების ირაციონალურ პრინციპზე, მეტაფორა არ იქმნება. მეტაფორას მოქმედების საკუთარი მექანიზმი გააჩნია. სწორედ აღნიშნულ მექანიზმს მივყავართ აზრის კონვენციონალიზაციისკენ და სწორედ ეს განსაზღვრავს მეტაფორის როლს აზრთწარმოქმნაში.

ლ. ვიტგენშტაინის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა გამოუხატავისა და გამოუთქმელის როლის განსაზღვრა სამყაროს არსებობაში. ლ. ვიტგენშტაინის ნააზრევში ნათლად იკვეთება ფილოსოფიური პრობლემებისა და ლოგიკის კავშირი. „სამყარო - ლოგიკის“ (ენა - შემეცნების) კორელაციის გააზრებისას, ლ. ვიტგენშტაინმა გამიჯნა ერთმანეთისაგან ის, რაც „ნათლად შეიძლება ითქვას“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, რაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი სამყაროს, ფაქტებისა და ობიექტების შესახებ ლოგიკურად მკაფიო ცოდნის ფორმით და ის, რაც არ ექვემდებარება მისთვის დამახასიათებელი გამოსახვის ფორმებს და, შესაბამისად, სხვაგვარად უნდა იქნას შეცნობილი.

„როგორ ვაზროვნებთ, როგორია „ჩემი სამყაროს“, ლოგიკის და ენის საზღვრები. ლოგიკა არ გადის სამყაროს საზღვრებიდან, სამყაროს საზღვრები მისი საზღვრებიცაა. სუბიექტი არ მიეკუთვნება სამყაროს, მაგრამ ის სამყაროს საზღვარია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მაშინ, რითი განისაზღვრება „სამყაროს საზღვარი“? ... ვერ ვიტყვით იმას, რისი წარმოდგენაც არ შეგვიძლია. „ჩემი ენის საზღვრები ჩემი სამყაროს საზღვრებს ნიშნავს“ (Виттгенштейн Л. 1994.)

„სამყარო ლოგიკურია, საზღვრები ემთხვევა ენის საზღვრებს, მაგრამ არის რაღაც, რაც არ შეიძლება ენის შესაძლებლობებით გამოიხატოს და სწორედ ეს შეადგენს სიცოცხლის „მნიშვნელობას“ (Wittgenstein L. 1974, p. 14).

მეცნიერთა ნააზრევი მეტაფორისა და მეტაფორიზმის თაობაზე იცვლებოდა საზოგადოების მეცნიერული და კულტურული ცხოვრების კონტექსტის, მოაზროვნეთა ფილოსოფიური თვალსაზრისების, ენის, მისი არსისა და ფუნქციის შესახებ წარმოდგენების ტრანსფორმაციასთან ერთად. სწორედ ამ ტრანსფორმაციებში იკვეთება მეტაფორის, როგორც სტილისტური ფიგურისა და ლიტერატურული ტროპის, მოძრაობის ტრაექტორია მეტაფორისაკენ, როგორც სინამდვილის ხატოვანი ათვისების კონკრეტული ხერხისაკენ.

კოგნიტური თეორიის ფარგლებში მეტაფორა მიჩნეულია კონცეპტუალურ ფენომენად, რომელიც ენაში ყალიბდება არა კანონზომიერად, არამედ სიტუაციისათვის დამახასიათებელ სიტყვათა არაკანონზომიერი გამოყენების გზით. ენის რეალობის ანარეკლად გააზრება არარელევანტურია კოგნიტური ლინგვისტიკისათვის. აღნიშნული სააზროვნო სივრცის ფარგლებში მეტაფორული კატეგორტიზაციის სპეციფიკა დეტერმინირებულია სამყაროს სუბიექტური აღქმით და მეტაფორული ხედვაში ვლინდება ობიექტური სამყაროსადმი მიდგომის თავისებურება.

კონცეპტუალური მეტაფორის კვლევა გულისხმობს ენის ჩარჩოებს მიღმა გასვლას. სწორედ ამ ჩარჩოებს მიღმა განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს მეტაფორაში რეპრეზენტირებული ამა თუ იმ კონკრეტული კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები (Williamson J. 1988 / 1978: 9-10).

უნდა აღინიშნოს, რომ მეტაფორულ და არამეტაფორულ გამონათქვამებს შორის მკაფიო ზღვრის არარსებობა ყოველთვის ქმნის გარკვეულ ზღვარს ენასა და ნააზრევს შორის. აღნიშნულ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება დებულება ადამიანის ნააზრევის

მეტაფორულობის შესახებ, რომლის თანახმადაც, „თავისუფალი“ გამონათქვამი, რომელიც მთქმელის ნააზრევს ჰგავს, წარმოადგენს უფრო ოპტიმალური შესაბამისობის (რელევანტურობის), ვიდრე ლინგვისტური სიმართლის (რეალობის) მანიფესტაციას (Tanaka K. 1994: 34-35).

ი. ტანაკას მსგავსად, ჩ. ფორსვილიც ეყრდნობა რელევანტურობის თეორიას (Sperber D., Wilson D. 1986), თუმცა არ იზიარებს ტანაკასეულ ხედვას მეტაფორულობის შესახებ. ფორსვილი აზუსტებს მ. ბლეიქის თეორიას: იგი განმარტავს, თუ რა წარმოადგენს მეორეული საგნის (საწყისის) პირველად საგანში (მიზანში) პროექტირებისათვის საჭირო თვისებების შერჩევის განმაპირობებელ ფაქტორს. მეცნიერისათვის დომინანტურ პრინციპს წარმოადგენს ოპტიმალური შესაბამისობა (რელევანტურობა), რომლის მისაღწევადაც აუცილებელია კონტექსტის ფენომენის გათვალისწინება (Forceville C. J. 1998).

მეტაფორული პროექტირება ნაწილობრივია - საწყისსა და მიზნის კონცეპტუალურ სტრუქტურებს შორის არსებობს კონცეპტუალური დისტანცია, რომელიც განაპირობებს კიდეც მათ არაიდენტურობას. ჯ. ლაკოფი და მ. ჯონსონი აღნიშნავენ მეტაფორის შეუცნობლობასა და ენის კონვენციურობას (Lakoff George, Mark Johnson. 1999: 5-7).

მ. ბლეიქის წარმოადგენა მეტაფორაზე ეთანადება ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის თვალსაზრისებს (Lakoff George, Mark Johnson. 1999). მ. ბლეიქის აზრით, მეტაფორა დაკავშირებულია ნააზრევთან. ორი მეტაფორა აღიქმება სისტემად. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თვალსაზრისი თანხმობაშია კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის კოგნიტურ სტრუქტურებთან.

კოგნიტურ სემანტიკაში განხორციელებულ კვლევათა დიდი ნაწილი ეძღვნება კონცეპტუალიზაციისა და ინტერპრეტაციის პროცესების ანალიზს.

ლაკოფი მეტაფორას, მეტონიმიასა და ხატებით აზროვნების ტრანსფორმაციებს კონცეპტუალიზაციის პროცესების კატეგორიებად მიიჩნევს (Lakoff, G. (1990).

ლანგაკერი ინტერპრეტაციის ოპერაციებს ფოკუსის შესაბამისობებად განიხილავს (Langacker, R. 1988).

ხატებით აზროვნების მოდელები „აბსტრაქტული“ ხატებია და არა - კონკრეტული. ისინი წარმოადგენენ წარმოსახვითი დომენებისგან მომდინარე და სხვადასხვა დომენში რეპროდუცირებულ სქემატურ ნიმუშებს, რომლებიც ქმნიან ადამიანის ფიზიკურ

გამოცდილებას (Lakoff, G. (1987). ხატის სქემატური დომენის სქემატურობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი წარმოადგენს გამოცდილების მრავალი დომენისგან შემდგარი დომენის მატრიცის ნაწილს. (Talmy, L. 2000).

კონცეპტების აღწერა ხდება ცალკეულ სემანტიკურ დომენში. ის სემანტიკური სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ კონცეპტების დომენებს, წარმოადგენენ ხატებით აზროვნების მოდელებს. ხატებით აზროვნების მოდელი განსაკუთრებული ტიპის დომენია, რომელსაც სქემატური დომენი ეწოდება.

ხატის სქემატურ გემტალტებს გააჩნიათ დიფერენცირებული შიდა სტრუქტურა. აღნიშნულ სტრუქტურაში ინტეგრირებულია ჩვენს გამოცდილებასა და აღქმაში მნიშვნელობის მქონე ძირითადი მოდელები. გემტალტების სქემა მოიცავს ნაწილებსა და განზომილებებს, რომლებშიც იკვეთება სხვადასხვა ტიპის კავშირები. სწორედ ეს კავშირები გვამღებენ საკუთარი გამოცდილების აღქმის საშუალებას.

ხატებით აზროვნების მოდელები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეტაფორაშიც. ლაკოფისა და ჯონსონის ნაშრომში (Lakoff, G. & Johnson, M. 1999) მეტაფორები გააზრებულია როგორც კონცეპტუალური სტრუქტურის ერთი დომენიდან (წყარო დომენიდან) მეორე დომენში (სამიზნე დომენში) ტრანსფორმაციები. ლაკოფის თვალსაზრისით, ხატის სქემატური სტრუქტურა შენარჩუნებულია წყარო დომენიდან სამიზნე დომენში მეტაფორული ტრანსფორმაციის დროს და იგი ეთანადება სამიზნე დომენში უკვე არსებული ხატის სქემატურ სტრუქტურას (Lakoff, G. 1990).

ხატის სქემატური დომენში მეტაფორის წყარო და სამიზნე დომენები დომენთა მატრიცებს წარმოადგენენ, რომელთაგან თითოეული მოიცავს ერთი ან ერთზე მეტი ხატის სქემატურ დომენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხატის სქემატური დომენების არსებობა ფიქსირდება როგორც წყარო დომენების, ისე სამიზნე დომენების მატრიცებში. ლაკოფი და ტერნერი არ უარყოფენ წყარო დომენებისა და სამიზნე დომენების მსგავსებას, მაგრამ კამათობენ იმ ვარაუდის რაციონალურობაზე, რომლის თანახმადაც, სამიზნე დომენში მსგავსი სტრუქტურა ყოველთვის არსებობს მეტაფორის წარმოქმნამდე. ნაცვლად ამისა, მეტაფორამ შეიძლება სამიზნე დომენში შექმნას მსგავსი სტრუქტურა. ხატის სქემატური დომენების თაობაზე ჩვენ ვიზიარებთ თავლსაზრისს, რომლის მიხედვითაც, მეტაფორის წარმოშობა რეალურად გულისხმობს სამიზნე დომენის მატრიცის კონსტრუქციის ტრანსფორმაციას, რაც მოიცავს ხატის სქემატურ დომენებს წყარო დომენის მატრიციდან.

ზოგიერთი დომენი წარმოადგენს ხატის სქემატურ დომენს და ხატებით აზროვნების მოდელები დომენების ტიპს მიეკუთვნება. ხატებით აზროვნების მოდელების ანალიზი იძლევა აზროვნების მოდელების ძირითადი თავისებურების ახსნის საშუალებას კოგნიტურ ლინგვისტიკაში შემუშავებული დომენების თეორიის გამოყენების გზით. აღნიშნული თეორია უზურნველყოფს ხატებით აზროვნების მოდელების სხვა მახასიათებელთა ახლებური ინტერპრეტაციის, ხატის სქემებისა და მეტაფორული ტრანსფორმაციების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

დომენები და დომენის მატრიცები კონცეპტების შინაარსის ენობრივ ობიექტივატორთა იდენტიფიცირებისათვისაა საჭირო. კონცეპტი, რომელიც მეტყველებაში სიტყვებითაა რეპრეზენტირებული, არ წარმოადგენს შემთხვევით ნიშანთა ერთობლიობას - იგი წარმოადგენს კოგნიტური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნიშანთა სიმრავლეს. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეტყველებაში ობიექტივირებული კონცეპტების დომენების მატრიცების უმრავლესობაში არსებული ხატის სქემატური დომენი წარმოადგენს კოგნიციის მნიშვნელოვან ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც ხატებით აზროვნების მოდელადაა მიიჩნეული.

ჩვენი ცხოვრება გაჯერებულია მეტაფორებით და ეს ვლინდება ენაში, აზროვნებასა და ქმედებაში. ადამიანის ცნებითი სისტემის მეტაფორულობა გულისხმობს აზროვნების, გამოცდილებისა და ქმედების მეტაფორით განპირობებულობას. ცხადია, ჩვენ გამუდმებით არ ვფიქრობთ ცნებით სისტემაზე - ვმოქმედებთ ავტომატურად, თუმცა, მაინც გარკვეული სქემების შესაბამისად. მნიშვნელობა იქნება ადამიანის მიერ სამყაროს აღქმისა და კონცეპტუალიზაციის შედეგებზე დაყრდნობით (Lakoff, G. & Johnson, M. 1999). მეტაფორა არ არის „ჩაკეტილი“ ენაში. ადამიანის ცნებითი სისტემა მოწესრიგებულია მეტაფორებით და განსაზღვრულია მეტაფორულად. მეტაფორის ენობრივი ობიექტივაცია შესაძლებელია მეტაფორის ადამიანის ცნებით სისტემაში არსებობის წყალობით.

ნაშრომში კონცეპტის „სიცოცხლე“ მეტაფორული ველი თანამედროვე ინგლისურ ენაში აგებულია გემტალტური სტრუქტურირების გზით. გემტალტურ სტრუქტურათა ექსპლიკაციასა და კოგნიტური მეტაფორის თეორიაზე დაფუძნებულმა კონცეპტუალურმა ანალიზმა მოგვცა იმ მთლიანური ხატების გამოვლენის შესაძლებლობა, რომელთა მეშვეობითაც კონცეპტი „life“ (სიცოცხლე) ობიექტივირებულია თანამედროვე ინგლისურ ენაში.

Money – Time – Life (ფული - დრო - სიცოცხლე) – Time is money: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია ფულის, დროისა და სიცოცხლის კორელაციურობის იდეა. ჰენრი დევიდ თორომ შემდეგნაირად შეაფასა დროის ღირებულება: „საგნის ღირებულება არის ის თანხა, რასაც მე სიცოცხლეს ვუწოდებ, რომელიც უნდა გაიცვლოს მასზე დაუყოვნებლივ ან გრძელვადიან პერსპექტივაში“.

„Knowledge is power is time is money.“ (Robert Thier, Storm and Silence)

Onion (ხახვი) – Life is like an onion: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია სიახლეებისა და აღმოჩენებისაკენ სწრაფვის იდეა. ყოველ ჯერზე, როცა ხახვს ფენებს ამორებთ, რაღაც ახალს აღმოაჩენთ. შესაძლოა, გზაში თვალზე ცრემლიც მოგადგეთ, მაგრამ ფენებში ჩამალული აღმოჩნები და სიახლეები ამაღ ღირს.

„Self-awareness is like an onion. There are multiple layers to it, and the more you peel them back, the more likely you're going to start crying at an inappropriate time.“

(Mark Manson, A Counterintuitive Approach to Living a Good Life)

Box of chocolates (შოკოლადების ყუთი) - Life is like a box of chocolates: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია ცხოვრების მოულოდნელობებით სისავსისა და მოულოდნელის ახდენის შესაძლებლობის იდეა. ცხოვრება შოკოლადის ყუთს ჰგავს. არასოდეს იცი, რას ამოიღებ.

„My grandmother say you lay down with dogs you get up with fleas. A hard head makes a soft behind. Life is like a box of chocolates you never know what you're going to get.“ (Cupcake Brown, A Piece of Cake)

Theater (თეატრი) - The entire world is a stage: უილიამ შექსპირის ფრაზაში: „The entire world is a stage and everyone else is “merely a player” იკვეთება იდეა იმის შესახებ, რომ ნებისმიერს ადამიანს შეუძლია იყოს ის, ვინც სურს.

Bicycle (ველოსიპედი) - Life is like riding a bicycle: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია წინსვლის სჭიროების იდეა. ველოსიპედის ტარება და ცხოვრება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ველოსიპედის ტარებას სჭირდება წინსვლა, წინსვლას კი - წონასწორობის შენარჩუნება.

„Life is like riding a bicycle. You get nowhere standing up, so get up on that seat and go!“ (Lynne Ewing, Moon Demon)

Song (სიმღერა) - Life is like a beautiful melody, only the lyrics are messed up: ჰანს ქრისტიან ანდერსენის ფრაზაში „Life is like a beautiful melody, only the lyrics are messed up“ ობიექტივირებულია ადამიანების მიერ ცხოვრებაში შეცდომების დაშვების ალბათობის იდეა.

Banana (ბანანი) - Life is also like a banana: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია რეალობასა და რეალობაზე წარმოდგენას შორის არსებული სხვაობის, რეალობის არასწორი ხედვის იდეა. ბანანი, რომელიც გარედან დამკვალს ჰგავს, სინამდვილეში, შეიძლება იყოს მწიფე.

Cooking (საჭმლის მომზადება) - Life is like cooking: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია შეცდომების დაშვების შემთხვევაში სიტუაციის მოულოდნელი განვითარების ალბათობის იდეა. საჭმლის მომზადება დიდი სიამოვნებაა, მაგრამ ზოგჯერ რეცეპტის არქონამ, ან არასწორი ინგრედიენტის გამოყენებამ შეიძლება არასასურველი შედეგი გამოიღოს.

Puzzle (თავსატეხი) - Life is like a puzzle: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია ძალისხმევის გაწევის საჭიროება მიზნის მიღწევისათვის. ცხოვრება თავსატეხის აწყობას ჰგავს. შეიძლება ყოველთვის არ გქონდეთ ყველა ნაწილი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ერთმანეთში ჯდება.

„Puzzles are sort of like life because you can mess up and rebuild later, and you're likely smarter the next time around.“ (Adam Silvera, History Is All You Left Me)

Elevator (ლიფტი) - Life is like an elevator: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია ადამიანის ცხოვრებაში წარმატებისა და მარცხის მონაცვლეობის, ასევე ზოგჯერ ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების გაკონტროლის შეუძლებლობის იდეა. ლიფტში ჩაკეტილი ადამიანი ხან მაღლა ადის, ხან ქვევით ჩამოდის ისე, რომ ღილაკებს თვითონ არ აჭერს.

Bucket (ვედრო) - Life is like a bucket: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნივთებითა და მოვლენებით შევსების იდეა. ფრაზაში სიტყვა „bucket“ სიცოცხლის სიმბოლოა.

„Being near you for a day was at the top of my bucket list of the greatest life achievements, so this has by far exceeded my expectations and everyday has been magic.” (Crystal Woods, Write like no one is reading)

Whisper (ჩურჩული) - Life is like a whisper: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია ძალისხმევის გაწევის საჭიროება მნიშვნელოვანი რაიმეს მოსასმანად. ჩურჩული არ არის ხმამაღალი, თუმცა შეიძლება ეხებოდეს ყველაზე მნიშვნელოვან რაიმეს.

Ocean (ოკეანე) - Life is like the ocean: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია სიმშვიდისა და მღელვარების მონაცვლების იდეა. ცხოვრება ოკეანეს ჰგავს. ზოგჯერ ოკეანე მშვიდია, ზოგჯერ კი ადამიანს ტალღებთან ბრძოლა უწევს.

„Life isn't a lazy cruise on some endless, calm, and temperate sea. Life is a raging ocean with swells and tidal waves that wreck and sink your boat.” (Richelle E. Goodrich, Smile Anyway: Quotes, Verse, and Grumblings for Every Day of the Year)

Storm (შტორმი) - Life is like a storm: აღნიშნული მეტაფორით ობიექტივირებულია მღელვარებისა და სირთულეების შემდეგომ სიტუაციის დასტაბილურების იდეა. შტორმი ადამიანის ცხოვრების, ისევე როგორც ეკოსისტემის, ბუნებრივი ნაწილია. შტორმს შეიძლება მოჰყვეს მუქი ღრუბლები, ჭექა-ქუხილი და ელვა, მაგრამ ეს ყოველივე ახალი რეალობის დადგომის წინა პერიოდია.

